

ავიაკატასტროფა ირკუტსკში

A2



პრესომბუდსმენი

A3



თვითნებობიდან თვითმმართველობისკენ

A5

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 10 ივლისი, 2006 წელი. №152 (1304)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

# ფინალი





C

## სამართალი

### გამამართლებელი განაჩენები დაგვიანებით

რამდენიმე დღის წინათ ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ამერიკის მასმედიის წამყვანი თემა გახდა.
44 წლის ამერიკელი ალან ჰიუტონი ნიუ-იორკის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

A4

## რევიუ

### უსიცოცხლო თეთრი - გამოტირება სიცოცხლესთან

ოთარ ჩხარტიშვილი, რომელიც მრავალთათვის მხოლოდ „ბულდოზერების“ ცნობილ გამოფენასთან არის დაკავშირებული, არ არის უბრალოდ მხატვარი საინტერესო და საეტაპო მნიშვნელობის შემოქმედებით.

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 10/07 | 11/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 36 |
| ბათუმი | 30 | 29 |
| სოხუმი | 31 | 32 |
| ქუთაისი | 34 | 35 |
| გორი | 30 | 32 |
| ონი | 25 | 27 |
| ზუგდიდი | 33 | 34 |
| ახმეტა | 34 | 35 |
| სამტრედია | 33 | 35 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# ტერაქტი ცხინვალში

## ოსური, რუსული და ქართული ვერსიები

*სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი ტერაქტის შედეგად დაიღუპა. ოსურმა მხარემ მომხდარში უმალვე საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა. თბილისში კი კრიმინალურ გარჩევებზე და ცხინვალში არსებულ შიდა დაპირისპირებაზე საუბრობენ.*

თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ცხინვალში გუშინ დილით, 7 საათსა და 15 წუთზე ამოქმედდა, როდესაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი ოლეგ ალბოროვი საკუთარი ავტოფარეხის კარს აღებდა. ალბოროვი ადგილზევე დაიღუპა.

პრაქტიკულად აფეთქების მომენტიდანვე ცხინვალის ხელისუფლებამ მომხდარში თბილისი დაადანაშაულა. **„ჩვენ ამ ტერაქტს განვიხილავთ, როგორც საქართველოს მიერ გამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელების განადგურების დაწყებას,“** - განაცხადა გუშინ დილით თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხაილ მინძაევმა. გამოძიება მომხდარ ფაქტზე სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ დაიწყეს.

**„ჩვენ დიდი ხანია ვაცხადებთ, რომ ქართული მხარე „დიდი რვიანის“ სამიტის წინ კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის დაძაბვას ცდილობს. უშიშროების საბჭოს მდივნის ოლეგ ალბოროვის მკვლელობა ამ გეგმის ნაწილია,“** - განაცხადა სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა. მისი თქმით, ცხინვალის სპეცსამსახურების წინასწარი ვერსიით, მკვლელობაში აშკარად „ქართული კვალი“ შეიმჩნევა. ჩოჩიევს მიაჩნია, რომ „დიდი რვიანის“ სამიტამდე ამგვარი ინციდენტები კონფლიქტის ზონაში შესაძლოა განმეორდეს.

**„უშიშროების საბჭოს მდივნის მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი ქართული სპეცსამსახურების მიერ და სამხრეთ ოსეთის უმაღლესი თანამდებობის პირების განადგურების გეგმის შესრულებას ემსახურება,“** - განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა.

გარდა ამისა, ჯიოევმა ალბოროვის მკვლელობა დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ტერაქტს დაუკავშირა (ტირასპოლში სამარშრუტო ტაქსის აფეთქების შედეგად რვა ადამიანი დაიღუპა). **„მდგომარეობის დესტაბილიზაცია რუსი სამშვიდობოების პასუხისმგებლობის ზონაში სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში საქართველოსა და მოლდოვას გარკვეული პოლიტიკური წრეების ინტერესებს ემსახურება,“** - განაცხადა ჯიოევმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მორიგი პროვოკაცია ლარსთან

*საქართველოს ხელისუფლება საქართველო-რუსეთის საზღვარზე რუსული მხარის მიერ ლარსის სასაზღვრო პუნქტის ჩაკეტვას პოლიტიკურ ზეწოლად, პროვოკაციად მიიჩნევს და საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს, ობიექტურად შეაფასოს რუსეთის უხეში ქმედება საქართველოს წინააღმდეგ.*

ვერიკო თევზაძე

მესამე დღეა საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი ერთადერთი ლეგალური გზა ჩაკეტილია. რუსეთის ოფიციალური წყაროების მიერ გავრცელებული ვერსიით, ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს..

ქართული მხარე „ეკონომიკურ დივერსიაზე“ საუბრობს და აცხადებს, რომ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვა, მიუხედავად მიზეზისა, ნებისმიერ შემთხვევაში უხეში კანონდარღვევაა რუსეთის მხრიდან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსულ მხარეს ორ ქვეყანას შორის დადებულ შეთანხმებას ახსენებს, რომლის მიხედვითაც **„გამშვები პუნქტების ან საბაჟო საზღვარზე საკომუნიკაციო ნაგებობების რემონტთან დაკავშირებული მოძრაობის შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ შეტყობინება მხარეებმა ერთმანეთს უნდა გაუგზავნონ ამგვარი სამუშაოების დაწყებამდე არაუგვიანეს სამი თვისა და მიუთითონ მათი დამთავრების ვადები“.**

რუსულმა მხარემ ზემო ლარსის ჩაკეტვის შესახებ ქართულ მხარეს ორი საათით ადრე აცნობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ჯენერალ მოტორსს“ „რენო-ნისანთან“ გაერთიანებას სთავაზობენ

B

*30 ივნისს მსოფლიოს საქმიანი სამყარო მოულოდნელმა ცნობამ გააოცა - ამერიკელმა მილიარდერმა კირკ კერკორიანმა და მისმა საინვესტიციო კომპანია “ტრასინდამ” თხოვნით (გნებავთ, მოთხოვნით) მიმართა “ჯენერალ მოტორსის” ხელმძღვანელობას, განიხილოს ფრანგულ “რენოსთან” და იაპონურ “ნისანთან” სამმხრივი პარტნიორული ურთიერთობის დაწყების შესაძლებლობა.*
*ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, “ჯენერალ მოტორსის” აქციების ფასი 8 პროცენტით გაიზარდა.*



# კონტრაბანდა თუ ანგარიშსწორება?

*ფინანსური პოლიციის მიერ დაკავებული სოსო მურადაშვილის ნათესავები დაკავებულისთვის წაყენებულ ბრალდებას შეთითხნილს უწოდებენ. მუარადაშვილი სპეცრაზმის ყოფილი თანამშრომელია, ნათესავები ვარაუდობენ, რომ მის წინააღმდეგ პირად ანგარიშსწორებას ჰქონდა ადგილი.*

თეა თედლიაშვილი

ფინანსური პოლიციის მიერ გორის ცენტრში განხორციელებულ ოპერაციას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ფინანსურმა პოლიციამ სპეცრაზმის ყოფილი თანამშრომელი სოსო მურადაშვილი კონტრაბანდული სიგარეტის რეალიზაციის ბრალდებით დააკავა. დაკავებულის ნათესავები აცხადებენ, რომ სოსო მურადაშვილი არასდროს ყოფილა ჩართული სიგარეტის კონტრაბანდაში. მურადაშვილის დაკავება სასურსათო მაღაზიის წინ მოხდა, სადაც დაკავებული მონო-ბარათის საყიდლად იყო შესული. მოწმეები აცხადებენ, რომ მურადაშვილის კუთვნილი ავტომობილი ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა ადგილზე გაჩხრიკეს. დაახლოებით 20 ადამიანი ამბობს, რომ ავტომობილის საბარგული ცარიელი იყო და იქ არც ერთი კოლოფი სიგარეტი არ დაუნახავთ.

**„დავინახე, რომ ბიჭმა მანქანა გააჩერა და მაღაზიაში შევიდა, ამასობაში გაჩერდა „ნივა“, საიდანაც რამდენიმე კაცი გადმოვიდა და მანქანა გაჩხრიკეს. არც საბარგულში და არც მანქანის სალონში არაფერი იყო. შემდეგ სოსო „ნივაში“ ჩასვეს, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები სოსოს მანქანით მათ უკან გაჰყვნენ“,** - ამბობს თვითმხილველი ელიკო ბაიდაური.

იგივეს აცხადებს მეორე მოწმე მაია დათუაშვილი, რომელიც სოსო მურადაშვილის დაკავების ფაქტს ესწრებოდა.

**„ჩხრეკა რომ დაიწყეს, ვუყურებდი, ჯიბეში არაფერი ჩაუდონ-მეთქი, რას წარმოვიდგენდი, თუ მანქანას სიგარეტით გაუვსებდნენ. დაკავების ადგილიდან მანქანა აბსოლუტურად ცარიელი წამოიყვანეს,“** - აცხადებს მაია დათუაშვილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ტერაქტი ცხინვალში

პირველი გვერდიდან

კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების შტაბში აცხადებენ, რომ ალბოროვის მკვლელობა დაგეგმილი ტერაქტი იყო, რომელიც რეგიონში მდგომარეობის დესტაბილიზაციას ემსახურება. **„ასეთი პროვოკაციები ხელს არ უწყობს კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენას და, შესაძლოა, არსებული ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამძაფროს,“** - განაცხადა გუშინ შერეული სამშვიდობო ძალების პრესმდივანმა ვლადიმირ ივანოვმა.

მისი თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობა კუსტარულად იყო დამზადებული, რაზეც ადგილზე ნაპოვნი არმატურის ელემენტები მეტყველებს.

ქართული მხარე ცხინვალის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. **„მე დარწმუნებული ვარ, რომ ოლეგ ალბოროვი კრიმინალური გარჩევის ერთ-ერთი მსხვერპლია,“** - განაცხადა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ. მისი თქმით, ქართული მხარის ინტერესში არ შედის სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენელ ცალკეულ პირებთან ანგარიშსწორება. რურუას თქმით, დღეს მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ დე ფაქტო რეჟიმი კრიმინალური რეჟიმია, რომელიც მხოლოდ საკუთარი ფინანსური კეთილდღეობითაა დაინტერესებული.

**„ბრალდებები საქართველოს მიმართ აბსურდულია, ქართულ მხარეს მომხდართან არანაირი კავშირი არ აქვს,“** - განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა შოთა ხიზანიშვილმა.

**„სახეზეა ცხინვალის რეჟიმის გადასვლა პოლიტიკური ტერორის სტადიაში. ის, რაც დღეს დილით ცხინვალში მოხდა, არის პოლიტიკური ტერორი და ერთმანეთთან ანგარიშსწორება ძალაუფლების გადანაწილებისათვის,“** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი არველაძემ.

მისი თქმით, **„სანამ საქართველოს ამ ნაწილს კოკოითის რეჟიმი - ტერორისტები და დამნაშავეები, მართავენ, და სანამ ისინი იქ იქნებიან, იქ კიდევ მოხდება ამგვარი მოვლენები“**.

გიორგი არველაძემ აღნიშნა, რომ **„საქართველოს მთავრობა გმობს ტერორიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, მათ შორის ტერაქტს, რომელიც დღეს დილით ცხინვალში მოხდა“.**

**„ჩვენთვის ამ დანაშაულის ჩადენას აზრი არ ჰქონდა, რადგან ალბოროვი პროქართულად განწყობილი პოლიტიკოსი იყო. ყველამ იცოდა, რომ მას კოკოითისთან დიდი უთანხმოებები ჰქონდა,“** - უარყო გუშინ ბრალდებები საქართველოს მიმართ სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ. მისი თქმით, ალბოროვი კოკოითის პოტენციური მოწინააღმდეგე იყო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოემბრისათვის დანიშნულ არჩევნებში.

17 ივლისს კონფლიქტის მხარეები თბილისში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე შეიკრიბებიან.

*24 საათი*

# რუსეთის თეორიული შანსი

პოლიტოლოგ ალექსანდრე რონდელის შეფასებით, რუსეთის სათათბიროს გადაწყვეტილება, რომელითაც რუსეთის პრეზიდენტს ტერორიზმთან საბრძოლველად ჯარისა და სპეცდანიშნულების რაზმის რუსეთის ფარგლებს გარეთ გამოიყენების უფლება ეძლევა, „საქართველოსათვის რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს“.

როგორც რონდელმა განაცხადა, მოსკოვის ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, ივლისის თვეში ერაყში რუსი დიპლომატების მკვლელობას უკავშირდება, მაგრამ ისიც უდავოა, რომ **„გადაწყვეტილება მარტო დიპლომატების მკვლელობაზე რეაქცია არ არის“,** ვინაიდან რუსეთი თანდათანობით ძლიერდება და იგი ამ გადაწყვეტილებითაც ცდილობს, საერთაშორისო არენაზე ტერორისტებთან დაკავშირებით თავისი პოზიციის დაფიქსირებას.

მისივე თქმით, ძნელი სავარაუდო არ არის, რომ ამ გადაწყვეტილებით რუსეთი არასასიამოვნო საფიქრალს მეზობლებს, მათ შორის, საქართველოსაც უჩენს, მაგრამ **„რუსეთში კარგად იციან, რომ საქართველო მარტო აღარ არის და მას საქართველოში რუსეთის ჯარისა და სპეცრაზმის გამოყენების მხოლოდ თეორიული და არა პრაქტიკული შანსი აქვს“.**

„რუსეთი რამდენსაც ფაფხურობს, იმდენი ძალა არ შესწევს,“ - აღნიშნავს საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ **„თუნდაც ტერორისტებთან ბრძოლის მოტივით საქართველოში ჯარისა და სპეცრაზმის გამოყენებას საერთაშორისო მწვავე რეაქცია მოჰყვება“.**

პარასკევს რუსეთის სათათბირომ მიიღო დადგენილება, რომელიც რუსეთის პრეზიდენტს უფლებას აძლევს, ტერორიზმთან საბრძოლველად ჯარი და სპეცდანიშნულების რაზმი რუსეთის ფარგლებს გარეთ გამოიყენოს. დადგენილებას მხარი 148 სენატორმა დაუჭირა.

დუმის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ოზეროვის განცხადებით, რუსული სპეცსამსახურები უცხოეთში ანტიტერორისტულ ოპერაციებს ფარულად ჩაატარებენ, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის გაჟონვა.

მისივე თქმით, რუსული სპეცსამსახურების მიერ საზღვარგარეთ ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციების შესახებ საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტყობს, თუ ამის თაობაზე გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დადგენილება ძალაში შევა მისი მიღების დღიდან და იმოქმედებს რუსეთის, რუსეთის მოქალაქეების, ან მოქალაქეობის არმქონე, მაგრამ რუსეთში მცხოვრები პირების მიმართ არსებული საფრთხის თავიდან აცილების პერიოდში.

*ინტერპრესნიუსი*

FRANCK PROVOST
Paris
ფრანგული თმის სალონი-ს ფილიალი საქართველოში
აცხადებს კონკურსს პროფესიონალი ხელოსნების მიღებაზე
მოთხოვნები:
-არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე სტილისტები, 20დან-40 წლამდე
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
ტელ.: (995 77) 99 55 22
(995 99) 26 77 97
(995 99) 14 30 06
გამოხმაურების საბოლოო ვადაა: 20 ივლისი

# მორიგი პროვოკაცია ლარსთან

პირველი გვერდიდან

თანაც, რუსეთის საზღვრის დაცვის ფედერალური სამსახურის ჩრდილო კავკასიის სამმართველოდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრების დაცვის დეპარტამენტში შემოსულ ფაქსიმილურ შეტყობინებაში სიტყვაც არ არის ნახსენები იმის შესახებ, თუ როდის დასრულდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აქედან გამომდინარე, ზემო ლარსის პუნქტის გახსნის ვადაც გაურკვეველია.

საქართველოს საგარეო უწყება შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის მიერ საერთაშორისო ვალდებულების უხეშად დარღვევის გამო და ამ ფონზე შემაშფოთებლად მიიჩნევს უკანონო და არალეგიტიმური საკონტროლო გამშვები პუქტის „როკი-ქვემო ზარმაგის“ ფუქციონირებას.

ლარსის ჩაკეტვამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა საქართველოს მოქალაქეებს. როგორც ჩვენთან საუბარისას ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, გამშვები პუნქტის ჩაკეტვა მეტად არასახარბიელოა და ზღუდავს ყაზბეგის რაიონის მკვიდრთ. თუმცა პრეზიდენტის რწმუნებული ირწმუნება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება სასაზღვრო რაიონის მოსახლეობას ყველა საჭირო დახმარებას აღმოუჩენს.

ზემო ლარსის ჩაკეტვამ საქართველოზე გაცილებით მეტად, რუსეთის სომხეთი დააზარალა. სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნისას გამოეხმაურა რუსეთის მხრიდან უხეშ კანონდარღვევას. მარგარიანის თქმით, ისინი წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებული ლარსის ჩაკეტვის შესახებ. სომხეთის პრემიერმა თავის განცხადებაში ყურადღება გაამახვილა ზარალზე, რომელსაც სომხეთის ეკონომიკას რუსეთის უკანონო ქმედება მოუტანს. იგი აღნიშნავს, რომ ერთი თვის განმავლობაში სომხეთი ფოთის პორტით ისარგებლებს და ეს საკმაოდ ძვირად დაუჯდება სომხეთის მოსახლეობას, რომელსაც ამჟამად რუსეთის მიმართულებით ხილი და ბოსტნეული გაქვს.

რუსული მხარე, რომელიც სამუშაოების დასარულების ვადას არ აკონკრეტებს, საგანგებოდ განმარტავს, რომ სარემონტო სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია გზის მონაკვეთის რეაბილიტაციაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსული მხარისაგან მოითხოვს საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ შეთანხმების დებულებათა შესრულებას და, იმავდროულად, მსოფლიო თანამეგორბრობას მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. საგარეო უწყების განმარტებით, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღნიშნული ფაქტის ობიექტური შეფასება ხელს შეუწყოს საქართველო-რუსეთის საზღვრის ზემო ლარსის მონაკვეთზე შექმნილი მდგომარეობის განმუხტვას.

„რუსეთის ამგვარი პროვოკაციული გამოხდომები საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურს ვერ შეარყევს. ამაში, ბოლოს და ბოლოს, რუსეთიც დარწმუნდება,“ - განაცხადა მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა ვასილ მაღლაფერიძემ „24 საათთან საუბრისას.

# ავიაკატასტროფა ირკუტსკში




ირკუტსკში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად, უკანასკნელი მონაცემებით, 124 ადამიანი დაიღუპა.

გუშინ ადგილობრივი დროით 07:44 საათზე, ავიაკომპანია „სიბირის“ სამგზავრო თვითმფრინავმა A-310-მა კატასტროფა დაშვებისას განიცადა.

თვითმფრინავ A-310 ასრულებდა რეისს მოსკოვი-ირკუტსკი. მის ბორტზე სულ 200 ადამიანი, 192 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი იმყოფებოდა. მგზავრებს შორის იყვნენ ბავშვებიც.

წინასწარი მონაცემებით, კატასტროფის გამომწვევ მიზეზად მუხრუჭების ჰიდრავლიკური სისტემის გაუმართაობა სახელდება, რამაც შემდეგ სხვა სამუხრუჭე სისტემების მწყობრიდან გამოყვანა გამოიწვია. ამ ვერსიას რუსეთის გენერალური პროკურატურაც განიხილავს.

ავიაკომპანია „სიბირ“ -ის ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს თვითმფრინავის გაუმართაობის ფაქტს.

ირკუტსკის კატასტროფაში დაღუპულთა პატივსაცემად 10 ივლისი რუსეთში გლოვის დღედ გამოცხადდა. **24 საათი**




## მოკლედ

### აფხაზები და რუსი სამშვიდობოები უარყოფენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი სულტან სოსნალიევი კატეგორიულად უარყოფს საქართველოს პრეზიდენტის მტკიცებას იმის შესაებ, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზაზე ახალი სამხედრო ტექნიკის მიღება მიმდინარეობს.

„ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. სააკაშვილს შეუძლია მოიგონოს, რაც კი მოესურვება,“ - აცხადებს სოსნალიევი.

გუდაუთის სამხედრო ბაზაზე ახალი სამხედრო ტექნიკის მიღების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს ასევე აფხაზეთში დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბი.

სამშვიდობო ძალების პრესმდივნის, კაპიტან ვლადიმერ ანიკინის ინფორმაციით, გუდაუთის სამხედრო ბაზა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსაგან 2001 წელს სტამბულის შეთანხმების შესაბამისად იქნა გამოყვანილი.

დღეისათვის, გუდაუთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალების დაცვის სამსახურის 30-ე ჯგუფი, კერძოდ, ვერტმფრენთა რაზმის 4 ვერტმფრენი და 130 ჯარისკაცი დგას. ისინი სამშვიდობო ძალებისათვის აუცილებელ ფრენებს ახორციელებენ.

„არავითარი ახალი შეიარაღება ამ ჯგუფს არ მიუღია“, -აცხადებს ანიკინი. **ინტერპრესნიუსი**

### კოფი ანანი ისრაელს სასწრაფო ზომების გატარებისაკენ მოუწოდებს

გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი ისრაელს, ღაზას სექტორში, ჰუმანიტარული კრიზისის თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომების გატარებისაკენ მოუწოდებს.

კოფი ანანის განცხადებით, ისრაელმა უნდა აღადგინოს საკვები პროდუქტებისა და საწვავის მიწოდება, ასევე შეაკეთოს ავიადაბომბვების შედეგად დაზიანებული ელექტროსადგური.

ანანის თქმით, გაერო-ს ჰუმანიტარულ სააგენტოებს რაიონში მუშაობის საშუალება უნდა მიეცეთ.

ისრაელი კი ღაზას სექტორზე საჰაერო დარტყმებს აგრძელებს. დილით ადრე ისრაელის ავიაციამ დარტყმა გამშვებ პუნქტ კარნიზე მიიტანა, რის შედეგადაც სამი პალესტინელი მებრძოლი დაიღუპა. ებრაელებმა ღაზას ჩრდილოეთით მდებარე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხიდიც დაბომბეს.

შაბათს, ისრაელმა არ მიიღო პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ისმაილ ჰანიას მოწოდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ჰანიას განცხადებით, შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი - მხარეების მიერ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტაა. ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის წარმომადგენლობის განცხადებით, ოლმერტი ცეცხლის შეწყვეტას მანამ არ დათანხმდება, სანამ რამდენიმე დღის წინ მძევლად აყვანილ ებრაელ ჯარისკაცს გილად შალიტს არ გაათავისუფლებენ. **ინტერპრესნიუსი**

### არჩევნების შემდგომი მღელვარება მექსიკაში

მექსიკა მასობრივმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა. მეხიკოს ქუჩებში 100 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა, 2 ივლისს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ხელახალი დათვლის მოთხოვნით. პროტესტის ტალღა პარტია „დემოკრატიული რევოლუციის“ კანდიდატის ანდრეას მანუელ ლოპეს ობრადოროს მოწოდებით დაიწყო, რომელიც გასულ კვირას არჩევნებში დამარცხებულად გამოაცხადეს.

ოფიციალური მონაცემებით, ობრადორომ ხმათა 35,31 პროცენტი, მმართველი პარტიის - „ეროვნული მოქმედების პარტიის“ წარმომადგენელმა ფილიპე კალდერონმა კი 35,88 პროცენტი მიიღო.

ობრადოროს მტკიცებით, არჩევნები დარღვევებით ჩატარდა. მისი განცხადებით, თუ შედეგების გადახედვა არ მოხდება, ის ფედერალურ საარჩევნო ტრიბუნალსა და მექსიკის უზენაეს სასამართლოს მიმართავს.

თუმცა, ევროკავშირის დამკვირვებელთა განცხადებით, მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნებში სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. ფილიპე კალდერონს გამარჯვება რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურმა უკვე მიულოცა. **24 საათი**

### დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება

2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები დღეს დაიწყება. საგამოცდო პერიოდი 25 ივლისამდე გასტანს. როგორც შეფასებისა და გამოცდების ერთიან ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, აბიტურიენტებს სამი სავალდებულო გამოცდის (ქართული ენისა და ლიტერატურის, ზოგადი უნარებისა და უცხოური ენების) ჩაბარება მოუწევთ. არჩევითი კი ოთხი საგანია: მათემატიკა, საქართველოს ისტორია, საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ლიტერატურა. გამოცდები ტესტური სახით ჩატარდება. ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდა 10-11, ზოგად უნარებში 13-14, უცხო ენებში 17-19, მათემატიკაში 20, საქართველოს ისტორია-საზოგდოებრივ მეცნიერებებში 21, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 24, ხოლო ლიტერატურაში 25 ივლისს საგანგებოდ გახსნილ საგამოცდო ცენტრებში ჩატარდება. საქართველოს მასშტაბით, სულ 14 საგამოცდო ცენტრი იმოქმედებს. აქედან სამი თბილისში, 11 კი ქვეყნის ათ ქალაქში: რუსთავში, თელავში, სიღნაღში, გორში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბათუმი, ახალციხეში, ფოთსა და ქუთაისში გაიხსნება. ქუთაისში 2 ასეთი ცენტრი იმოქმედებს. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების სურვილს წელს დაახლოებით 33 ათასი აბიტურიენტი გამოთქვამს. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge




ნოდარ ლადარია

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ყველას გვახსოვს, როგორ საყვედურობდნენ **მიხეილ სააკაშვილს** თბილისში ფასადების შეღებვას. არგუმენტები, ძირითადად, ორი სახის იყო: ესთეტიკური - აქაოდა, ჭყეტელა ფერები ცუდი გემოვნების ნიშანიაო - და პოლიტიკური, რადგან ხელისუფლების ამგვარ ნაბიჯს "იაფფასიანი პოპულიზმით" ხსნიდნენ. არგუმენტების პირველი ტიპი თბილისურმა მზემ გააქარწყლა - ცოტა ხანში ფერები "დაჯდა" და გემოვნების მოთხოვნებს შეურიგდა. სულ ახლახან კი აღმოვაჩინე, რომ თურმე პოლიტიკური არგუმენტიც მხოლოდ საზოგადოებრივი თვითშემეცნების ნაკლებობას ეფუძნება და ხშირად ხდებოდა, რომ ფასადების შეღებვაზე სახალხო რეაქცია მოსალოდნელის სრულიად საწინააღმდეგო იყო.

რამდენიმე დღის წინ გავიცანი ადამიანი, ვინც უშუალოდ ასრულებდა ქალაქის მთავრობის განკარგულებებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ფასადებს ღებავდა. რამდენიმე ნიშანდობლივი შემთხვევის შესახებ მიამბო: ზოგიერთი კორპუსის მოსახლეობა თურმე თავს იკლავდა, წითლად და ცისფრად არ შეგაღებინებთ შენობასო. ვინმეს იქნებ ეგონოს, რომ აქ რაიმე ესთეტიკური ხასიათის მოსაზრება მოქმედებდა. სულაც არა. მიზეზის დამალვას არც არავინ ფიქრობდა - მცხოვრებლები ამაყად აცხადებდნენ: "ჩვენ შავები ვართ!".

არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ხშირი იყო მსგავსი შემთხვევები: სამწუხაროდ, საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც პირდაპირ მოქმედებს საერთო განწყობის წარმოქმნაზე, სულიერი მდგომარეობა ბევრად შორს არაა წასული და, აქედან გამომდინარე, გაცილებით უფრო სახიფათოა. ზემოთ მოყვანილი კურიოზული ამბავი სხვაგან ალბათ საკვირველი და სასაცილო იქნებოდა. სხვაგან, მაგრამ არა იქ, სადაც ადამიანები შფოთავენ ერთ-ერთი წამყვანი ტელეჟურნალისტის წასვლის გამო და აზრადაც არ მოსდით, რომ უკეთესი იქნებოდა, თავის დროზე დაესვათ შეკითხვა: რა პირადი ნიჭისა და უნარის წყალობით იქცა ეს პიროვნება ერთ-ერთ წამყვან ტელეჟურნალისტად? ან ახლა მაინც დაფიქრდნენ, რატომ უნდა დაარქვან ფარ-ხმალის დაყრას სამოქალაქო გმირობა?

თუმცა დროა, გადმოცემას უფრო თანამიმდევრული ხასიათი მივანიჭოთ, თუნდაც ამისათვის კიდევ უფრო შორიდან დაწყება მოგვიხდეს...

ინგლისელებს ტრადიციულად მიაჩნიათ, რომ ფრანგები უზრდელები არიან, რადგან დანაშაულზე მანამ ლაპარაკობენ, სანამ სასამართლო განაჩენს გამოიტანს. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა სასამართლოსადმი ნდობა და კანონის მორჩილება უფრო მაღალია, ვიდრე თვით სასამართლოს შეუმცდარობისა და კანონის სამართლიანობის დონე. ნდობა და სუბიექტური მიღების მზადყოფნა ყოველთვის უნდა სჭარბობდეს ობიექტურ სინამდვილეს და მხოლოდ მაშინ იარსებებს შესაძლო წინსვლის პერსპექტივა.

არ მინდოდა უზრდელთა სიაში მოხვედრა, ამიტომაც განაჩენის გამოცხადებამდე არ ვეხებოდი საქმეს, რომელიც ქართულმა მედიამ ჯერ კიდევ მის დასრულებამდე მონათლა "საუკუნის პროცესად". გასაგები მიზეზების გამო, ვერც საქმის კონკრეტულ დეტალებს ჩავუღრმავდები და ვერც იურიდიულ ხვეულებში ძრომიალს მოვყვები. არა მარტო იმის გამო, რომ შესაბამისი პროფესიული მომზადება მაკლია, არამედ იმიტომაც, რომ ამგვარი უგულებელყოფის უფლებას მაძლევს ის გულგრილობა, რომელიც პროცესზე დამსწრე საზოგადოებამ განაჩენის შინაარსის მიმართ გამოიჩინა.

არავის აინტერესებდა, რას წაიკითხავდა მოსამართლე - ყველა ელოდა, როდის დაასრულებდა წაკითხვას. არავინ აკრიტიკებდა წაკითხული განაჩენის შინაარსს - ყველა უკმაყოფილო (და ამავე დროს უსასრულოდ კმაყოფილი) იყო, რომ სურვილები არ აუსრულდა. არავის შეუმჩნევია, რომ ეს განაჩენი, სულ მცირე, იმათ მიმართ იყო სავსებით სამართლიანი, ვისაც უშუალოდ ეხებოდა.

ახლა კი ამ კმაყოფილ უკმაყოფილოთა შინაგანი მდგომარეობა გავიზიაროთ და ამ მხრიდან განვსაჯოთ მათი მოწინააღმდეგის, საქართველოს ხელისუფლების მოქმედება... უპირველეს ყოვლისა აღმოვაჩენთ, რომ ხელისუფლება ერთგულად მისდევს ჩვენს ძირძველ ეროვნულ ტრადიციებს, როგორებადაც მათ მისი ოპოზიციონერები წარმოგვიდგენენ. რას ნიშნავს ეს? - ხელისუფლება არ სცნობს "ჩაშვებას" (ვარიანტი - "ჩაშვების ინსტიტუტს"), კბილებითა და ფრჩხილებით იცავს თავისიანებს, საკუთარი ძალებით (და არა გადამთიელთა ნაკარნახევი დაწერილი კანონებით) უსწორდება მათ, ვინც არ მოსწონს. განა ამგვარ მორალს არ ქადაგებდნენ პარლამენტის ტრიბუნიდან, ტელევიზიიდან, პრესიდან ისინი, ვინც დღეს ყველაზე მეტად უკიჟინებს ხელისუფლებას? განა ისინი არ გაჰკიოდნენ, რომ ქართველებისთვის უცხოა კანონთან თანამშრომლობა, რომ ქართველი პატიმარი არაა ბელგიელივით ან გერმანელივით უჯიშო და აუცილებლად უნდა ჩაიცვას ბებიის მოქსოვილი წინდა და ჭამოს დედის გამოყვანილი სულგუნი? საიდან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური პირამიდის მწვერვალზე აფოფხებულნი თვითონ უკეთესად მოიქცეოდნენ?

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ კადრები, რომლებსაც ასე უხვად გვაწვდიდა ტელეკომპანია "იმედი", გავიხსენოთ ის თვალებპრიალა ენთუზიაზმი, რომლითაც უნივერსიტეტის ბაღში გამართულ მიტინგზე გამოაცხადეს, რუსთავის მეექვსე კოლონიის პატიმრებმა ჩვენს მხარდასაჭერად შიმშილობა დაიწყესო. ახლა კი დავფიქრდეთ, აქვს თუ არა ამის გამომცხადებელს მორალური უფლება, ერთ მშვენიერ დღეს იმავე პატიმართა შორის რეჟიმით გათვალისწინებული წესრიგის დაცვის ვალდებულება აიღოს? - განა ამას არ დააკისრებს მას პოლიტიკური პირამიდის სანატრელი მწვერვალი?

სხვა თუ არაფერი, ის მაინც ვიკითხოთ, საიდან მიიღო შესაბამისი ინფორმაცია, ან რის ხარჯზე მოხდა პატიმართა გონებრივ-იდეოლოგიურად ჭრელსა და პოლიტიკურად ინერტულ მასაში ეგზომი ერთსულოვნების ორგანიზება (თუ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მართალია). და როცა ამ კითხვაზე პასუხს მივიღებთ, იქნებ ისიც ვიფიქროთ, რომ ამგვარი პოლიტიკოსის სახე საოცრად ჰგავს შესაღებად განწირული კორპუსის იმ მცხოვრებთა სულიერ ჰაბიტუსს, რომელთა შესახებ დასაწყისში მოგახსენებდით.



ის, ვინც საზოგადოებრივ კიბეზე ალმა ისწრაფვის, რეალობაზე მეტად უნდა აფასებდეს ნიშნებს, ფორმალურ ნიშნებს, სახელმწიფოებრიობის სიმბოლოებს, რადგან მათ გარეშე ფეხზე ვერ დადგება სტრუქტურა, რომლის დაპატრონებასაც თვითონ ცდილობს - შეუძლებელია დაეპატრონო იმას, რაც შენვე დაანგრიე. არა მარტო იმიტომ, რომ ვინც დებოშს აწყობს სასამართლოს დარბაზში, ვერასოდეს შეიძენს სასამართლოს გასანჯასაღებლად აუცილებელ იდეურ სიმრთელეს, არამედ იმიტომაც, რომ ფორმის შენარჩუნება და ფორმაზე დაყრდნობა ნამდვილად არსებითია. ჩვენი პროტესტანტებისთვის კი საყრდენს ერთობ უფორმო და მოუწესრიგებელი რამ წარმოადგენს, სახელდობრ, დებულება - "ყველამ ყველაფერი იცის".

დიახ, ამ დებულებასთან ძნელია კამათი. ნურც შევეკამათებით - უბრალოდ, ვცადოთ და ალალბედზე ჩავყოთ ხელი ტომარაში, რომელსაც აწერია "ყველამ ყველაფერი იცის" - ვნახოთ, რა ამოჰყვება. ვთქვათ და ერთი ასეთი ამბავი ამოჰყვა: 1980-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის ტალღამ "გეპეის" სტუდენტობაშიც იფეთქა და იმჟამინდელი რეჟიმისათვის დაუშვებელ ზღვარს მიაღწია; სწორედ მაშინ დაეხმარა "გეპეის" რექტორს, **გოჩა ჩოგოვაძეს** სამედიცინო ინსტიტუტიდან გამოგზავნილი კომკავშირლების რაზმი, პროვოკაცია მოაწყო და სტუდენტური მოძრაობა ჩაახშობინა; პარტიული "დახმარების" ორგანიზატორი იყო სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი **დავით გამყრელიძე**.

ტყუილია! ცილისწამებაა! - იტყვიან მავანნი. შესაძლოა, მართლაც ტყუილი და ცილისწამებაა. არ ვიცი. უბრალოდ, ეს ისტორია იმავე ადამიანებმა, როგორც ახლა იტყვიან, იმავე "ჭეშმარიტმა თბილისელებმა" მიამბეს, ვისგანაც შარდენის ქუჩაზე მომხდარის მოარული ვერსია გავიგე. მეტად სახიფათო რამაა ეს ტომარა, რომელსაც აწერია "ყველამ ყველაფერი იცის". სადაა კრიტერიუმი, ამ ტომრიდან ხელს ამოყოლილ ამბებს რომ შემაფასებინებს და მათ სიმართლეს გამარჩევინებს? ვინც ამგვარ ბუნდოვან კატეგორიას ეყრდნობა, ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს ამავე კატეგორიის მსხვერპლი.

მსხვერპლად ყოფნა კი არავის გვინდა. მსუბუქად დაგვადებენ ხელს მხარზე და მაშინვე ვიწყებთ ყვირილს: ძირს ძალადობა! ლამის ალტერნატიული ისტორიის ჟანრში დავიწყოთ მოღვაწეობა, ლამის მეზღაპრეებად ვიქცეთ და ვამტკიცოთ, რომ არავის და არასოდეს არ შეუყვანია პოლიცია უნივერსიტეტში, რომ ეს კაცობრიობის ისტორიაში არნახული რამაა. იქნებ ოდნავ დავფიქრდეთ და გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა სეგრეგაცია გაუქმდა და შავკანიანმა მოქალაქეებმა უნივერსიტეტებში სწავლის უფლება მიიღეს, მათ შეიარაღებული პოლიციელები იცავდნენ - ბადრაგად დაჰყვებოდნენ დერეფნებში და მათთან ერთად ესწრებოდნენ ლექციებს. განა შეურიგებლად აგრესიულ ამერიკელ თეთრკანიანებსაც ისევე არ სწამდათ, რომ მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილებით ქვეყანა "გადაგვარდება"? განა მათი შინაგანი მდგომარეობა და საკუთარი სიმართლის მტკიცე რწმენა რამით განსხვავდებოდა იმ მხცოვანი ლექტორების პათოსისაგან, რომლებიც გაიძახიან, ლომაია ქართველებს გადააჯიშებსო? ამის გაგება მაინცდამაინც ძნელი არ უნდა იყოს, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც **აკაკი ასათიანმა** "იმედის" პირდაპირ ეთერში **კონდოლიზა რაისს** ამრეზით უწოდა "ეს შავი ქალი". გაუგებარი ერთი რამ რჩება: ამგვარი ღორული რასიზმი პირადად აკაკი ასათიანის პრობლემაა, თუ ასეთად უნდა ვიგულისხმოთ ქართველი ტრადიციონალისტის მორალური სახე?

აბა, როგორ არ გავიხსენოთ სახელმწიფო ტრადიციების დამცველი კაცი, რომელიც კალიფორნიის შტატის გუბერნატორი იყო, როცა 1969 წლის 15 მაისს ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამოსული სტუდენტების დასაშოშმინებლად 2200 შეიარაღებული ეროვნული გვარდიელი შეიყვანა ბერკლის უნივერსიტეტში და თან ამბოხებულებს დაუბარა, თუ მაინცდამაინც სისხლიანი აბანო გინდათ, რატომ გადავდოთო. ამ კაცს **რონალდ რეიგანი** ერქვა და მოგვიანებით იმ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, რომლის ელჩთან საჩივლელად მიდიან უნივერსიტეტის ხელშეუხებლობისათვის მებრძოლი ქართველი პოლიტიკოსები.

რას იზამ, სახელმწიფოს ცხოვრება ნაირგვარ სიმართლეთა შორის განუწყვეტელი არჩევანი და კომპრომისია. სამწუხაროდ, საქართველოში ყველაზე არასასურველი ის ვითარებაა, როცა გასაყოფი ვაშლი ორ ტოლ ნაწილად იჭრება, რადგან ვერც ერთი მხარე ვერ გრძნობს თავს გამარჯვებულად. გამარჯვების წარმავალი და უსარგებლო შეგრძნებაა უმთავრესი მიზანი. თქვენ წარმოიდგინეთ, ნახევარს ნაკლები ურჩევნიათ, რადგან ეს იმედს ტოვებს, რომ ოდესმე სხვანაირადაც მოხდება.

უზნეობაა იმაში ეჭვის შეტანა, რომ 26 იანვარს ოქროყანაში ენით აუწერელი სისაძაგლე მოხდა; უგუნურებაა იმის არდანახვა, რომ ამ სისაძაგლეს საფუძვლად ედო ოჯახის, ნათლია-მეჯვარეობის, ძმაკაცობისა და სხვა მსგავს ღირებულებათა ღრმა კრიზისი. მაგრამ ამ ტრაგედიის დაუშვებელი გამასხარავებაა, როცა **ირინა ენუქიძე** მიკროფონით ხელში გარშემო შეკრებილებს "უნივერსიტეტის გადასარჩენად" მოუწოდებს. საზოგადოება, რომელიც ამ დროს თავის თავში ვერ პოულობს ძალებს, გადაიხარხაროს, სერიოზულადაა ავად. უფრო მეტიც, ყველას, ვინც კი მის განკურნებას შეეცდება მართლაც რომ ვეტერინარის ალღო უნდა ჰქონდეს, რადგან ამგვარი პაციენტისგან ვერც ერთი მკურნალი ვერ ეღირსება თანმიმდევრულ და ადეკვატურ ანამნეზს.

net2phone

**Net2Phone (www.net2phone.com) - მსოფლიოს წამყვანი კომპანია VoIP ტექნოლოგიაში ეძებს პარტნიორებს საქართველოში**

თუ თქვენი კომპანია დაინტერესებულია IP-ტელეფონიის სერვისების შეთავაზებით, ან ის უკვე იმყოფება IP-ტელეფონიის პროვაიდერი, Net2Phone - ის სპეციალიზირებული სრული გადაწყვეტილებები სწრაფი დანერგვის გეგმით და მისი ბიზნეს განვითარების ჯგუფი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას წარმატებული თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:**
georgia@net2phone.com

**Georgian National airlines**

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო **CLUB Class** სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ **CLUB Class**-ით - ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, **Bombardier CRJ 200 LR** -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისარგებლე მეტი, გადაიხადე ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

უცხოეთი

# გამამართლებელი განაჩენები დაგვიანებით

რამდენიმე დღის წინათ ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ამერიკის მასმედიის წამყვანი თემა გახდა. 44 წლის ამერიკელი ალან ჰიუტონი ნიუ-იორკის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა. უდანაშაულობის დამტკიცებამდე ჰიუტონმა 22 წელი საპატიმროში გაატარა.

ალან ჰიუტონი 1984 წელს დააპატიმრეს და ბრალი დასდეს ახალგაზრდა ქალის გაუპატიურებასა და გაქურდვაში. 1985 წელს ამერიკის სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და 40 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 1994 წელს ალან ჰიუტონმა სარჩელით მიმართა ამერიკის სააპელაციო სასამართლოს და მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად დნმ-ის ანალიზის ჩატარება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ ჰიუსტონის სარჩელი მაშინ არ მიიღო. თუმცა, მსჯავრდებულის ხელახალი სარჩელი სასამართლომ გასულ წელს განიხილა. დნმ-ის ანალიზი ორ ლაბორატორიაში დამოუკიდებლად ჩატარდა და ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ალან ჰიუტონი გაუპატიურებაში არ მონაწილეობდა. 22 წლის შემდეგ ნიუ-იორკის სასამართლომ ალან ჰიუტონი უდანაშაულოდ ცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა. ხანგრძლივი, უკანონო პატიმრობისთვის უდანაშაულო ჰიუტონი სახელმწიფოსგან მორალური ზარალის ასანაზღაურებლად სოლიდურ კომპენსაციას მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტიკაში დნმ-ის ექსპერტიზის შემოღების შემდეგ, აშშ-ს 32 შტატში 181 მსჯავრდებული გამართლდა.

პირველი მსჯავრდებული, რომელმაც თავისი უდანაშაულობა დაადასტურა უილტონ დედჯა იყო. ფლორიდის შტატის სასამართლომ დაადგინა, რომ ყოფილ მსჯავრდებულს, უილტონ დედჯას ფინანსური კომპენსაციის სახით სახელმწიფომ ორი მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

დედჯამ გისოსებს მიღმა 22 წელი გაატარა და ის ბრალდებული იყო არასრულწლოვანის გაუპატიურებაში. 1982 წელს დედჯას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. 1988 წელს მან მოითხოვა გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადასტურებულიყო მისი უდანაშაულობა. მოგვიანებით, დნმ-ის ანალიზი ჩატარდა და დედჯას სიმართლე დადასტურდა. დედჯა გახლდათ პირველი მსჯავრდებული, რომელმაც გენეტიკური ექსპერტიზის მეთოდის გამოყენებით თავის უდანაშაულობა დაადასტურა და მსხვილი კომპენსაციაც მიიღო სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო.

მართლმსაჯულების მიერ დაშვებული შეცდომის მსხვერპლი გახდა ჩინელი მამაკაცი, რომელმაც საპატიმროში 11 წელი გაატარა. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო ცოლის მკვლელობაში. 1994 წელს შე სიანლინის ცოლი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, რამდენიმე თვის შემდეგ შე სიანლინის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ქალის ცხედარი, სამართალდამცველებმა იგი სიანლინის დაკარგული ცოლის ცხედრად მიიჩნიეს, ქმარი დააკავეს და ცოლის მკვლელობაში დასდეს ბრალი. 1994 წელს სიანლინს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ გასაჩივრების შემდეგ, სასამართლომ განაჩენის სისრულეში მოყვანა გადადო და საქმეში არსებული გაურკვევლობის გამო მას 15 წლით პატიმრობა მიესაჯა.

2005 წლის 25 მარტს სიანლინის ცოლი გამოჩნდა, როგორც აღმოჩნდა, მთელი ამ ხნის მანძილზე დაკარგული ქალი ჩინეთის სხვა პროვინციაში ცხოვრობდა. 11 წლის შემდეგ შე სიანლინის ახლობლებმა, რომლებიც მას მკვლელად თვლიდნენ, განაჩენი გაასაჩივრეს, მაგრამ მისი დაკმაყოფილება, მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მოხდა. სასამართლომ მსჯავრდებული უდანაშაულოდ ცნო და 11-წლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა. პროკურატურამ საქმის განმხილველი მოსამართლისა და გამომძიებლის დასჯა მოითხოვა.

გამართლებულმა შე სიანლინმა 11-წლიანი პატიმრობის შედეგად მიღებული ტრავმებისგან განსაკურნებლად კარგა ხანი საავადმყოფოში დაჰყო. მკურნალობის ხერჯები სახელმწიფომ გადაიხადა, გარდა ამისა, მას სახელმწიფომ სოლიდური კომპენსაციაც გადაუხადა - 30 ათასი დოლარი.

ცოტა ხნის წინათ მსგავსი პრეცედენტი მოხდა ნოვოსიბირსკშიც. სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ევგენი ლუკინის სარჩელი, რომელმაც სასამართლო შეცდომის გამო მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 5 წელი გაატარა. მკვლელობაში ბრალდებული ლუკინი, რომელსაც 10 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფოს კომპენსაციის სახით ერთი მილიონი მანეთის გადახდა დააკისრა.

*24 საათი*

# კონტრაბანდა თუ ანგარიშსწორება?

პირველი გვერდიდან

საწინააღმდეგოს ამბობს საფინანსო პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი, რომელსაც ფაქტი სასაცილოდ არ ყოფნის.

**„ფინანსური პოლიცია არავის არაფერს უდებს - პირიქით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები კონტრაბანდულ სიგარეტს იღებენ. ჩვენმა თანამშრომლებმა გააჩერეს მურადაშვილის მანქანა, საიდანაც ცხრა ყუთი კონტრაბანდული სიგარეტი ამოიღეს“,**-ამბობს ზურაბ არსოშვილი.

მისივე განცახდებით არის შემთხვევები, როდესაც ჩხრეკა და ამოღება ადგილზე ვერ ხდება.

**„თუ ხალხმრავალი ადგილია, ნივთმტკიცების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, რადგან სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობები იქმნება. ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, რას აცხადებენ ახლა მოწმეები. მე არ ვიცი, ვინ არიან ისინი. ისინი შეიძლება კონტარაბანდისტები იყვნენ და თვითონაც აღმოჩნდნენ ანალოგიურ სიტუაციაში“,** - აცხადებს არსოშვილი.

დაკავებულის მამა ამირან მურადაშვილი ჰყვება, როგორ დაიბარეს იგი ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა კაბინეტში და უთხრეს, რომ ფაქტი არ გაეხმაურებინა.

**„ჯერჯერობით გავჩერდეთ, მოვიდეს არსოშვილი და გადაწყდება, მგონი, რაღაც გაუგებრობააო. ჩემს შვილს მანქანა ორი თვის ნაყიდი აქვს და როგორც ფინანსურ პოლიციაში მითხრეს, ეს მანქანა კონტრაბანდის ზიდვაში არის შემჩნეული. ასე მითხრეს, შეცდომები ხომ ხდება, ჯერ გავარკვიოთო“ ,** - ამბობს დაკავებულის მამა.

დაკავებულის ადვოკატი თამარ თედლიაშვილი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა: **„ჩხრეკა და აყვანა მოხდა მჭიდროდ დასახლებულ ადგილას და არსებობს უამრავი მოწმე, რომლებიც მზად არიან, გამოძიებას ჩვენება მისცენ. მათი თქმით, დაკავების ადგილიდან ავტომობილი ცარიელი წამოიყვანეს. მოწმეები გაკვირვებულები არიან იმის გამო, თუ როგორ აღმოჩნდა, მურადაშვილის მანქანაში ამ რაოდენობის სიგარეტი. მათ ითხოვეს შეხვედრა ფინანსური პოლიციის უფროსთან, მაგრამ, რასაკვირველია, უარი მიიღეს“.**

თვითონ სოსო მურადაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს, როგორც მან სასამართლოს განუცხადა, 9 ყუთი უაქციზო სიგარეტი, რომელიც მის მანქანაში იყო „აღმოჩენილი“ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა მანქანაში თვითონვე ჩააწყვეს.

**„მანქანა სიგარეტით სავსე დამხვდა, მე არ ვიცი, საიდან გაჩნდა ჩემს მანქანაში სიგარეტი“,** - განაცხადა საამართლოზე მურადაშვილმა.

მოასამართლე ვათიაშვილმა გამომძიებელს კატეგორიულად მოსთხოვა დაესახელებინა ის მუხლი და სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვითაც ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს უფლება აქვთ პიროვნება დააკავონ და ჩხრეკა საკმაოდ მოშორებულ ადგილზე, რამდენიმე საათის შემდეგ ჩაატარონ.

იმის გამო, რომ ფინანსური პოლიციის გამომძიებელმა ხურცილავამ ასეთი მუხლი ვერ მიუთითა, იმის გამოც, რომ ასევე დარღვეული იყო საქართველოს კონსტიტუცია, მოსამართლე ვათიაშვილმა მიიჩნია, რომ ფინანსური პოლიციის მიერ მოთხოვნილი შუამდგომლობა, რომელიც ექვმიტანილისთვის ორთვიან წინასწარ პატიმრობას ითვალისწინებდა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და ექვმიტანილი დარბაზიდან გაუშვა.

# მიცვალებულს ორი წელიწადი ეძებდნენ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისი

28 წლის ზვიად გეგუჩაძის ცხედარი ახლობლებმა, ორიოდე დღის წინ, კოპიტნარში, უპატრონო მიცვალებულთა სასაფლაოზე აღმოაჩინეს. სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღას მკვიდრი ზვიად გეგუჩაძე 2004 წლის ნოემბერში გაუჩინარდა. მაშინვე უცნობი მამაკაცის ცხედარი სამართალდამცველებმა კოპიტნარში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, პოლიციაში დაასკვნეს, რომ უცნობ მამაკაცს მატარებელმა გადაუარა, ხოლო მას შემდეგ, რაც გვამს პატრონი არ გამოუჩნდა, იგი იქვე, შემთხვევის ადგილთან ახლოს დაკრძალეს.

გეგუჩაძის გაუჩინარების თაობაზე ოჯახის წევრებმა პოლიციას ორი თვის დაგვიანებით მიმართეს, თუმცა 28 წლის ახალგაზრდის გვამი, შემთხვევით, მესაფლავემ აღმოაჩინა, რომელიც გეგუჩაძის ოჯახის ახლობელი აღმოჩნდა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები პოლიციის ვერსიას არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ გეგუჩაძე მოკლულია.

**„გვამს კისერი აქვს გამოჭრილი და თავში ნატყვიარები აქვს. ვთქვათ, კისრის არეში ჭრილობა მატარებლის გადავლის შედეგად აქვს მიყენებული, მაგრამ თავში ტყვია საიდან აქვს მოხვედრილი?“** - ამბობს გარდაცვლილის ძმა.

ზვიად გეგუჩაძის ოჯახი გამოთქვამს ეჭვს იმის თაობაზე, თუ რატომ ან როგორ ეძებდნენ სამართალდამცავები მათ მიერვე დასაფლავებულ ადამიანს თითქმის ორი წლის მანძილზე. იმერეთის სამხარეო პოლიციაში კომენტარს არ აკეთებენ. ზვიად გეგუჩაძე კვირას დაკრძალეს. მისი ახლობლები პოლიციისგან საქმის განზრახ მკვლელობის მუხლით გამოძიებას მოითხოვენ.

# სახალხო დამცველი დევნილების ინტერესს იცავს

საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასტუმროებსა და სანატორიუმებში კომპაქტურად ჩასახლებულმა აფხაზეთიდან დევნილებმა.

განცხადების თანახმად, დევნილთა საცხოვრებელი ფართი კომპანია Adjara resorts holding BV-მ შეისყიდა და მათ შენობების დაცლა მოსთხოვა. დევნილები მიიჩნევდნენ, რომ მათთვის გამოყოფილი საკომპენსაციო თანხა არ იყო საკმარისი. ამასთან, განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ აჭარის მთავრობა და პოლიცია დევნილებზე ზეწოლას ახორციელებდნენ და მათ შენობების დატოვებას მუქარით აიძულებდნენ. ზეწოლაში იგულისხმებოდა წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მწყობრიდან გამოყვანა, ელექტრო-ენერგიის მიწოდების შეწყვეტა და ა.შ.

დევნილების განცხადებით, მუქარას ახორციელებდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირები, მათ შორის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე შველიძე, რომელმაც, დევნილების განცხადებით, 26 ივნისს თავის სამუშაო კაბინეტში დევნილებს შენობის დასაცლელად 48-საათიანი ვადა მისცა და, მისი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმის მეშვეობით შენობიდან გაძევებით დაემუქრა მათ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ადგილზე შეისწავლეს საკითხი და დაადგინეს, რომ დევნილები შენობებში განთავსებული იყვნენ სამართლებრივი აქტით, რაც მათი ამ შენობებში ცხოვრების კანონიერი საფუძველი იყო.

საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“.

ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით; ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;

ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;

დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

აღნიშნული ნორმის მიხედვით, დევნილის გამოსახლება შესაძლებელია, თუ მას წერილობით აქვს გაფორმებული შეთანხმება, თუმცა მისი გაფორმების ვალდებულება არ გააჩნია. თუ დევნილი წინააღმდეგია, სახელმწიფოს რჩება ალტერნატივა, გამოუყოს ისეთი საცხოვრებელი ფართი, რომლითაც მისი საყოფაცხოვრებო პირობები არ გაუარესდება.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, აჭარის მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული შეთანხმებით, სადავო ფართში სულ განთავსებული იყო დევნილთა 1921 ოჯახი. 2006 წლის 5 ივნისის მდგომარეობით შეთანხმება გაფორმდა 1601 ოჯახთან, ხოლო მათგან კომპენსაცია მიიღო 1579-მა ოჯახმა. დანარჩენ ოჯახებთან შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენლები აცხადებენ, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს და ინვესტორს მიემართათ სასამართლოსათვის ან დევნილთათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართი გამოეყოთ, 27 ივნისს დევნილები სასტუმრო „მედეადან“, აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, სპეციალური დანიშნულების რაზმისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა გამოძევეს.

სახალხო დამცველის განცხადებით, აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს არ ჰქონდათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ დევნილთა გამოსახლების პროცესში. შესაბამისად, აღნიშნული ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას.

ვინაიდან, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციელთა მიერ ჩადენილი ქმედებები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალები წინასწარი გამოძიების დასაწყებად საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს გადაეგზავნა.

*24 საათი*

მოკლედ

### ეჭვმიტანილები ცხელ კვალზე დააკავეს

გუშინწინ, გვიან ღამით, თბილისში, ხვიჩიას ქუჩაზე მომხდარ თავდასმაში ეჭვმიტანილები პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა. ყაჩაღურ თავდასხმას ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

პირზატიანების ოჯახში ორი შეიარაღებული პირი გვიან ღამით შეიჭრა. ამ დროს სახლში ცოლ-ქმარი პირზატიანები და მათი ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი იმყოფებოდა. ერთ-ერთი ვერსიით, ყაჩაღებმა ბავშვები მძევლად აიყვანეს. ოჯახის მეპატრონემ ერთ-ერთი შეიარაღებული პირი დანით დაჭრა, რასაც საპასუხოდ ექვსი გასროლა მოჰყვა. 69 წლის იური პირზატიანი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ თავდაპირველად მხოლოდ დაჭრილი ყაჩაღის დაკავება მოახერხა. ის ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფება. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სამართალდამცველებმა კიდევ ორი ეჭვმიტანილი დააკავეს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის ზურაბ ასანიშვილის ინფორმაციით, ხვიჩიას N12-ში მცხოვრებ პირზატიანების ოჯახში შეჭრილ ორ ყაჩაღს გარეთ, ავტომანქანაში, მესამე ელოდებოდა.

ზურაბ ასანიშვილის განცხადებით, თავდასხმაში მონაწილე ყველა ეჭვმიტანილი დაკავებულია- ისინი დაზარალებულების მეზობლები არიან. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. **24 საათი**

### ჟურნალისტი ლაგოდეხის პოლიციას უჩივის

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ ინფორმაციით, ლაგოდეხის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა ჟურნალისტ მარინა გოგოლაძეს ჩანთაში „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის ტყვია ჩაუდეს.

კახეთის რეგიონული გაზეთის „იმედის“ კორესპონდენტი მარინა გოგოლაძე მომხდარში ლაგოდეხის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილეს გია ლომიძეს ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ მას სამართალდამცველებმა ჩანთაში ტყვია დასაშინებლად ჩაუდეს. „ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სასამართალო პროცესის შესახებ საგაზეთო მასალის მოსამზადებლად ვიმყოფებოდი. ვცდილობდი, ლაგოდეხის პოლიციის უფროსისთვის არჩილ შაბურიშვილისთვის კომენტარი ჩამომერთმია, თუმცა უარი მითხრა. ლაგოდეხის პოლიციის უფროსის მოადგილემ გია ლომიძემ, თავისივე თანამშრომლების თანდასწრებით განმიცხადა, რომ ჩემი ხელჩანთა უნდა გაეჩხრიკა, რაზეც უარი მიიღო. მოთხოვნა რამდენჯერმე გამიმეორა. მოგვიანებით პოლიციის შენობაში შესულს, გია ლომიძემ კვლავ მოინდომა ჩემი ხელჩანთის გაჩხრეკა და საეჭვოდ ჩაიცინა. შენობიდან გამოსვლისთანავე, ჩანთა გავხსენი, ყველაფერი ამოვალაგე და ტყვიაც ამოვიღე, რომელიც დარწმუნებული ვარ, პოლიციამ შესაშინებლად ჩამიდო. როგორც ჩანს, ამით დამემუქრნენ და მიმანიშნეს, რომ სხვა დროს შეიძლება ხელჩანთაში იარაღი ან ნარკოტიკიც მიპოვონ“, - აცხადებს მარინა გოგოლაძე.

„ ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“ მომხდართან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოებისგან სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს. **მედიანიუსი**

### იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში

იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე იუსტიციის სამინისტროს დელეგაციასთან ერთად, ერთკვირიანი ვიზიტით ესტონეთში მიემგზავრება. მინისტრის მოადგილე ესტონეთში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორთან კობა ღლონტთან და სასწავლო ცენტრის ხუთ ტრენერთან ერთად გაემგზავრება.

ვიზიტი „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარება“ - ფარგლებში გაიმართება.

ქართული დელეგაციის წევრები ესტონეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილესა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ხელმძღვანელებს შეხვდებიან, გაეცნობიან ციხის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს და დაათვალიერებენ სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებას. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები უკვე იმყოფებოდნენ ნორვეგიაში, პოლონეთსა და ლიტვაში, სადაც ადგილზე გაეცნენ კოლეგ ების მუშაობას და მომავალი თანამშრომლობის გეგმები დასახეს. **24 საათი**



# თვითნებობიდან თვითმმართველობისკენ

გიორგი ასანიშვილი

*საზოგადოება დიდი ინტერესით მოელის შემოდგომისთვის დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს. ამ ინტერესს მხოლოდ პოლიტიკური ინტრიგა როდი განაპირობებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახლადარჩეულ რეგიონულ სტრუქტურებს ახალ გარემოში მოუწევთ საქმიანობა. გვესაუბრება რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.*



**- საქართველოს პარლამენტმა გასული წლის დეკემბერში მიიღო კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. არსებითად რა იცვლება? თვითმმართველობის სფერო რით იქნება განსხვავებული დღეს არსებულისგან? როგორ იგრძნობს ამას რიგითი მოქალაქე?**

- ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ამ ერთი დოკუმენტის ანალიზი საკმარისი არ იქნება იმისთვის, რომ მთლიანობაში გავიაზროთ, რა შეიცვლება ქვეყანაში. თვითმმართველობის რეფორმის დაყვანა მხოლოდ ერთ, თუნდაც ფუნდამენტურ კანონზე გაუმართლებელია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონში, რა თქმა უნდა, უამრავი სიახლეა. თუმცა, უფრო არსებითია დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, რომელიც არა მხოლოდ ამ კანონით, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებითაც არის გამყარებული.

როდესაც დეცენტრალიზაციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ იმას, რომ ადგილობრივ დონეზე აღარ იქნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული პირი. თვითმმართველობას მთლიანად ის ადამიანები განკარგავენ, რომელსაც ხალხი აირჩევს ან არჩეულებიდან იქნებიან არჩეულნი.

ეს არსებითი სიახლეა: გამოირიცხება ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა ადგილობრივი კანდიდატურების წარდგენისა და დამტკიცების პროცესში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, თუ როგორ შეიცვალა მდგომარეობა ქონებისა და ფინანსების განკარგვის კუთხით. ამ სფეროშიც ძალიან მნიშვნელოვანი გარღვევებია. კერძოდ, მიღებულია კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულება, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას გადასცეს ის ქონება, რომელიც მისი ფუნქციების შესასრულებლად არის აუცილებელი.

გარდა ამისა, მიღებულია კანონი „ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ“. ის იმით არის საყურადღებო, რომ უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსურ დამოუკიდებლობას. დღემდე თვითმმართველობის ფინანსები მთელ რიგ სუბიექტურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. კერძოდ, იმაზე, თუ რამდენად კეთილგანწყობილი იყო ფინანსთა სამინისტრო ამა თუ იმ რაიონის მიმართ, ან რამდენად კარგი ლობისტი ჰყავდა თვითმმართველობას ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ ეს საკითხი პოლიტიკურ კონიუნქტურაზე ან ამა თუ იმ პოლიტიკოსის კაპრიზზე, მის თვითნებობაზე აღარ არის დამოკიდებული.

**- ოპოზიცია ხელისუფლებას ხშირად ადანაშაულებს იმაში, რომ ცენტრი ცდილობს, რეგიონებიდან რაც შეიძლება მეტი გადასახადები წამოიღოს, უკან კი მიზერულ სახსრებს აბრუნებს. საკმაოდ დიდი ხმაური გამოიწვია პარლამენტის გადაწყვეტილებამ, რომ მოგების გადასახადი მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში ყოფილიყო მობილიზებული...**

- მოგების გადასახადი არც ერთ ქვეყანაში არ განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადის კატეგორიას. ესა თუ ის საწარმო მოგებას ხომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნახულობს? არ შეიძლება, საკითხი მხოლოდ საწარმოს რეგისტრაციის ადგილს მიებას. ვთქვათ, საწარმომ დაამზადა 10 ცალი კონსერვი და ის სხვადასხვა ქალაქში გაყიდა. ამ შემთხვევაში, მოგების გადასახადი რატომ უნდა შევიდეს მხოლოდ იმ რაიონის ბიუჯეტში, რომელშიც ეს საწარმო არის დარეგისტრირებული? თუ მოგების გადასახადს ადგილობრივ გადასახადად დავტოვებდით, დიდი იქნებოდა იმის შანსი, რომ თვითმმართველობა რომელიმე მსხვილი მეწარმის მძევალი ყოფილიყო. იგი ადგილობრივ ხელისუფლებას ულტიმატუმს წაუყენებდა და მას თავისი საწარმოს სხვა რაიონში გადატანის მუქარით დააშანტაჟებდა. ამასთან, ეს სერიოზული კორუფციული გარიგებების საგანიც გახდებოდა.

სხვა თემაა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც კონკრეტულად ამ თვითმმართველობაში დასაქმებული პირის გასამრჯელოდან გამომდინარეობს.

თვითმმართველობის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს, ახალი გადასახადების შემოღებას ან არსებულის განაკვეთების გაზრდას ვაპირებთ. ჩვენ ორიენტაცია უნდა ავიღოთ ისეთი ინსტრუმენტების შემოღებაზე, რომლებიც თვითმმართველობას გააძლიერებენ. ასეთი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს მოსაკრებელი...

**- მოსაკრებელთან დაკავშირებით სულ ცოტა ხნის წინათ კურიოზული სიტუაცია შეიქმნა კახეთის ერთ-ერთ რაიონში, სადაც გლეხებს, მათი ძროხების მიერ მოძოვილი ბალახისთვის, ბიუჯეტში ფულის გადახდას სთხოვდნენ.**

- ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს არ იყო ადგილობრივი ხელისუფლების ბრალი. ამ შემთხვევაში კანონში გაპარულ შეცდომასთან გვქონდა საქმე. ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია ისეთი მოსაკრებლის შემოღება, რომელიც კანონში არ არის გაწერილი.

**- როდესაც თვითმმართველობის სფეროში არსებულ პრობლემებზეა საუბარი, სახელდება ისიც, რომ ადგილებზე დიდი დეფიციტია ისეთი კვალიფიციური, პროფესიული კადრებისა, რომელთაც მართვის უნარჩვევები გააჩნიათ. მარტო კანონების მიღებით ეს საკითხი ვერ მოგვარდება. ამ კუთხით, რა დამატებითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო?**

- კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებით მართლაც ძალიან დიდი პრობლემები გვაქვს. ასეთი კადრების ყოლა კი ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითმმართველობის რეფორმას სათანადო ეფექტი არ ექნება. ამიტომ, ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა.

**- საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, არათანაბრად არის განვითარებული. როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა?**

- ეს პრობლემა ერთბაშად არ შექმნილა. ის წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავე იმის გამო შეიძინა, რომ ზოგიერთმა ქალაქმა და რაიონმა, რომლებსაც კონკრეტული ფუნქციები გააჩნდათ, პოსტსაბჭოთა პერიოდში შესაბამისი დატვირთვა დაკარგეს. სამწუხაროდ, ამ ფუნქციის სხვა რამით ჩანაცვლებაც ვერ მოხერხდა. საილუსტრაციოდ შემიძლია მოვიყვანო ტყიბულის რაიონი, რომლის მაჟორიტარი დეპუტატიც ვარ. დიდი ხნის განმავლობაში ტყიბული „აქტიური“ ქალაქი იყო, რომლის ფინანსურ და ეკონომიკურ სიძლიერეს, მნიშვნელოვანწილად, ქვანახშირის წარმოება განაპირობებდა. მას შემდეგ, რაც ქალაქს ეს ფუნქცია ჩამოსცილდა, პრობლემა თვალშისაცემი გახდა. ვფიქრობ, პირველ რიგში, კონკრეტული რაიონისთვის ძალიან მკაფიო ფუნქციის განსაზღვრაზე უნდა ვიზრუნოთ. თუ ასეთი ფუნქცია ვერ მოიძებნება, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ასეთი რაიონების დაფინანსებას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს.

**- ამ დღეებში თქვენ შეხვდით საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. რატომ დაინტერესდნენ უცხოელი ელჩები თვითმმართველობის საკითხებით?**

- ეს არ იყო პირველი შეხვედრა და, სავარაუდოდ, არც უკანასკნელი იქნება. უცხოელ პარტნიორებთან ჩვენ მუდმივი კონტაქტები გვაქვს. მთელი რიგი ორგანიზაციები უშუალოდ გვეხმარებიან კონკრეტული წინადადებების შემუშავებაში, სხვადასხვა პროგრამების მომზადებაში, გვაძლევენ რეკომენდაციებს... ბოლო ასეთ შეხვედრას, რომელიც 20 ივნისს ჩატარდა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუწია ორგანიზება. მასზე წარმოდგენილი იყო ჩვენი ყველა პარტნიორი, ყველა საელჩოს წარმომადგენელი. მათთან ერთად განვიხილეთ საკითხები, რომლებიც დეცენტრალიზაციას და თვითმმართველობის რეფორმას შეეხებოდა. ძალიან ვრცელი საუბარი გვქონდა საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებზეც.

**- დაბოლოს, ხომ არ იჩქარა ხელისუფლებამ თვითმმართველობის რეფორმის დაწყება, როდესაც ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი არ არის მოგვარებული? იქნებ, სჯობდა, ჯერ ეს საკითხი გადაწყვეტილიყო და თვითმმართველობის რეფორმა მას მორგებოდა?**

- თვითმმართველობის რეფორმას ყველა ქვეყანაში, როგორც წესი, თან მოსდევს რეგიონული მოწყობის პრინციპების გადასინჯვა. მაგრამ ჩვენ სპეციფიკურ მდგომარეობაში ვართ იმის გამო, რომ კონსტიტუციაში არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, რეგიონული მოწყობის საკითხი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ უნდა გადაწყდეს. თუმცა, ჩვენ ვერ დაველოდებოდით იმას, რომ ამ მიმართულებით (თვითმმართველობა მაქვს მხედველობაში) ნაბიჯები არ გადადგმულიყო. დარწმუნებული ვარ, სულ მალე რეგიონული მოწყობის საკითხსაც დავუბრუნდებით და ამის საშუალებას ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანება მოგვცემს.

# პოლონური გამოცდილება და ქართული სინამდვილე

*დასაწყისი N 143 - 144*

მაია შონია

საქართველოს დელეგაციამ, რომელიც ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ პოლონური გამოცდილების გაცნობის მიზნით ეწვია ამ ქვეყანას, მონაწილეობა მიიღო 2 ივნისს პოლონეთის ქალაქ გდანსკში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე: მრავალეროვნული და პოლიტიკური ურთიერთობების გამოცდილებიდან. კონფერენცია პოლონეთის სეიმის პატრონაჟით გაიმართა. გახსნას პოლონეთის სეიმის სენატის თავმჯდომარე ბოგდან ბოროსევიჩი დაესწრო.

- 80-იან წლებში დაწყებულმა "სოლიდარობის მოძრაობამ" პოლონეთის უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საქართველო ჩვენთვის ძალიან საინტერესო პარტნიორია. ჩვენ არ გვჯერა, რომ თქვენი ღვინო და ბორჯომი ცუდია. ჩვენი თავდაცვის მინისტრი ახლახან საქართველოში იყო და ქართული ღვინო ჩამოიტანა. უახლოეს მომავალში ვარშავაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ველოდებით.

საქართველოში ეროვნული უმცირესობების საკითხი მნიშვნელოვანია. ამიტომაც, არათუ ამ ღონისძიების პატრონაჟზე დავთანხმდი, კონფერენციაზე დასწრებაც მივიჩნიე საჭიროდ, რადგან მსურს თავად მოვისმინო, რას ამბობენ სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, კაშუბები ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, - ასე მიმართა კონფერენციის მონაწილეებს ბოგდან ბოროსევიჩმა.

ქართული დელეგაციის მასპინძელმა, გდანსკის მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის წარმომადგენელმა რენატა მისტაჟმა კაშუბების, პოლონეთის ტერიტორიაზე ყველაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები რეგიონული ჯგუფის პრობლემებზე ისაუბრა. - მართალია, კაშუბური ენა რეგიონულ, ანუ დამხმარე ენად გამოცხადდა პომორის სავოევოდოში, მაგრამ ახალმა თაობამ ეს ენა მაინც არ იცის. საკმარისად არ გამოიცემა კაშუბური სახელმძღვანელოები. კაშუბური ენის მომავალი თავად კაშუბ ხალხზეა დამოკიდებული, - აღნიშნა რენატა მისტაჟმა.

ქართული დელეგაციის წევრთა განცხადებები ეროვნული უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით გაცილებით მწვავე პრობლემატიკას მოიცავდა. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ქართველი, ცხინვალელი ოსი, სომეხი და აზერბაიჯანელი ერთ დელეგაციას წარმოადგენდა და კონფერენციაზე ყველა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე საუბრობდა, უკვე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. დელეგაციის ხელმძღვანელმა ზურაბ ბრაგვაძემ საქართველოს უახლესი ისტორია გაიხსენა - სამოქალაქო ომი, ჩრდილოელი მეზობლის მიერ ინსპირირებული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. განუხორციელებელი რეფორმები, "ვარდების რევოლუცია" და ის რეალობა, რომელიც დღეს არსებობს, დამშვიდების საშუალებას ჯერ კიდევ არ იძლევა. ამ ფონზე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის უფლებებიც ირღვევა. ის რეფორმები, რომლებიც პოლონეთში უკვე გატარდა, საქართველოში ჯერ კიდევ გასატარებელია.

სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ნორ-სერუნდის" წარმომადგენლის მარინა მიქოიანის განცხადებით, "საქართველოში ეროვნული უმცირესობების პრობლემები მოუგვარებელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებების დაცვას აღიარებს განურჩევლად ეროვნებისა, ეთნიკური წარმომავლობისა და რწმენისა. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს უჭირთ ინტეგრირების პროცესში ჩართვა და ამის ერთ-ერთი მიზეზი არის სახელმწიფო ენის არცოდნა. ეს ხელს უშლის მათ ჩართვას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამები, რომლებიც ამჟამად საქართველოში მოქმედებს, არაეფექტურია. ამას თან ერთვის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიც, რომლებიც საქართველოს ყველა მოქალაქეს და, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობებსაც ეხებათ. არსებობს პრობლემები ეროვნული უმცირესობების განათლების თვალსაზრისით. არადემოკრატიულად ჩატარდა მიწის რეფორმა. საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას ნაკლებად არის გათვალისწინებული არაქართველთა ინტერესები. არსებობს პრობლემები კომპაქტურად დასახლებულ ეროვნულ უმცირესობებსა და ამ რეგიონებში ჩასახლებულ ქართველებს შორის.

არსებული რეალობის შეცვლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა არის არასამთავრობო სექტორის აქტიურობა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ამ საკითხების მოგვარებაში."

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების ეფექტურობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა კახა გაბუნიამ ისაუბრა. მან არგუმენტირებულად ახსნა, თუ რატომ უჭირს არაქართულ მოსახლეობას ქართული ენის შესწავლა. - ეს პრობლემა კომუნისტური სისტემის გადმონაშთია. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ქართულის შესწავლა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. რუსული ენის ცოდნა საკმარისი იყო იმისთვის, რომ ადამიანს თავი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ ჩაეთვალა. პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. მართალია, არსებობს ქართული ენის სწავლების პროგრამები, მაგრამ ის არაეფექტურია, რადგან სწავლების მეთოდი არასწორად არის შერჩეული. ქართულ და არაქართულ სკოლებს შორის ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთ შემთხვევაში პროგრამის მოცულობა მეტია და მეორე შემთხვევაში - ნაკლები. სწავლების პროცესში კი გათვალისწინებული უნდა იყოს მთავარი პრინციპი - სახელმწიფო ენა არაქართველისთვის მეორე ენაა და მის შესწავლას სპეციალური მეთოდიკა სჭირდება. გარდა ამისა, აუცილებელია არაქართული მოსახლეობის სწორად ინფორმირება იმის შესახებ, თუ რატომ არის საჭირო სახელმწიფო ენის ცოდნა. აუცილებელია ასევე პედაგოგების მომზადება. 2004 წლიდან არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში განხორციელდა პროექტი "მომავალი იწყება დღეს", რომელიც ითვალისწინებდა პედაგოგების გაგზავნას ამ რეგიონებში ქართული ენის გაძლიერებული პროგრამით შესწავლის მიზნით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეუთოს მხარდაჭერით შეიმუშავა სახელმწიფო ენის შესწავლის ახალი სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის შესწავლას ორი მიმართულებით: როგორც მშობლიური ენის და როგორც მეორე ენის. მიმდინარეობს ადგილობრივი კადრების გადამზადების პროცესი. გამოვიდა სპეციალური პროგრამით შემუშავებული ქართული ენის სახელმძღვანელო არაქართველთათვის. ეუთოს მხარდაჭერით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2005 წლიდან ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია კომპაქტურად დასახლებული არაქართველებისთვის მათი მშობლიური ენის გაძლიერებულად სწავლება."

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები. ამ საკითხზე ისაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია "იბერ-ირონის" ხელმძღვანელმა მაია ცაბოშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მშვიდობა ყველასთვის" წარმომადგენლის, ცხინვალის მკვიდრის ლალი ფუხაევას განცხადებით, "ცხინვალში ბოლო 15 წლის მანძილზე გაიზარდა თაობა, რომელსაც ქართველებთან ერთად არასოდეს უცხოვრია. ისინი ქართველებს მტრებად მიიჩნევენ. ეს აუცილებლად შეუშლის ხელს ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არასამთავრობო სექტორის აქტიურობას და საერთაშორისო მხარდაჭერას."

ნონა ალდამოვა-ჯაფარიძემ პანკისის ხეობაში ჩასახლებულ ჩეჩენ დევნილთა პრობლემებზე და იმ პროექტების ეფექტურობაზე ისაუბრა, რომლებიც პანკისის ხეობაში განხორციელდა. მათ შორის დაასახელა ქალთა ფსიქოლოგიური დახმარების და დევნილთა სამართლებრივი განათლების მიღების მიზნით ჩატარებული სემინარები.

პოლონურმა მხარემ ქართულ დელეგაციას თანამშრომლობა შესთავაზა და პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.




# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ქ. ქუთაისში და ქ. ოზურგეთში სპორტული ობიექტების კაპიტალური მშენებლობის შესყიდვისათვის.**

**შესასყიდი ობიექტები დაყოფილია 2 (ორი) ლოტად, შემდეგი სახით:**

| ლოტი | რაიონი | ობიექტი | მისამართი |
|---|---|---|---|
| № 1 | ქუთაისი | სპორტის სასახლე | ახალგაზრდობის პროსპექტი №13 |
| № 2 | ოზურგეთი | სპორტული დარბაზი | მერაბ კოსტავასა ქ. №1 |

**ობიექტების მოკლე აღწერილობა:**

**ლოტზე N1** პროექტით გათვალისწინებულია სპორტის სასახლის კაპიტალური მშენებლობა, 1500-ს მაყურებელზე (ხელბურთის მინი ფეხბურთის, კალათბურთის, ფრემბურთის და ყველა სპორტული სახეობების და ა.შ.) მშენებლობისათვის არქიტექტურული კონსტრუქციული, სანტექნიკური ელექტრობა, გათბობა, ვენტილაცია, და ა.შ.)

**ლოტზე N2** პროექტით გათვალისწინებულია სპორტული დარბაზის კაპიტალური მშენებლობა, 500-ს მაყურებელზე (ხელბურთის მინი ფეხბურთის, კალათბურთის, ფრემბურთის და ყველა სპორტული სახეობების და ა.შ.) მშენებლობისათვის არქიტექტურული კონსტრუქციული სანტეხნიკური ელექტრობა, გათბობა, ვენტილაცია და ა.შ.)

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში.

- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ 31 ივლისის 17.00 საათამდე.

**- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**

*მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში*

*სახაზინო კოდი - 302003000*

ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით არაუგვიანეს **2006 წლის 1 აგვისტოს 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**- იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

**- ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
- ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.
- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 1 აგვისტოს 17:00 საათზე.**
- სატენდერო წინადადებების შეფასება მოხდება **2 აგვისტოს 17.00 საათზე.**

**- ტენდერი ითვალისწინებს მრავალწლიან შესყიდვას კერძოდ (2006-2007) წლებში.**

- სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლისათვის მთლიანი სამუშაოს 40%-ის შესრულებით, ხოლო ობიექტების ჩაბარების საბოლოო ვადაა 2007 წლის 1 სექტემბრამდე.

**- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ:**

**ირაკლი სამყურაშვილი- 899 77-71-03**

**თენგიზ ღურწკაია - 899 22-92-80**

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (მისამართი: ქ. თბილისი, გ. ცაბაძის ქ. N8, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107 ანგარიშის N001132801, საიდენტიფიკაციო კოდი 202195070) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) ერთეული დიდი ტევადობის, დიზელის ძრავზე მომუშავე საქალაქო-სამგზავრო ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავალდებულო ვადაა შემსყიდველსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის ხელშეკრულებიშ გაფორმებიდან არაუმეტეს 45 დღე. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და დახურული კონვერტით (ორიგინალი და ორი ასლი) წარმოდგენილ იქნეს სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 1 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 2 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გ. ცაბაძის ქ. N8, IV სართული, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

- იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია.
- ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

5. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006Qწლის 10 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 31 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი გ. ცაბაძის ქ. N8, IV სართული, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, სატენდერო კომისიის აპარატი.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისაიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნესტორ არჩუაძე - საკონტაქტო ტელეფონი 34 61 28.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ. ქუთაისის N2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ურიდიულ და ფიზიკურ პირს.**

**მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:**

| N | საქონლის დახასიათება | ლოტი | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | შაქარი | ლოტი N1 | კგ | 9 400 |
| 2 | ჩაი | ლოტი N2 | კგ | 255 |
| 3 | ბრინჯი | ლოტი N3 | კგ | 1 185 |
| 4 | წიწიბურა | ლოტი N4 | კგ | 1 185 |
| 5 | მაკარონი | ლოტი N5 | კგ | 3 025 |
| 6 | მცენარეული ზეთი რაფინირებული | ლოტი N6 | ლიტრი | 5 100 |
| 7 | მარილი | ლოტი N7 | კგ | 2 050 |
| 8 | ტომატი | ლოტი N8 | კგ | 765 |
| 9 | ცხიმი | ლოტი N9 | კგ | 9 440 |
| 10 | გაყინული თევზი | ლოტი N10 | კგ | 18 800 |
| 11 | საქონლის ხორცის | ლოტი N11 | კგ | 5 100 |
| 12 | ქათმის ბარკალი | ლოტი N12 | კგ | 9 400 |
| 13 | კარტოფილი | ლოტი N13 | კგ | 110 200 |
| 14 | ხახვი | ლოტი N14 | კგ | 6 400 |
| 15 | სტაფილო | ლოტი N15 | კგ | 6 400 |
| 16 | ჭარხალი | ლოტი N16 | კგ | 4 200 |
| 17 | კომბოსტო | ლოტი N17 | კგ | 36 300 |
| 18 | მწვანილი | ლოტი N18 | კგ | 1 275 |
| 19 | დაფნა | ლოტი N19 | კგ | 34 |

**დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ სპეციალურ ანგარიშზე. საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების ანგარიში 200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 31 ივლისამდე ქ. ქუთაისი N2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მისამართი: ხარებავას ქუჩა ავტოქარხნის წინა მიმდებარე ტერიტორია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.**

**მოწოდება უნდა განხორციელდეს ქ. ქუთაისი N2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მის: ქუთაისი ხარებავას ქუჩა ავტოქარხნის წინა მიმდებარე ტერიტორია.**

**მიწოდების ვადა განისაზღვრება ეტაპობრივად შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.**

**პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე ქ. ქუთაისის ხარებავას ქუჩა ავტოქარხნის წინა მიმდებარე ტერიტორია N2 საპყრობილის და მკასცრი რეჟიმის დაწესებულება 2006 წლის 31 ივლისის 13 საათამდე.**

**საკვალიფიკაციო მონაცემებისა დასატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 31 ივლისს 13 საათზე.**

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**

**იურიდიული პირებისათვის:**

**1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა.**

**2. ცნობა შინაგან საქმეთა სამინიტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის.**

**3. ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.**

**4. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;**

**5. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.**

**6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.**

**ფიზიკური პირებისაათვის:**

**1. უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.**

**2. ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.**

**3. ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.**

**4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.**

**უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის ზემოაღნიშნული ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებებიდან.**

**სუბკონტრაქტორის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.**

**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის, თუ იგი 31 ივლისის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.**

**ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს: მისამართზე მისამართზე ქ. ქუთაისის ხარებავას ქუჩა ავტოქარხნის წინა მიმდებარე ტერიტორია N2 საპყრობილის და მკასცრი რეჟიმის დაწესებულება. ტელ: 8 231 9-53-58, 899 624 473, 855 163 129**

**გამოცხადების თარიღი: 2006 წლის 10 ივლისი**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2006 წლის 20 ივლისი**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა (საათი): 17:00 საათი (თბილისის დროით)**

საგანი: განფასების განაცხადის მიღება.

პროგრამა: ენერგეტიკის განვითარება სოფლად.

ვინროქ ინტერნეშენელი (Winrock International) ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჯგუფთან თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს ენერგეტიკის განვითარება სოფლად. პროგრამის მიზანია ორი 4კვტ-იანი მიკრო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ამბროლაურის რაიონის სოფლებში გადამში და ჭვებარი. პროგრამის ფარგლებში სოფლების ენერგომომარაგების მიზნით გაწეული იქნება ტექნიკური და ფინანსური ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენ ვითანამშრომლებთ დასხელებულ თემებთან, რათა დავეხმაროთ აღნიშნულ ინიციატივაში მონაწილეობის მიღებაში და ენერგოპროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში. ამას გარდა, პროექტი მიზნად ისახავს მეწარმეებისთვის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელებას და ახალი ბიზნეს შესაძლებლობების წარმოჩინებას რაც ხელს შეუწყობს ენერგომომსახურების კომერციალიზაციას.

*მიმოხილვა*

მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ტურბინების, გენერატორებისა და მართვის აპარატებისაგან შემდგარი პაკეტის მოწოდების, დამონტაჟებისა და დამონტაჟების შემდგომი საგარანტიო ერთწლიანი მომსახურების განფასება ქვემოთ წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ, აღნიშნული ობიექტი შეძლებს დამოუკიდებელ რეჟიმში მუშაობასაც.

ჰიდროელექტრო პარამეტრები:

| | |
|---|---|
| მიახლოებითი დადგმული სიმძლავრე | 4 კვტ |
| წყლის ხარჯი | 0,085მ³/წმ |
| ტურბინის ტიპი | პროპელერი |
| მაქსიმალური დაწნევა | 10 მ |
| მილსადენის დიამეტრი | 150-200 მმ |
| საშუალო დაწნევა | 8,5 მ |
| მიახლოებითი წლიური გამომუშავება | 28,000 კვტ/სთ |

***განფასება:***

| პარამეტრები | |
|---|---|
| ტურბინის ტიპი | პროპელერი |
| ერთეულის რაოდენობა | 2 |
| თითოეული ერთეულის სიმძლავრე | 4 კვტ |
| ბრუნთა რიცხვი | 3000 ბრ/წთ |
| ეფექტურობა | 85% |
| დაწნევა | 8,5 მ |
| მაქსიმალური დაწნევა | 10 მ |
| მინიმლაური დაწნევა | 6,5 მ |

*მოთხოვნები*

ლიცენზირებულმა და კვალიფიციურმა კომპანიებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

1. ჰიდროელექტრო დანადგარების წარმოების, იმპორტირების, დამონტაჟების 4+ წლის გამოცდილება.
2. აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ყველა მასალა და ტექნიკური საშუალება.
3. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მომწოდებლის მიერ შესრულებული პროექტების ჩამონათვალი.
4. ზემოთ ჩამოთვლილი აღჭურვილობის განფასება დოლარებში, დამონტაჟების ღირებულების ჩათვლით და ერთწლიანი გარანტიით, დაბეჭდილ კონვერტში უნდა წარმოადგინოთ პროგრამის - ენერგეტიკის განვითარება სოფლად, თბილისის ოფისში არაუგვიანეს 2006 წლის 20 ივლისის საღამოს 5 საათისა. ან მიწოდებულ იქნას ბ-ნ Gიორგი რამიშვილის სახელზე: ფაქსი (995 32) 93-53-52; ელ-ფოსტა: george.ramishvili@pageorgia.ge
5. მოთხოვნილი აღჭურვილობის ობიექტზე მიწოდებისა და დამონტაჟების ბოლო ვადაა 2006 წლის 25 აგვისტო.

ყველა მასალა და დოკუმენტაცია ქართულ ან ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. პროექტის სრული პაკეტის ან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ ბ-ნ გიორგი რამიშვილს: ელ-ფოსტა: George.Ramishvili@pageorgia.ge; ტელეფონი: (992 32) 50 63 43, დამატებითი შიდა ნომერი: 613. მისამათი: თბილისი, საქართველო, 0108, ძმები კაკაბაძეების 26.

# ფრაგმენტები შეხვედრებიდან, ანუ ერთი ნაბიჯი პორტრეტისაკენ

## ნოდარ მგალობლიშვილი - 75

ნანა ჭრელაშვილი



**„ვარ ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც აქვს პრინციპები, შეხედულებები, როგორც ცხოვრებაზე, ასევე პროფესიაზე. ვიცხოვრე ჩვეულებრივად, მქონდა სიხარულიც, მწუხარებაც, სევდაც, წარმატებაც და დამარცხებაც. არასოდეს ვივიწყებ მამის სიტყვებს: ჯობია მოკლული იყო, ვიდრე მკვლელი.**

**უნიჭო ალბათ არ ვარ, მაგრამ არასოდეს, არც მიფიქრია, რომ ჩემით იწყება და მთავრდება ყველაფერი. თუ ოდნავ მაინც იცი კაცობრიობის ისტორია, უნდა თქვა, რომ ერთი ჭიანჭველა ხარ და მეტი არაფერი.**

**სამწუხაროდ, ისეთ ეპოქაში დავიბადე, გვიან მივხვდი, რომ უფლის უნდა გწამდეს. საკუთარ საქციელს თუ დაუნდობლად არ მოექცევი, ყოველთვის ბევრი რამ შეგეშლება. ზოგჯერ მარტოობა ძალიან სასარგებლოცაა, საკუთარი საქციელის თვითანალიზისათვის. ასე მგონია მარტოობის მშიშარა ადამიანს ეშინია. ცოტა მელანქოლიკიც ვარ, მაგრამ ვცდილობ, რომ მელანქოლიამ არ დამჩაგროს. არასოდეს შემშინებია უფულობის, არ მიყვარს წუწუნი და ფიქრი, რომ არ გამიმართლა. იმისათვის, რომ უკეთ მეცხოვრა პრინციპებისთვის არ მიღალატია.**

**ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა მამა გავხდი. გული არაფერზე მწყდება. არც მიუღებელ როლებზე, არც მატერიალურ კეთილდღეობაზე. ვხვდები, რომ ეს თვისება ადამიანისთვის არ არის სასარგებლო, მაგრამ მე დღემდე ასეთად დავრჩი.**

**ერთი ოცნება მაქვს, რომ არაფრის შემეშინდეს. რა და როგორ გავაკეთე, ამას დრო იტყვის. ვფიქრობ, რომ უნდა გააკეთო ცოტა და კარგი, რადგან ბევრში ბევრი ცუდი იქნება.**

**ჩვენი თაობის დიდი ნაწილი წავიდა... ვინც ვართ დღეს თეატრში, ჩვენი არსებობა იქ არ შეიძლება, იმიტომ რომ არ არის ამის საფუძველი, ნიადაგი, მოთხოვნილება. ძალიან შეურაწმყოფელია, როცა თეატრში მხოლოდ ხელფასის გამო ხარ. ველოდები, ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები თეატრში. თუ არ იქნება ჩემთვის მისაღები გარემო და არ ვიქნები საჭირო არ გავჩერდები.“**

ჩუმი, სევდიანი სახლი, გაცრეცილი კედლები. ყველაფერი, ყველაფერი სადა, ზედმეტად სადაც კი!.. ვეძებ ფოტოებს, სცენაზე შეჩერებულ წამებს — ჰაკის, ხევისთავს, იაგოს, პილატეს, მაგრამ ამაოდ, ისინი ამ სახლის ინტერიერის ბინადარნი ვერ გამხდარან (როგორც საერთოდ არტისტების სახლებს სჩვევიათ ხოლმე), ალბათ სადღაც სკივრში ან მივიწყებულ ფოტოალბომებშია შემონახული.

ცოტაც და ამაზე ფიქრის დრო არც მქონდა, მასპინძლის სისადავემ, უბრალოებამ, სილაღემ და იუმორმა კიდევ უფრო დამაბნია. სულ მალე აღარც ფოტოების გარეშე დარჩენილი კედლები მახსოვდა და არც უცნაური სისადავე, რადგან გენიალური არტისტის ნოდარ მგალობლიშვილის პირისპირ ყველაფერი საოცარი ფერებით აივსო. ისეთივე განცდა მქონდა, როგორც სპექტაკლის დაწყების წინ - ახალი სამყაროს ხილვის მოლოდინში. ჩემს წინ ერთდროულად გაიშალა ბავშვობაში ჩარჩენილი სასცენო სახეები და ადამიანი, რომელსაც დრომ და წლებმა ხიბლი, პიროვნული ღირსებები ვერ დაუკარგა.

- ბატონო ნოდარ, გავიგეთ „ჰაკი აძბას“ და „ჯაყოს ხიზნების“ ფირი გაქვთ...შეიძლება ვნახოთ?

ეღიმება და ამ ღიმილში ყველაფერია თანხმობა, სიხარული, სევდა, ყველაფერი სიამაყის გარდა.

ჯერ „ჯაყოს ხიზნები“ ვნახეთ, შემდეგ „ჰაკი“, საოცარი სანახაობა გახლდათ, როგორ უყურებდა მსახიობი კადრებს, რომლის ავტორი თავად გახლდათ...ის ახლაც იქ იყო, სცენაზე, შინაგანად თამაშობდა.

ასეთი იყო პირველი იღბლიანი შეხვედრა ბატონ ნოდართან და საბედნიეროდ არა ერთადერთი. ის თავისუფალი, ლაღი მოსაუბრეა, მაგრამ ძნელია მოგონებები დატყუო. სხვადასხვა დროს, შეხვედრებიდან აკინძული მოგონებები, სულ ოდნავ მაინც მიგვაახლოებს არტისტთან, რომელიც დღესაც უწინდებურად უყვართ და ელიან მის მიერ განსახიერებულ გმირებს.

მგალობლიშვილებს ძალიან ტრაგიკული ბედი დაჰყოლიათ, 1937 წლის პოლიტიკური ამბების გამო, მათი გვარი თითქმის განადგურებულა. ბატონი ნოდარის მამაც 39-42 წლებში პატიმრობაში იმყოფებოდა. ომის დროს საჯარო ბატალიონში გაწვევა მოუთხოვია, ქერჩის აღება-დატოვებას მის თვალწინ გაუვლია, მაგრამ გადარჩენილა. თუმცა მძიმე წლებმა მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა და 1950 წელს ტვინის სიმსივნით გარდაცვლილა. სწორედ იმ წელს ამთავრებდა სკოლას ბატონი ნოდარი, რომელიც კონსერვატორიაში ჩასაბარებლად ემზადებოდა. მასში მომავალ წარმატებულ საოპერო მომღერალს ხედავდნენ, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო ხმა დაკარგა. ეს მისთვის კიდევ ერთი ტრაგედია გახლდათ.

**„ძალიან რთული პერიოდი დაგვიდგა. დედას ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა, მამიდასთან ვცხოვრობდით. მუსიკის გარეშე დარჩენილმა, ბედი გეპეიში მეტალურგიულზე ვცადე, მაგრამ ჩავიჭერი“.**

საბედნიეროდ!!! არ ვიცი ბატონი ნოდარი რამდენად იქნებოდა შენაძენი მეტალურგიისთვის, მაგრამ ქართული თეატრი და რუსული კინო ვერ აღმოაჩენდა შესანიშნავ მსახიობს. ამქვეყნად შემთხვევით ალბათ მართლაც არაფერი ხდება.

**„ქუჩაში დარჩენილს“ ზურიკო ანჯაფარიძის ძმა - ჯემალი - შემხვდა. სწორედ მან მირჩია თეატრალურ ინსტიტუტში მეცადა ბედი, თავად სარეჟისოროზე აბარებდა. მანამდე თეატრალურ წრეზეც კი არ მივლია, მაგრამ რაღაც ძალამ მიბიძგა და ბედი ვცადე“.**

ბატონ ნოდარს ინსტიტუტში კი კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა.

**„მე და ირაკლი უჩანეიშვილი ერთად ვცეკვავდით ჩივაძის ქართული ცეკვის სტუდიაში. ის ათი წლის იყო, მე თორმეტის. ორივე სოლოლაკში ვცხოვრობდით. ომის დაწყებაც ერთად გავიგეთ, ცეკვის გაკვეთილზე მასწავლებელმა გვითხრა, მაგრამ იმ დღეს ვერ გავაცნობიერეთ ეს რას ნიშნავდა. გავბრაზდით კიდეც, გაკვეთილი რომ ჩაიშალა. ამ დღის შემდეგ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. თეატრალურ ინსტიტუტში რომ ვაბარებდი იმ წელს, რუსთაველის თეატრი და თეატრალური ინსტიტუტი დამწვარი იყო, ამიტომ გამოცდები პლეხანოვზე, თევზის მაღაზიის გვერდით, პატარა შენობაში ტარდებოდა. გამოცდაზე მიმავალს გზად ირაკლი შემხვდა, გაგავეხარდა ერთმანეთის ნახვა, არ გავუმხილე სად მივდიოდი, არც მან. საუბარში საგამოცდო შენობის კარსაც მივუახლოვდით, შეჩერდა, მეც შევჩერდი. მითხრა აქ უნდა შევიდე საქმე მაქვსო. როცა გაიგო, რომ მეც იქ შევდიოდი, მკითხა - შენ აქ რა გინდაო. მე მივხვდი რაც ხდებოდა და ვუთხარი მეც ის საქმე მაქვს, რაც შენ-თქო. იქ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გამორჩეულმა ახალგაზრდამ, მასზე ირაკლიმ იკითხა, - ეს გრძელი ვინ არისო, როგორც მერე გაირკვა - ოთარ მეღვინეთუხუცესი გახლდათ“.**

მას შემდეგ ნოდარ მგალობლიშვილი, ირაკლი უჩანეიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი შემოქმედებით გზაზე ერთმანეთს აღარ დაცილებიან. **„ირაკლის საოცარი ერთგულება ჰქონდა თავის საქმისა და თეატრის მიმართ“.** დღეს ირაკლი უჩანეიშვილი მათ გვერდით აღარ არის, ამიტომაც უყურებს ბატონი ნოდარი „ჰაკი აძბას“ სევდანარევი განწყობით, სადაც რეჟისორს სამი მეგობრისთვის ზუსტად შეურჩევია როლები.

**„როგორც ყველაფერში, მეგობრობაშიც ზღვარის არსებობა აუცილებელია. მხოლოდ ასე შეძლებ კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სიბრიყვემდე გულახდილობა არ ვარგა.. უნდა არსებობდეს რაღაც შენი და მხოლოდ შენთან.“**

- ბატონო ნოდარ, ალბათ პირიქითაც ხდება ხოლმე, როცა პარტნიორთან ცუდი დამოკიდებულება გაქვს და მასთან ერთად თამაში გიწევს.

- შეიძლება ოჯახში ყველა ერთნაირად არ გიყვარდეს ან ვიღაცასთან მეტი საერთო გქონდეს. ასევეა თეატრშიც. შეიძლება ყველას მეგობარი და ახლობელი არ იყო, მაგრამ პატივისცემის გრძნობა უნდა გაგაჩნდეს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობაში პატივისცემას, თუ ეს დაკარგე საქმესაც ავნებ, პარტნიორსაც. არ შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრო. სცენაზე არ უნდა ჩანდეს პარტნიორისადმი პირადი დაპირისპირება. თუ ეს ვერ შეძელი, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება; არა მარტო კონკრეტული მსახიობი, არამედ სპექტაკლიც. ზოგჯერ პირიქითაც ხდება, სპექტაკლი მკურნალადაც კი ევლინება ურთიერთობებს. მეც მქონია უსიამოვნებები, მაგრამ სცენაზე გასვლის წინ ამაზე არასოდეს მიფიქრია.

ბატონ ნოდარი არასოდეს საუბრობს საკუთარ წარმატებებზე, ზედმეტად თავმდაბალი და თვითკრიტიკულია: **„ყოველთვის საშუალოდ ვსწავლობდი და ასეთად დავრჩი დღემდე...“** მის ამ ფრაზებზე მეღიმება, კიდევ უფრო მაოცებს და ვხვდები, რომ თავმდაბლობა ნიჭიერი ადამიანის თვისებაა, რასაც დღეს ჩვენს საზოგადოებაში ძალიან ძნელად თუ აღმოაჩენთ.

**„ერთნაირად ცუდია, როცა გგონია, რომ შენით იწყება და მთავრდება ყველაფერი ან პირიქით, როცა გგონია რომ არაფერი იცი. ლტოლვა თვითკრიტიკისაკენ ადამიანში აუცილებლად უნდა იყოს.“**

სამაგიეროდ, კოლეგების წარმატებებზე გულუხვად გესაუბრება.

**„ქალბატონი ლილი იოსელიანმა მითხრა, როდესაც როლების განაწილების სიას კითხულობ, შენს განწყობაზე ვერასოდეს ვხვდები, როდის ხარ იქ და როდის არაო. ბედნიერი ვარ, რომ მივეჩვიე სხვის წარმატებებს და იმას, რომ ეს არ იწვევდა ჩემში გაღიზიანებას. სხვებში ყოველთვის საინტერესოს ვეძებდი. ეს თვისება ჩემთვის სასარგებლო აღმოჩნდა“.**

- ბატონო ნოდარ, მსახიობის გმირთან მიახლოების პროცესი ყველაზე საინტერესო და იდუმალია, შესაძლებელია ამის ახსნა?

- ეს ისეთი ქვეცნობიერი პროცესია, მსახიობს ამის ახსნა არ შეუძლია. თუ ვინმე ამ პროცესზე რამეს იტყვის ე. ი. ცრუობს. სხვის ქურქში შესვლა არ ხდება ერთ დღეში, ერთ რეპეტიციაზე. სპექტაკლი 10-20- ჯერ მაინც უნდა გათამაშდეს, გმირმა საკუთარი სახე რომ მიიღოს. რეპეტიციაზე ჩატარებული მექანიკური ანალიზი არ არის საკმარისი, მთავარია, ქვეცნობიერად მიმდინარე პროცესი შედგეს. მსახიობს, რომელიც ერთსა და იმავე ნახაზს იმეორებს საინტერესო როლი არ გამოუვა. აუცილებელია იმპროვიზირება. მიხეილ ჩეხოვს აქვს კარგი გამონათქვამი: როდესაც ატყობ, რომ შენი მოქმედება იშტამპება, ამ დროს სჯობს როლს გადაახტე, შეცვალო, ალოგიკურიც კი შეიტანო, რომ სიახლე იგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ სტანისლავსკის სისტემით ეს მიუღებელია, ზოგჯერ ამართლებს.

მსახიობი აქვე დასძენს: **„ყველაზე კარგი თვისებაა, როცა ადამიანს ადამიანის სჯერა. ასეა თეატრიც. თუ მსახიობს არ სჯერა რასაც აკეთებს, არაფერი გამოუვა. მას არ უნდა ეშინოდეს ცვლილებების და რაც მთავარია, უნდა იყოს ნიჭიერი!**

ბატონი ნოდარი თვლის, რომ თეატრისგან განსხვავებით, - **„ქართულ კინოზე არც გაბრაზებული ვარ და არც კმაყოფილი. ქართველმა კინორეჟისორებმა უარყვეს ჩემი შემოქმედებითი პოტენციალი.“** მაშინ, როცა რუსულ კინოში შესანიშნავი სახეები შექმნა. მას დღესაც ხშირად უწევს გადასაღებ მოედანზე მუშაობა, ოღონდ რუსული კინოსთვის!

მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ მგალობლიშვილისთვის ცხოვრება არასოდეს იყო ადვილი, უამრავი განსაცდელისა და ტკივილის მიუხედავად, ღირსებები არასოდეს დაუთმია. **„სულს დიდი მოვლა სჭირდება - არ უნდა დააცარიელო. ცხოვრებისეული პრობლემებისგან დიდი ზეწოლა ხდება, ყოფა საშინლად დამთრგუნველია, მაგრამ მაინც ისე უნდა შეძლო ცხოვრება, რომ რაღაც თქვა.“**

ამ ფრაგმენტებს მიღმა სათქმელი და მოსაყოლი მასზე კიდევ ბევრი დარჩა. ამაზე სხვა დროს, იმედი,ა ახალ როლებთან ერთად ვისაუბრებთ.

ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია პორტრეტისაკენ...

# ხმათა ღაღადი კოსმოსიდან...

ქართული მრავალხმიანობის შედევრის „ჩაკრულოს“ გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა გადაგვაწყვეტინა ამ წერილის გამოქვეყნება. ბევრმა, შესაძლოა, არ იცის, რომ - **„იუნესკო აღიარებს ქართულ ხალხურ სიმღერას კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და ხელთუქმნელი საგანძურის შედევრად“;** 2001 წლის 18 მაისით დათარიღებულ ამ სიგელს იუნესკოს გენერალური დირექტორი - კაიშირო მაცურა აწერს ხელს.

მაღალი კულტურის მაჩვენებელი ეს საგანძური, მხოლოდ ჩვენთვის არ არის ღირებული, არამედ მსოფლიოს სხვა ერებისთვისაც, მათ შორის, ამერიკელების, იაპონელების და ფრანგებისთვის, რომელთა ანსამბლებიც, ურთულეს ქართულ მრავალხმიან სიმღერებსა თუ საგალობლებს შესანიშნავად ასრულებენ.

ამის მტკიცება და ფაქტობრივი დადასტურება თუ ოდესმე დაგვჭირდებოდა ესეც არ გვეგონა, მაგრამ ეტყობა ყველაფერს უნდა მოელოდე ავის მოსურნეთაგან.

2004 წელს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გამოცემულ მუსიკალურ კომპაქტ-დისკში, სახელწოდებით - „ტაიგის მონატრება“, საბჭოთა კავშირის ხალხთა ასი სიმღერაა შესული. მათ შორის, ორი სიმღერა - კახური „ჩაკრულო“ და რაჭული „მრავალჟამიერი“ სომხურ სიმღერებადაა მონათლული, ხოლო ანსამბლი „რუსთავი“ - სომხურ ანსამბლად. უნდა ითქვას, რომ მუსიკალური სტუდია Reader's Digest-ის მიერ გამოცემული „ნაღვაწი“ გერმანიაში, შვეიცარიასა და ავსტრიაში დიდი წარმატებით იყიდება და სოლიდური თანხა - 70 ევრო ღირს. ხსენებული კომპაქტდისკი გერმანიაში მოღვაწე საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის ერთ-ერთმა წევრმა თამაზ ბათიაშვილმა აღმოაჩინა და საქართველოში ჩამოიტანა.

ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელის ანზორ ერქომაიშვილის თქმით, გერმანელებს ხსენებული „ინფორმაცია“ სავარაუდოდ მოსკოვში არსებულმა ფირმა „მელოდიამ“ მიაწოდა, რადგან თბილისში არსებული მისი ფილიალის გაუქმების შემდეგ, მოსკოვი გახდა მისი მემკვიდრე. მსგავს დაუდევრობას, უზუსტობას თუ დანაშაულს სამართლებრივად უნდა გაეცეს პასუხი, რისთვისაც ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელობამ (დირექტორი ბადრი თოიძე) ადვოკატი აიყვანა, ფაქტიც გააპროტესტა და ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვა.

საინტერესოა, რომ 1977 წლის 20 აგვისტოს და 5 სექტემბერს ამერიკელებმა კოსმოსში ავტომატური საპლანეტათაშორისო სადგურები - „ვოიაჯერ-2“ და „ვოიაჯერ-1“ გაუშვეს. ორივე კოსმოსურ ხომალდზე მოთავსებული იდენტური ლითონის დისკო და გრამფირფიტა - „დედამიწის ხმები“ მიზნად ისახავს დედამიწის ცივილიზაციის და კაცობრიობის შესახებ წარმოდგენა შეუქმნას სხვა ცივილიზაციას, თუკი მსგავსი რამ გალაქტიკაში არსებობს და პასუხი გასცეს შეკითხვას - „ვართ თუ არა მარტონი?“ დისკოზე გამოსახულია ქალის და მამაკაცის ფიგურები, მზის სისტემა და ის ადგილი, საიდანაც კოსმოსურმა ხომალდმა სტარტი აიღო, ხოლო 110 წუთიანი ხანგრძლივობის გრამფირფიტაზე ჩაწერილია გაეროს გენერალური მდივნის - ვალდჰაიმის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის - კარტერის მიმართვები, მისალმება სამოც ენაზე, წყლის ხმაური, ვულკანის ამოფრქვევა, ბავშვის ტირილი და მათ შორის „ჩაკრულო“, როგორც მუსიკალური მრავალხმიანობის შედევრი.

ანზორ ერქომაიშვილის თქმით, „ჩაკრულო“ კოსმოსში გასაშვებად ამერიკელებისგან შემდგარმა სპეციალურმა კომისიამ აარჩია, რომელსაც ცნობილი ეთნო-მუსიკოლოგი ალან ლომაქსი ხელმძღვანელობდა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუსიკალური ჩანაწერებიდან ამერიკელებმა სწორედ „ჩაკრულო“ შეარჩიეს, რაშიც მათ ნიუ იორკში არსებული რადიო „ამერიკის ხმის“ მაშინდელი ქართველი თანამშრომლები დაეხმარნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ისიც საგულისხმოა, რომ სომეხ ერს საერთოდ არ აქვს მრავალხმიანობა, ხოლო კახეთი და რაჭა გეოგრაფიულად სრულებითაც არ მდებარეობენ სომხეთში (თუმცა, არ არის გამორიცხული ერთ „მშვენიერ დღეს“, ამის მტკიცებაც გახდეს საჭირო). არადა, სომხებს ისედაც საკმაოდ აქვთ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობა, რათა სხვა ერებისას არ შეეხონ. თუმცა რა არის გასაკვირი, როდესაც 1979 წელს გამოცემული „საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი“ ტერმინში Багратионы გვიმტკიცებს - „Багратионы, царская династия Грузии в 9-19 вв. ветвь Багратидов. Наиб. известны: Ашот, Давид III , Давид Строитель, Георгий III, Тамара, Георгий V, Ираклий II „, бПЛП БАВТАФЙГДБЙ, ТАУАКЕЙТЕДЛЙА - древняя арм. аристократич. фамилия; Царская династия გახლავთ.

ქართული ენციკლოპედიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ირაკლი აბაშიძის და როინ მეტრეველის თაოსნობით ეს „შეცდომა“ გააპროტესტა და უკვე 1985 წლის იგივე გამოცემაში ეს ტერმინი გასწორდა, ამოღებულ იქნა - „ветвь Багратидов“.

და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (NASA) მონაცემებით, „ვოიაჯერ-2“-მა მზის სისტემა უკვე დიდი ხანია დატოვა და ადამიანის მიერ შექმნილი ყველაზე შორეული ობიექტი „დედამიწის ხმებს“ უკვე გალაქტიკიდან გამოსცემს.

**P.S.** გერმანიაში გაცემული დისკის ყდას და დეტალებს შეგიძლიათ გაეცნოთ მისამართზე: **www. readersdigest.de**

*ქართული ენციკლოპედიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური .*



## აფიშა

10 ივლისი

### კინო

**„ამირანი“**
დიდი დარბაზი
პედრო ალმოდოვარი
„ვოლვერ“
დასაწყისი: 20.00; 22.00

**მცირე დარბაზი**
„აწყვეტილები 3“
დასაწყისი: 16.00; 18.00; 20.00; 22.00

### გალერეა

**„კოპალა“**
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა
ფერწერა, კოლაჟი, ქანდაკება

## მოკლედ

### „ლაზარე 2005“

შემოქმედთა საერთაშორისო კავშირი „ლაზარე 2005“-ში მეცენატთა საზოგადოება ყალიბდება, რომელშიც ხელოვან ექსპერტთა ჯგუფი და მეცენატები გაერთიანდებიან.

ექსპერტების მიერ განხილულ პროექტებს შორის საუკეთესო, ერთობლივი მსჯელობის შედეგად გამოვლინდება და მეცენატების მიერ დაფინანსდება.

როგორც შემოქმედთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა მაიკო მაჩაბელმა აღნიშნა, მეცენატთა საზოგადოება ხელოვნებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ პროექტებს განიხილავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სუპერმენის დაბრუნება

გასულ კვირას პოპულარული კომიქსის ახალი ვერსიის, „სუპერმენის დაბრუნების“ პრემიერა შედგა. კომიქსის ახალი ეკრანიზაციის მომზადება, რომელსაც თითქმის სამოცდაათწლიანი ისტორია აქვს, 200 მილიონი დოლარი დაჯდა.

ფილმის გადაღება ავსტრალიაში საიდუმლოდ მიმდინარეობდა. როგორც რეჟისორმა ბრაიან სინგერმა განაცხადა, „სუპერმენი იგივე დარჩა, მაგრამ სამყარო შეიცვალა.“ ახალ ფილმში სუპერმენი რამდენიმე წლის განშორების შემდეგ დედამიწას უბრუნდება და აღმოაჩენს, რომ მისი შეყვარებული სხვას გაჰყვა ცოლად, არამზადა ლექს ლიუტორი კი ციხიდან გამოვიდა. სუპერმენს კაცობრიობის გადასარჩენად ოკეანის ფსკერსა და შორეულ კოსმოსში უწევს მოგზაურობა.

სუპერმენისა და მისი ალტერ-ეგოს, ჟურნალისტის როლს ახალგაზრდა მსახიობი ბრენდონ რუთი ასახიერებს, ლექს ლიუტორს - კევინ სპეისი, სუპერმენის შეყვარებულს კი - ქეით ბოსუორთი. კომპოზიტორმა ჯონ ოტმანმა ახალ ფილმში 1978 წელს გადაღებული პირველი ფილმიდან ჯონ უილიამსის ცნობილი მუსიკალური თემა გამოიყენა.

შეგახსენებთ, რომ „სუპერმენის დაბრუნების“ გადაღების დაწყება თითქმის ათი წლით იყო შეჩერებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ნაპოლეონის ავეჯი უზბეკეთში

უზბეკეთში, სამარყანდის მახლობლად, კაგანოვიჩის ყოფილ კოლმეურნეობაში „გულტაყ ბეკერის“ ფირმის ავეჯი იპოვეს. დივანი, სამი სავარძელი, [illegible] რომლებზეც ლათინური ასო N-ია გამოსახული, empire-ის სტილშია შესრულებული.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ისინი საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის [illegible]

[illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოცარტის უცნობი ოპერა გააცოცხლეს

მოსკოვში, ოსტანკინოში, მოცარტის დაბადებიდან 250 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, კომპოზიტორის უცნობი ოპერა გააცოცხლეს. [illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

### ახალი სამარხი

ეგვიპტელმა არქეოლოგებმა კაიროს მახლობლად, გიზას პირამიდებისგან ერთი კილომეტრის დაშორებით ახალი სამარხი აღმოაჩინეს, [illegible] XXVI დინასტიის ხანას მიაკუთვნეს, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის 664-525 წლებში გრძელდებოდა.

[illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

### სომხური პოეზიის დღეები

სექტემბერში თბილისში სომხური პოეზიის დღეები გაიმართება. [illegible] **მედიანიუსი**


## ივერია მოტორსი



- თვითმცლელები, სატვირთოები, სპეციალური ტექნიკა [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- სათადარიგო ნაწილები

მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, მობ.: 899 51 30 49

# უსიცოცხლო თეთრი - გამოტირება სიცოცხლესთან

## მებრძოლი თუ იმედგაცრუებული არტისტი

სოფო კილასონია

ამ გამოფენაზე წასასვლელად დიდხანს ვემზადებოდი, სათანადოდ ვფიქრობდი, რა უნდა დამეწერა მასზე და იმ ადამიანზე, რომელმაც გარდაცვალებამდე, დაახლოებით ერთი წლის წინ ყველას გვითხრა, რომ რევოლუციური სულისკვეთებით დაიღალა და „ჩვეულებრივ“ მხატვრობას დაუბრუნდა. ყოველთვის დგება მარტივი და ბევრისთვის ახლობელი დილემა, რა დაწერო მაშინ, როცა სათქმელი ბევრია, როცა მოვლენა საკუთარ თავში ისტორიასაც იკრებს და ზოგადად აღსანიშნავსაც მრავლად გიტოვებს. როცა იმაზე მეტს ხედავ და გეუბნებიან, ვიდრე თავად გინახავს.

ოთარ ჩხარტიშვილი, რომელიც მრავალთათვის მხოლოდ „ბულდოზერების“ ცნობილ გამოფენასთან არის დაკავშირებული, არ არის უბრალოდ მხატვარი საინტერესო და საეტაპო მნიშვნელობის შემოქმედებით. ეს ყველაფერი სინამდვილეს შეესაბამება. ეს გაცრეცილი ეპითეტები მასთან მიმართებაში ალბათ მაინც საჭიროა, მაგრამ „კოპალაში“ მივხვდი, რომ მისი პიროვნება, დროთა განმავლობაში საუკეთესოდ შეიფერებს გასული წლებისა და სათანადოდ ისტორიის, მაინც და ისევ უახლესი წარსულის ერთ-ერთი მთავარი როლის, „არტისტის“ ფუნქციას. მისი ბიოგრაფია და მისი სახე, რომელიც თან ოპონირებდა და თან სრულიად ეკუთვნოდა ერთ ეპოქას, შეეჯახა სულ სხვა დროს და ყველაზე მეტად შეეხმიანა, ყველაზე მძაფრად გამოხატა ყველა ის ცვლა და ბიძგი, რომელიც არა მხოლოდ მან, არამედ მთელმა კულტურულმა სივრცემ განიცადა.

ოთარ ჩხარტიშვილის ბიოგრაფია და შემოქმედება - ეს პატარა და დიდი „რევოლუციებით“, აქციებითა და პირობითი პროკლამაციებით სავსე სურათია. სწორედ ისეთი, სოციალური ნიშნით გამოხატული არტისტულ პერსონაჟს რომ უხდება. აკადემიიდან მრავალგზის გარიცხვა, ჩაშლილი და დარბეული გამოფენები, მისი ნამუშევრების მსგავსად თავისუფალი და არაორდინალური, უკომპრომისო მოაზროვნე მხატვარის საკუთრებად რჩება. თუ ქართულ ნონ-კონფორმიზმზე საუბარი უნდა გავბედოთ, მაშინვე ჩხარტიშვილი უნდა ვახსენოთ და თუ სოცრეალიზმზე გამარჯვებული და მერე უპასუხო კითხვებით შეწუხებული არტისტი უნდა წარმოვიდგინოთ, მაშინაც ჩხარტიშვილზე მოგონებას უნდა მივმართოთ.

გალერეა „კოპალაში“ წარმოდგენილი ექსპოზიცია 5 ივლისს, მხატვრის დაბადების დღეს მიეძღვნა, თუმცა ეს არ არის ის ერთადერთი მიზანი, რომელიც ექსპოზიციის ავტორებმა, ბატონებმა დავით ანდრიაძემ და ალექსანდრე რეხვიაშვილმა დაისახეს. კრიტიკოსის აქცენტები ბევრად შორს არის უბრალოდ საიუბილეო საღამოს მოწყობისგან და კონკრეტული მხატვრის შემოქმედების რეტროსპექტივისგან: „მგონია, რომ ეს გამოფენა არის საბჭოური, თუგინდ პოსტსაბჭოური მხატვრის ტრაგედიის გამომხატველი. ამ ექსპოზიციით პირადად მე მინდოდა მეჩვენებინა პოსტსაბჭოური მხატვრის ტრაგედია, რომელიც მისი ნამუშევრების მიღმა არსებობს. აი ეს არის ჩემთვის ყველაზე საინტერესო და ამ გამოფენის მთავარი ამოცანა.“



ოთარ ჩხარტიშვილი - ერთ-ერთი ბოლო ფოტოპორტრეტი.

იმას, რაც მიღმაა, წინ ნატურალისტურ მანერაში შესრულებული ნატურმორტები უსწრებს. ნატურმორტი ჟანრია, რომელშიც ოთარ ჩხარტიშვილი საკუთარ, ახალ, ანდა უფრო სწორედ „განახლებულ“ რეალიზმს ეძებდა და ქმნიდა კიდეც. ექსპოზიცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ბოლო პერიოდის ნამუშევრებით. ბროწეულების სერიებს, თეთრ ფაქტურათა ნაირფეროვან „პორტრეტებს“ ადრეული პერიოდის ასამბლაჟებიც ახლავს. ნამუშევრები, სადაც ჩარჩოებში მოქცეული კონცეპტუალური კომპოზიციები სხვადასხვა ნიშნებით სხვადასხვა ასოციაციებსა და აზრებს აღძრავენ, ნამუშევრები, რომლებშიც მხატვრის მთელი თაობა და ამ „თაობის წარსულია“ ჩატეული.

გამოფენის გახსნის დღეს და მერე უკვე იმ საღამოს „კოპალაში“ იყვნენ როგორც მისი თაობის მხატვრები, ასევე ისინი, ვისთვისაც თავის დროზე და შესაძლოა ახლაც, ბატონი ოთარი თან ამბავი იყო და თან ამოცანა. მეგობრები იხსენებდნენ მის ძალასა და ენერგიას, შედარებით უმცროსები კი - მის დარიგებებს. იმ საღამოსთვის გალერეაში თაობებზე ზოგადი მსჯელობა გახდა დამახასიათებელი, მიუხედავად იმისა, რომ ოთარ ჩხარტიშვილს თურმე ჰქონია ნიჭი, ყველასთან გამოენახა საერთო, ყოფილიყო ყველასთვის თანამედროვე, გარკვეული კავშირი ამ ერთობ სხვადასხვა ხასიათებისა. გამოფენების ოფიციალური გახსნა შესაძლოა უკვე მობეზრებული ხერხია, თუმცა „კოპალაში“ სიტყვით გამომსვლელებს ინტერესით უსმენდნენ. სათანადოდ ტექსტებიც მრავალფეროვანი და რიგ შემთხვევაში დასამახსოვრებელი გახლდათ.

ოთარ ჩხარტიშვილის როლი თუ პორტრეტი სხვადასხვა რაკურსში უნდა გამხდარიყო დასანახი საზოგადოებისთვის, მით უფრო იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთა უმრავლესობამაც ეს სახელი და გვარი იმ დღეს პირველად გაიგონა. ამ თვალსაზრისით ბატონ გია ბუღაძის გამოსვლა ვფიქრობთ, ისაა, რის ციტირებას იქ მყოფი ნებისმიერი ჟურნალისტი გადაწყვეტდა. ჩხარტიშვილი აკადემიაში, მხატვარი მისი თაობისთვის და მხატვრის ნამუშევრები, ავტორის გარდაცვალების შემდეგ: „რამდენიმე დღის წინ მე ვნახე მისი სადიპლომო ნამუშევარი, არ ვიცოდი რა ნამუშევარი ჰქონდა შესრულებული, ვიცოდი რა პოტენციისა და ენერგიის კაცი გახლდათ, მაგრამ მაინც არ ველოდი იმას, რაც დავინახე. ეს შოკი იყო ჩემთვის. სოცრეალიზმის აღვირახსნილობის ჟამს გაკეთებული ნამუშევარი გახლავთ. მაშინ იშვიათი იყო რამე სხვა, გარდა აგრალური ხასიათის დიპლომებისა. ჩემმა თაობამ შექმნა გარკვეული ალტერნატივა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე 15 წლით ადრე, ბატონ ოთარს გაუკეთებია შესანიშნავი დიპლომი, დაუხატავს საკუთარი ოჯახი. რუხი ტყვიისფერი ფერწერა, ძალიან გემრიელად დაწერილი, გრანდიოზული ტილო. ამ ნამუშევარს დღეს სასწრაფო რესტავრაცია სჭირდება, ის არ უნდა ინახებოდეს საცავში, ის უნდა გამოიკიდოს იმისთვის, რომ თქვენ ყველამ ნახოთ, თუ რა ტალანტი მოდიოდა მისი სახით თავიდანვე. ადამიანი, რომლმაც შექმნა ის ყველაფერი, რასაც აქ ჩვენ ვხედავთ... ჩვენთვის ის იყო თავისუფლების სიმბოლო და ნიშანი. მახსოვს ჩემთვის ნათქვამი ოთარის პირველი სიტყვები: „არ გაჩერდე, არ ითამაშო, აკეთე ის რაც გინდა.“ როდესაც ჩვენი მეგობრები, კოლეგები მიდიან, მე ყოველთვის მახსენდება ვან გოგის ერთ-ერთი წერილი, რომელშიც თავის ძმას სწერს, მაშინ თავის მოკვლა ჰქონდა უკვე გადაწყვეტილი: „მე ძალიან ბევრს ვფიქრობ იმ მხატვრების ნამუშევრებზე, რომებიც ცოცხლები აღარ არიან. ისინი რაღაც სხვანაირად ჩანან.“ მე მგონია, რომ ეს ნამშევრებიც სხვანაირად ჩანან. თითქოს იქიდან ასხივებს ოთარის სული.“

სხვანაირად ჩანან პირველ რიგში „კოპალაში“ გამოფენილი მხატვრის ბოლო ნამუშევრები, ბოლო ნატურმორტები. წითელი, თეთრი და დაუსრულებელი ბროწეულები. თითქოს რა უნდა იყოს იმაზე მეტი სათქმელი ვიდრე დახატულია, მოკრძალებული კომპოზიციები, ამბიციისგან დაცლილი მხატვრული ჩანაფიქრები. პირველს რასაც ფიქრობ ის არის, რომ მხატვარმა, რომელიც თანამედროვე ავანგარდისტის მანტიას ატარებდა და მას შემდეგ, რაც მას შეელია, რატომ აირჩია მაინცდამაინც ეს, ნეორეალისტური მანერა, ეს ჟანრი, ეს უცნაური „სიმშვიდე“?

**- ეს იყო გამოსავალი?**

- მას ამაშიც ეპარებოდა ეჭვი. მოდერნისტული მხატვრობის ცნება ხომ დაძველდა, მან ვერ მონახა თავისი ადგილი. ის იყო თანამედროვე მხატვარი, მაგრამ დამთავრდა მისი თანამედროვეობაც. ვერც პოსტმოდერნისმს გაუგო, ამიტომ ის იყო სავსე ეჭვებით და სწორედ ამ ეჭვებს შეეძლო ძალიან საინტერესო გზაზე დაეყენებინა იგი. ეს იყო გამოტირება საკუთარ არტისტულ ბიოგრაფიასთან. ეს იყო გამოტირება იმ სოციალურ მისიასთან, რომელიც მან ჯერ კიდევ ბულდოზერების გამოფენაზე დაისახა, ჯერ კიდევ ხრუშჩოვის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მაშინ მისი დაპირისპირების ფორმა იყო პოპ-არტი, უფრო სწორად ეს იყო ნეოდადაისტური კოლაჟი. მერე ყველას პრინციპში პოპ-არტი - მიმდინარეობა აერიათ კოლაჟში - ტექნიკაში. მოკლედ მთელს ამ „დურდომში“ ის დაიბნა და ტრადიციულ ფერწერას მიმართა. მე მგონია, რომ მისი ეგზისტენციალური გამოსავალი და მისი, როგორც მხატვრის თვითგამოხატვის სოციალური გამოსავალი ერთმანეთს ასცდა. მან როგორც სოციალურმა მხატვარმა დაკარგა ფუნქცია. მას ბრძოლის ასპარეზი დაეკარგა. მადლობა ღმერთს, რომ მან არაჩვეულებრივი ხატვა იცოდა და გზა მაინც განაგრძო. მე მგონია, რომ ოთარი იმასაც განიცდიდა, რომ დღეს მხატვარი არის ის, ვინც არ ხატავს, ანდა ვერ ხატავს. ესეც ერთ-ერთი პარადოქსია. ტრაგიკომიკური პარადოქსი.

კითხვები რომელზეც პასუხი ბატონ ანდრიაძეს ვთხოვეთ და რომლის მსგავსი კიდევ არაერთია, სწორედ ეს კითხვები გვაიძულებენ ჩხარტიშვილის ბოლო სურათებში, მის „დაბრუნებაში“ დავინახოთ ის აზრები, რომლებშიც მხატვარი ან გამოსავალს ეძებდა, ანდა საკუთარ ადგილს საერთოდაც. მხატვრის ემოციათა სიშიშვლეა ის, რის გამოც პირველ რიგში ვჩერდებით უსიცოცხლო, გალურჯებული „თეთრი ბროწეულების“ წინაშე, რომლებიც მარტივად რომ ვთქვათ, იმაზე ბევრად მეტია ვიდრე მორიგი ნატურმორტის ასახვის საგანი. ნამუშევარი, რომელიც საუკეთესო ნატურმორთად გვეჩვენება ამ ჟანრის იმ სურათებს შორის, რომლებიც თანამედროვე ქართველ მხატვრების გამოფენებზე გვინახავს, შესაძლოა მართლაც გამოტირება იყოს სიცოცხლესთან. თუმცა ამგვარ დეფინიციას ალბათ მხოლოდ თეორეტიკოსი კრიტიკოსები დაუშვებდნენ. მხატვრები კი ხშირად აღნიშნავენ, რომ კრიტიკოსები ბევრად შორს არიან იმ რეალობისგან, რომელსაც თავად ქმნიან, მხატვრები ალბათ ხუმრობენ, რადგანაც ამ „რეალობის“ აღქმაში ხშირად თავადვე იბნევიან და იკარგებიან.

# შპს „ქართული თექა“

მზევინარ ხუციშვილი

საქართველოში ქართველი ბიზნესმენების შესახებ უამრავ მოსაზრებას მოისმენთ. ხშირად საზოგადოება უკმაყოფილებასაც გამოთქვამს მათ მიმართ, თუმცა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პროექტი „იდეა, ფული და ერთი შანსი“, შეიძლება ითქვას, წარმატებით დასრულდა. დაფინანსებულ პროექტთა შორის ხელოვნებათმცოდნე **ქეთევან გაგნიძის** პროექტიც აღმოჩნდა.

ქეთევან გაგნიძემ სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობდა მოდელებზე, რომლებიც სავაჭრო ცენტრებში იყიდებოდა. თექით მაშინ დაინტერესდა, როცა საქართველოში ქართული აბრეშუმი ველარ აღმოაჩინა. ეს ინტერესი მეგობარმა მხატვრებმა გაუღვივეს. განსაკუთრებული როლი მანანა თავბერიძემ ითამაშა. „მაშინ ჯერ კიდევ არ იყო თექის ბუმი, ნელ-ნელა შემოდიოდა. თუმცა მაინც უკვე ბევრი ადამიანი მუშაობდა. მანანა უნიჭიერესი ადამიანია. ინტერესი და სურვილი გამიჩინა, ჯგუფი ჩამოგვეყალიბებინა. ვიპოვე ადამიანები, ვინც თექაზე მუშაობდნენ და შევთავაზე გავერთიანებულიყავით, მაგრამ თავი შეიკავეს, მარტო მუშაობა ამჯობინეს“.

მათი უარის მიუხედავად, არ გაჩერებულა. მეგობრების დახმარებით 2004 წელს ჩამოაყალიბა შემოქმედებითი გაერთიანება „ქართული თექა“. პირველი სერიოზული ნაბიჯი მისმა ჯგუფმა, ბიზნესმენთა ფედერაციის დახმარებით, იტალიურ ბიზნეს-ფორუმში მონაწილეობით გადადგა, რომელიც შარშან, ოქტომბერ-ნოემბერში, თბილისში, „ქორთიარდ მარიოტში“ ჩატარდა. მიწვევაც მიიღო იტალი-



იდან, - „ნედლეული ჩვენი, დიზაინი თქვენი“, - შესთავაზეს იტალიელებმა.

მერე იყო რამდენიმე გამოფენა წელიწადში, მათ შორის ბათუმში, აჭარის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში, რომელიც სულთმოფენობის დღესასწაულს დაამთხვიეს. „მსოფლიოს უნივერსიტეტებიდან რუსულენოვანი დელეგაცია სტუმრობდა ბათუმს. ინტელექტუალური გარემო იყო. წარმოვადგინე მხატვრული ექსპოზიცია - თავიდან ტყავ-კაბა, ოქროს საწმისიც გავათამაშეთ, შემდეგ შუა საუკუნეები, რენესანსის ეპოქა და ბოლოს ქართული თექა. ძალიან კარგი გამოვიდა, კმაყოფილი ვარ. თუმცა მხოლოდ ორდღიანი გამოფენა იყო. მინდა ასეთი გამოფენა თბილისშიც მოვაწყო, რადგან ბევრმა ვერ ნახა.“ არაერთ ფესტივალში მონაწილეობას უამრავი შეკვეთა მოჰყვა უცხოელებისთვის საჩუქრების შესაქმნელად. ბოლოს კი „რუსთავი 2“-ის გადაცემაში ბიზნესმენებმა შეაფასეს მისი შემოქმედება.

**- ქეთი, თექაზე სამუშაოდ რა პრინციპით არჩევ თანამშრომლებს?**

- ახლა მხოლოდ ხუთი გოგონა მყავს. სამხატვრო აკადემია დაამთავრეს, მხატვრები არიან. თექაზე არ უმუშავიათ. ბატიკისა და გობელენის გამოცდილება ჰქონდათ. ვასწავლე და ვინც მომეწონა, დავიტოვე. მალე აუღეს ალღო. სულ მოკლე დროში არაჩვეულებრივი ნამუშევრები შექმნეს. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან.

**- ძირითადად რას ამზადებთ?**

- უამრავი რამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ რადგან ტექნოლოგია დასახვეწია, მხოლოდ შარფებსა და ჩანთებზე ვმუშაობთ. გვაქვს შეკვეთები რესტორნებისგან - თექით ხომ ყველანაირი ინტერიერის მორთვა შეიძლება. ტექნოლოგიას რომ დავხვეწთ, მერე ტანსაცმელზეც გადავალთ. რაღაც-რაღაცებს ახლაც ვაკეთებთ, მაგრამ იმ ხარისხის არ არის, რომ უცხოეთის ბაზარზე გავიტანოთ. იქ სხვა მოთხოვნილებებია.

**- როგორც სამუშაო, რთულია?**

- რა თქმა უნდა. არიან ადამიანები, რომლებიც ერთ შარფს სამ საათში ამზადებენ. ჩვენთან შეიძლება ორ-სამ დღეში გაკეთდეს, რადგან ვცდილობთ ზედმიწევნით სუფთად ვიმუშაოთ. თავიდან თუშური მატყლით დავიწყეთ. შემდეგ მოვიპოვეთ ავსტრიული, უმაღლესი ხარისხის მერინოსის ჯიშის ნედლეული. ეს კიდევ უფრო მეტ საშუალებას გვაძლევს პროდუქცია ხარისხიანი იყოს.

**- სალონებში აბარებთ?**

- თავიდან სალონებში ვაბარებდით, მაგრამ ჩემი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ის, რასაც მე ვაკეთებდი, რეკვიზიტი არ ყოფილიყო. ამას სხვა სახე მივეცი და იმედი მაქვს, ბოლომდე გავაკეთებ. კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ ყველამ ნახოს რა არის ნამდვილი თექა. ამიტომ გადავწყვიტეთ მონაწილეობა მიგვეღო პროექტში, რომელიც „რუსთავი 2“-მა შემოგვთავაზა.

**- რას ითხოვდი ბიზნესმენებისგან?**

- მაღაზიას და 10 000 ლარს. ყველა დაინტერესდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ბატონმა თემურ ჭყონიამ გამოიჩინა. მათ უკვე გააფორმეს ყველა იურიდიული საკითხი და ჩვენი პარტნიორები არიან. უახლოეს მომავალში ჩამოვაყალიბებთ შპს „ქართულ თექას“. ეს ამ ტიპის პირველი საწარმო იქნება საქართველოში. მალე ერთად მოვაწყობთ ახალი ექსპოზიციისა და მაღაზიის პრეზენტაციას.

**- უახლოესი მომავლისთვის რას გეგმავთ?**

- მინდა თუშეთში მოვაწყო გამოფენა და თუშეთობას დავამთხვიო. მატყლი ძალიან კარგია ჯანმრთელობისთვის, დიდი ენერგიის მატარებელია. მინდა ბუნებრივი ფერები მოვიძიო, ექსპედიცია მოვაწყო ხევსურეთსა და თუშეთში, სანამ ჯერ კიდევ არიან ხნიერი ადამიანები, ვისაც ესმის და იცის....


**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

24 საათი B

ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## ბერლუსკონის წინააღმდეგ საქმე აღიძრა

მილანის პროკურორის ბრძანებით იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, 11 მილიარდი დოლარის ოდენობის კაპიტალით განთქმული და ჟურნალ ფორბსის რეიტინგში 37-ე ადგილზე მყოფი სილვიო ბერლუსკონის და მისი ბრიტანელი ადვოკატის დევიდ მილსის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. მათ ბრალი კორუფციასა და ფინანსურ მაქინაციებში ედებათ. სასამართლო პროცესი მიმდინარე წლის 21 ნოემბერს დაიწყება.

ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბრალი 1999 წელს მილსისათვის თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სასამართლოსათვის დაფარვის სანაცვლოდ 600 ათასი დოლარის გადაცემაში ედება. საუბარია ბერლუსკონის მედია-ჯგუფის მიერ აშშ-ში ტელეტრანსლაციის და კინოგაქირავების უფლების 479 მილიონ ევროდ შეძენაზე, რომელიც ყოფილმა პრემიერმა ობშორული კომპანიების მეშვეობით 1994-99 წლებში განახორციელა. გამოძიების მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, ეს გარიგება იტალიური საგადასახადო კანონების გვერდის ავლით განხორციელდა და ბერლუსკონიმ დიდძალი თანხა მიითვისა. ყოფილი პრემიერიც და მისი ადვოკატიც ბრალდებას უარყოფენ.

## Nissan გლობალური ავტომობილების ოჯახს ქმნის

კომპანია Nissan "გლობალური" ავტომობილების ახალ ოჯახს შექმნის, რომელიც მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდ ბაზრებს დაიპყრობს. აღნიშნულის შესახებ კომპანიის წარმომადგენლები უკვე საჯაროდ საუბრობენ. ახალი ოჯახის პირველი წარმომადგენლის პრემიერა ჩინეთში, საერთაშორისო ავტოშოუზე ივლისის ბოლოსთვის იგეგმება. "გლობალური საავტომობილო ოჯახის" პირველწარმომადგენელს Nissan Livina geniss-ს დაარქმევენ. ახალი საავტომობილო ოჯახის პირველი წარმომადგენელი Nissan-Renault-ის ერთ-ერთ უკვე კარგად აპრობირებულ პლატფორმაზე შეიქმნება. მისი პროექტირებით იაპონური ტექნოლოგიური ცენტრი Nissan დაკავდება. ახალ ავტომობილს 1,8 ლიტრიანი ბენზინის ძრავა ექნება და Nissan Murano-სა და Presage-ს სტილში იქნება გადაწყვეტილი. სამომავლოდ კომპანია Nissan ანალოგიურ ავტომობილების წარმოებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც დაიწყებს. გამორიცხული არ არის, რომ ამ ავტომობილების წარმოება მალე რუსეთშიც დაიწყოს. რუსეთში ამ იაპონურ საავტომობილო კომპანიას ქარხნის მშენებლობა უკვე დაწყებული აქვს.



## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3246 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9820 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4825 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7721 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8267 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1578 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3035 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3085 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2633 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4473 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3408 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1382 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1541 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2566 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1935 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2347 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,4046 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5933 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,2103 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5787 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3344 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2846 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5631 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5953 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1220 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4243 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5391 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4466 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5301 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8081 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1282 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1498 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4414 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2472 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4426 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0794 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2218 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2281 |




# ვინ ხეირობს ახალი საბაჟო კოდექსით – იმპორტიორები, მწარმოებლები თუ ექსპორტიორები?

მარიამ ჯაჯვაძე

*მომავალი 2007 წლის ბიუჯეტში საბაჟო გადასახადებით მიღებული შემოსავლების შემცირება რომ გარდაუვალია, ამაზე მთავრობაც და მისი ოპონენტებიც თანხმდებიან. თუმცა პირველი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ფისკალური დანაკარგები უმნიშვნელოა იმ ეკონომიკურ ეფექტთან შედარებით, რასაც ახალი საბაჟო კოდექსი მომავალში მოიტანს, ხოლო ხელისუფლების ოპონენტები ამტკიცებენ, რომ მილიონობით დაკარგულ ლარებთან ერთად, ადგილობრივი წარმოების საბოლოოდ გაჩერებას უნდა ველოდოთ.*

დიდი დრო არ დარჩა იმ დღემდე, როცა პარლამენტი ახალ საბაჟო განაკვეთებს დაამტკიცებს, რომელიც კოდექსთან ერთად 1 სექტემბრიდან შევა ძალაში. ახალი საბაჟო ტარიფების შესახებ "24 საათი" არაერთხელ წერდა. შეგახსენებთ, რომ საერთო ჯამში განაკვეთები დაახლოებით 70 პროცენტით მცირდება.

საბაჟო ტარიფების ასეთი მკვეთრი ცვლილება ლოგიკურად გამოიწვევს ბიუჯეტში მოსაზიდი თანხების კლებას. "24 საათი" დაინტერესდა, თუ რა ფისკალური ეფექტი ექნება შემცირებულ საბაჟო განაკვეთებს? რითი მოხდება ამ დანაკარგების კომპენსირება? და, ზოგადად, რა გავლენას მოახდენს ის ქვეყნის ეკონომიკაზე?

მიმდინარე წლის გასულ 6 თვეში საბაჟო კუთხით ბიუჯეტში დაგეგმილი 575 მილიონ 400 ათასი ლარის ნაცვლად თითქმის 17 მილიონით მეტი, ანუ 593 მილიონი ლარის მობილიზება მოახერხა საბაჟო დეპარტამენტმა. ამდენივეს ელოდებიან წლის ბოლომდე, საიდანაც დაახლოებით 100 მილიონი ლარი საბაჟო ტარიფებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

გაგრძელება B2 გვერდზე

# "ჯენერალ მოტორსს" "რენო-ნისანთან" გაერთიანებას სთავაზობენ

მერაბ ლორთქიფანიძე

*30 ივნისს მსოფლიოს საქმიანი სამყარო მოულოდნელმა ცნობამ გააოცა - ამერიკელმა მილიარდერმა კირკ კერკორიანმა და მისმა საინვესტიციო კომპანია "ტრასინდამ" თხოვნით (გნებავთ, მოთხოვნით) მიმართა "ჯენერალ მოტორსის" ხელმძღვანელობას, განიხილოს ფრანგულ "რენოსთან" და იაპონურ "ნისანთან" სამმხრივი პარტნიორული ურთიერთობის დაწყების შესაძლებლობა. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, "ჯენერალ მოტორსის" აქციების ფასი 8 პროცენტით გაიზარდა.*



*რიჩარდ ვაგონერი.*



*კარლოს გონსი.*

B4

# "დიდი მერვეს" პორტრეტი და ფრანგული ავტოინდუსტრიის აღმავლობა

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

*დიდი რვიანის სამიტის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი სამიტის მასპინძლის მიმართ. ეს ინტერესი ბოლო პერიოდში ისედაც გაორმაგებული იყო, რაც სრულიად ბუნებრივია - გაძვირებული საწვავის წყალობით რუსეთი ძალებს იკრებს და სულ უფრო და უფრო სცილდება დასავლეთის ორბიტას; რუსეთს კონსტრუქციული როლის შესრულება შეუძლია ირანულ პრობლემაში (თუმცა ჯერჯერობით, ალბათ, არ ასრულებს); რუსეთი ენერგეტიკულ ზესახელმწიფოს აშენებს და ამ შენების გზაზე სულ უფრო და უფრო აშკარად იყენებს გაზს ეკონომიკურ იარაღად... მოკლედ, მიზეზები საკმარისზე მეტია, რათა რუსეთი დასავლურ პრესაში ერთ-ერთ წამყვან თემად იქცეს. ახლა კი ეს ქვეყანა დიდი რვიანის სამიტს მასპინძლობს.*



B3

## "საქჰიდროენერგომშენი" 7 მილიონ დოლარად იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ს/ს "საქჰიდროენერგომშენის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 90 პროცენტის პრივატიზების მიზნით კონკურსი გამოაცხადა. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 7 მილიონი დოლარით განისაზღვრა.

"საქჰიდროენერგომშენის" საქმიანობის სფეროა ენერგეტიკული და ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობა და მათი დანადგარების მონტაჟი; სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობა და მონტაჟი;

ობიექტი მდებარეობს ჭავჭავაძის გამზ. №50-ში; ადმინისტრაციული შენობა - 3 003 კვ.მ-ია; მიწის ფართის სიდიდე - 1 157 კვ. მ; საწესდებო კაპიტალი 2 403 000 ლარს შეადგენს, დებიტორული დავალიანება - 17 14 102.57 ლარს, ხოლო კრედიტორული - 8 122 714.78 ლარს.

საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა საზოგადოების საქმიანობა 3 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს; დაასრულოს სს "ენგურჰესის" სარეაბილიტაციო სამუშაოები და მის მიერ დასახელებული საპრივატიზებო თანხის 50%-ის გადახდა ხელშკრულების გაფორმებიდან ერთი თვის, ხოლო დანარჩენი 50%-ის მომდევნო ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება ხვალიდან დაიწყება და 10 აგვისტომდე გაგრძელდება. ტენდერი 10 აგვისტოს, 17:30 საათზე ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

## "საქინფორმი" 5 მილიონ დოლარად იყიდება

საქართველოს საინფორმაციო სააგენტო "საქინფორმი" 5 მილიონ დოლარად იყიდება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, შპს "საქინფორმის" პრივატიზების მიზნით აუქციონი გამოაცხადა და მისი საწყისი გასაყიდი ფასი 5 მილიონი დოლარით განსაზღვრა.

"საქინფორმის" საქმიანობის სფეროა საქართველოს პრეზიდენტის და სამთავრობო დაწესებულებების საინფორმაციო უზრუნველყოფა; ქვეყნის საზოგადოების ინფორმირება საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. საზოგადოების საწესდებო კაპიტალიდან (რჩება სახელმწიფო საკუთრებაში) საარქივო მასალები ამოღებულია.

საინფორმაციო სააგენტოს საწესდებო კაპიტალი 673 630 ლარს შეადგენს, დებიტორული დავალიანება - 33 323 ლარს, კრედიტორული კი - 383 072 ლარს. სააგენტო განთავსებულია რუსთაველის გამზ. №42; შენობა-ნაგებობების საერთო ფართი - 5 388,8 კვ.მ, მიწის ფართის სიდიდე კი 2 215 კვ. მ. შეადგენს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება ხვალიდან დაიწყება და 10 აგვისტომდე გაგრძელდება. ტენდერი 10 აგვისტოს, 17:30 საათზე ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

## "ქართული ცემენტის" მფლობელებმა ცემენტის საბადოს დამუშავების ლიცენზიაში 47,6 მილიონი ლარი გადაიხადეს

კომპანიამ "ქართული ცემენტი" თერჯოლის რაიონში მდებარე ცემენტის საბადოს დამუშავების ლიცენზიაში 47 მილიონი 580 ათასი ლარი გადაიხადა. ობიექტის საწყისი ფასი 1,3 მლნ ლარს შეადგენდა, საბოლოო ფასმა კი აღნიშნულ თანხას თითქმის 37-ჯერ გადააჭარბა. "ქართულ ცემენტს" კონკურენციას შპს "საქცემენტი" და ფიზიკური პირი მიხეილ კაკულია უწევდნენ. გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აუქციონის სამივე მონაწილეს ლიცენზიის შეძენა ბოლო წუთამდე სურდა, რამაც ობიექტის უპრეცედენტო ფასად გაყიდვა გამოიწვია.

თერჯოლის რაიონში ჭიშურის საცემენტე კირქვების, ბროლისქედის სპოლგოლიტების და ნახშირღელეს საცემენტე თიხების საბადოებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადაა 20 წელი.

აუქციონში გამარჯვებულმა შპს "ქართულმა ცემენტმა" თანხა 6 თვის განმავლობაში უნდა დაფაროს. სამინისტროს ცნობით, აუქციონის შედეგად შემოსული თანხა ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება. "ქართული ცემენტის" აქციათა 51% გერმანიის უმსხვილესმა ცემენტის მწარმოებელმა კომპანიას HeidelbergCement-მა მიმდინარე წლის მაისის ბოლოს შეიძინა.

კომპანიის ინფორმაციით, რუსთავში მდებარე საწარმო ამჟამად წელიწადში 100 ათას ტონა ცემენტს აწარმოებს. 2008 წლისთვის "ქართული ცემენტი" წარმოების გაზრდას წელიწადში 500 ათას ტონამდე, შემდეგ კი ერთ მილიონ ტონამდე აპირებს. საქართველოში ცემენტის 70-80%-ს "რუსთავცემენტი" აწარმოებს, რომელიც ცემენტის ექსპორტს კავკასიის რეგიონში ახორციელებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 544 ათასი შეადგინა

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების (აქტიური სატელეფონო ხაზების) რაოდენობამ 2005 წლის ბოლოსთვის 544 ათასი შეადგინა, რაც 2000 წელთან შედარებით 10,2%-ით მეტია, - აღნიშნულია "კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" მიერ მომზადებულ 2005 წლის ანგარიშში. კომისიის ცნობით, ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტი მოიცავს ადგილობრივი, საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილური ქსელის ოპერატორების აბონენტებთან სატელეფონო კავშირით მომსახურების სახეებს, მომხმარებლების ინტერნეტის ქსელით მომსახურებას, აგრეთვე, საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ქსელის მფლობელი ოპერატორების მიერ მსურველი პირების დაშვებას და ურთიერთჩართვას ქსელის სხვადასხვა ელემენტებთან, მათ რესურსებთან ან სიმძლავრეებთან.

ამ სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი სს "გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე", შპს "ახტელსა" და შპს "ახალ ქსელებზე" მოდის, რომლებიც საქართველოს ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელების თითქმის 90%-ს ფლობენ. სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 2000 წელს 107 იყო, 2005 წელს კი მაჩვენებელმა 122-მდე იმატა.

ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლები, 2000 წლიდან მოყოლებული, 88,7 მლნ ლარიდან 252 მლნ ლარამდე გაიზარდა. სეგმენტის შემოსავლების წლიური ზრდის ტემპის კომპოზიტურმა ინდექსმა 23,2% შეადგინა. 2005 წელს აღნიშნული მომსახურების სეგმენტს საკომუნიკაციო დარგის მთლიან შემოსავლებში 35,2%-იანი წილი ეკავა. 2000-2005 წლებში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ოპერატორების წლიური შემოსავლები (საერთაშორისო კავშირით და ინტერნეტით მომსახურების შემოსავლების გარდა) 50 მლნ ლარიდან 145,3 მლნ ლარამდე გაიზარდა.

2005 წელს, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო სატელეფონო კავშირის შემოსავლების მატებამ 15,1% შეადგინა, რასაც კომისიაში საკომუნიკაცო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის ზრდით და ზღვრული ტარიფების გაუქმებით ხსნიან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**






# ვინ ხეირობს ახალი საბაჟო კოდექსით -

## იმპორტიორები, მწარმოებლები თუ ექსპორტიორები?

პირველი გვერდიდან

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გათვლებით (ეს სამინისტრო ავტორი ახალი საბაჟო კოდექსის და, შესაბამისად, მისი შემცირებული განაკვეთების ავტორი და ინიციატორია) ახალი საბაჟო ტარიფების ამოქმედების შემდეგ, წელიწადში საშუალოდ 20 მილიონლარიან დანაკარგს უნდა ველოდოთ, რაც, მათივე შეფასებით, არცთუ კატასტროფული დანაკლისია. მით უმეტეს, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტი სერიოზული გადაჭარბებით სრულდება.

ესეც რომ არ იყოს, ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ 20-მილიონიანი დანაკარგი ნამდვილად ღირს იმად, რასაც შემცირებული, რიგ შემთხვევაში კი - გაუქმებული საბაჟო განაკვეთები, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას და თითოეულ მეწარმეს არცთუ შორეულ მომავალში მოუტანს.

მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა ჯიუტად ამტკიცებენ, რომ შემცირებული განაკვეთები იმპორტიორებს ახალი ბაზრების ათვისებასა და პროდუქციის გაიაფებაში, ხოლო ადგილობრივ მეწარმეებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებაში დაეხმარება. **"გარკვეული დანაკლისები ბიუჯეტს ექნება, მაგრამ კომპენსირება, თანაც - უფრო მეტის, მოხდება იმით, რომ ჩვენ ახალ ტექნოლოგიებს საბაჟო გადასახადისგან ვათავისუფლებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი შეეწყობა ადგილობრივ წარმოებას, კონკურენციის ზრდას, ინვესტიციების შემოსვლას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ყველაფერი ეს კი თანხებში იქნება ათჯერ და კიდევ უფრო მეტი მოცულობის, ვიდრე ის დანაკარგები, რაც განაკვეთების შემცირებას შეიძლება მოჰყვეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ.

ლოგიკას და იმ სახელმწიფოების მაგალითებს რომ მივყვეთ, ვინც ეს გზა კარგა ხნის წინ გაიარეს, ახალმა შემცირებულმა (და გაუქმებულმა) საბაჟო განაკვეთებმა კოვზანაძის მიერ ჩამოთვლილი სიკეთეები ქვეყანას ნამდვილად უნდა მოუტანოს. ანუ საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებული სხვადასხვა მანქანა-დანადგარები, რეალურად ქმნის ქვეყანაში ახალი წარმოებისა და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის პერსპექტივას. ისიც ადვილად მოსალოდნელია, რომ იაფად შემოტანილი ტექნოლოგიები, საბოლოო ჯამში, პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება და ის ბაზარზე უფრო იაფი ეღირება, ვიდრე მანამდე მისი წინამორბედი.

სიმართლესთან ისიც ახლოს არის, რომ გაიაფებული იმპორტირებული პროდუქცია ადგილობრივ მეწარმეებს მისცემს სტიმულს, ხარისხის გაუმჯობესების ან არსებული მაღალი ხარისხის შენარჩუნების პირობებში, დააგდოს მისი ფასი.

თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სადაც ჯერ კიდევ აქტუალურია კორუფცია, კონტრაბანდა, დაუცველი საზღვრები და კონფლიქტური რეგიონები, მოვლენები ლოგიკურად არცთუ ხშირად ვითარდება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პოზიტიურ მხარეებს მყისიერად არ უნდა ველოდოთ და მისი დადებითი ეკონომიკური ეფექტი გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი. ანუ შემცირებული საბაჟო ტარიფები ქვეყნის ეკონომიკას სასურველ შედეგს მხოლოდ უახლოესი რამდენიმე წლის შემდეგ მოუტანს და ამას ხელისუფლებაც აღიარებს.

**"ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს არის ერთადერთი საშუალება ადგილობრივი წარმოებისა და, ზოგადად, ეკონომიკის განსავითარებლად, რადგან დახურულ სივრცეში და მაღალი საბაჟო განაკვეთების პირობებში არც ერთი ქვეყნის ეკონომიკა არ განვითარებულა. მართალია, ეფექტს გრძელვადიან პერიოდში მოგვიტანს, მაგრამ ეს უკვე აპრობირებულია მსოფლიოს ბევრ ჩვენნაირ ქვეყანაში, და ყველგან ამართლებს,"** - უთხრა "24 საათს" ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ზაზა ჭელიძემ.

გაამართლებს თუ არა ეს ნაცადი მაგალითი ჩვენს ქვეყანაში, ნაწილობრივ ქართველი მეწარმეების მარიფათსა და გამძლეობაზეა დამოკიდებული, ნაწილობრივ - გარემო პირობებზე და ხელისუფლების შემდგომ ნაბიჯებზე. თუკი ადგილობრივი მეწარმეები მოსალოდნელი მაღალი კონკურენციის პირობებში თავის გადარჩენას და ბაზარზე მოზღვავებული იმპორტირებული პროდუქციის გაძლებას მოახერხებენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოც ზემოთ ხსენებული წარმატებული სახელმწიფოების ნუსხაში ჩაეწერება.

სხვა შემთხვევაში ხელისუფლების მიერ პროგრესულად წოდებულ მთავარ საბაჟო კანონს, ფიასკო არ ასცდება.

ეკონომიკურ ექსპერტთა ერთი ნაწილი, ხელისუფლების ოპონენტები და ადგილობრივი მეწარმეები სკეპტიკურად არიან განწყობილნი და ფიქრობენ, რომ სანამ ახალი საბაჟო განაკვეთები ქვეყანას სასურველ ეკონომიკურ შედეგს მოუტანს, იმ დროისთვის ქართული წარმოება აღარ იარსებებს და მას მთლიანად იმპორტირებული საქონელი ჩაანაცვლებს, ან უკეთეს შემთხვევაშიც კი ადგილობრივი პროდუქცია ბაზარზე მხოლოდ 2-3 პროცენტზე მეტი აღარ იქნება.

**"ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ეს კოდექსი იმპორტის წახალისებაზეა ორიენტირებული. ხელისუფლების განცხადება, რომ ეს იქნება წახალისება მათთვის, ვინც ტექნოლოგიებსა და დანადგარებს შემოიტანს, და მერე ამით თითქოს ხელი შეეწყობა ადგილობრივ წარმოებას, სიცრუეა. ვიდრე ისინი წარმოებას აამუშავებენ, ამ პერიოდში ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება საერთოდ მოისპობა,"** - აცხადებენ სს "ყაზბეგში", რომელიც წარმოების მასშტაბებით და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების მიხედვით, ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კომპანიად ითვლება.

ასეთი განცხადების შემდეგ კიდევ უფრო საეჭვო ხდება იმ ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მომავალი, რომლებიც ქვეყანაში ათეულობით არიან.

**"ქართველ მწარმოებლებს კონკურენციის გაწევა დღესაც ძალიან რთულ პირობებში უწევთ. ახალი კოდექსი კი ქმნის საფრთხეს, რომ ბევრი ადგილობრივი მეწარმე და საწარმო საერთოდ გაჩერდეს. მოკლედ, ახალი კოდექსი იმპორტს შეუწყობს ხელს ჩვენი წარმოების საზიანოდ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გორისა და კაჭრეთის წისქვილკომბინატების მესაკუთრემ სერგი კაკალაშვილმა.

ექსპერტები ამ შემთხვევაში გამოსავალს მხოლოდ შემდეგში ხედავენ: რაკიღა მათაც კარგად ესმით, რომ მაღალი საბაჟო განაკვეთების პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა სტაგნაციისთვის განწირულია, ხოლო დაბალი ტარიფების შემთხვევაში ადგილობრივ წარმოებას სერიოზული ზარალი ემუქრება, ოქროს შუალედი ამ ეტაპზე პროდუქციის დიფერენციაციაა. მათი თქმით, საბაჟო განაკვეთების დადგენის დროს ხელისუფლებამ კარგად უნდა განსაზღვროს იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც დაბალ საბაჟო განაკვეთებს საჭიროებს, რომელიც ქვეყანაში იწარმოება და რისი აუცილებლობაც ქვეყანაში მართლაც არსებობს.

**"ბუნებით პროტექციონისტი არ ვარ და მხარს თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს ვუჭერ, რომელსაც თვითონ ბაზარი არეგულირებს, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ქვეყანაში დღეს არ არის აწყობილი ეკონომიკური სისტემა. ამ ეტაპზე უნდა დავტოვოთ სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა მაღალი საბაჟო განაკვეთების პირობებში, სხვა შემთხვევაში მე ვერ ვხედავ მათ პერსპექტივას,"** - ამბობს გიორგი ისაკაძე ბიზნესმენთა ფედერაციის გენერალური მდივანი.

# საქართველოში შემოსული და გასული თანხების მოცულობით რუსეთი ლიდერობს

2006 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში, საქართველოში ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების საშუალებით, შემოსული თანხების მოცულობა გაიზარდა. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკში განაცხადეს, ყველაზე მეტი - დაახლოებით 116,9 მლნ აშშ დოლარი (66,8%) რუსეთის ფედერაციიდან გადმოირიცხა. დაახლოებით 17,6 მლნ აშშ დოლარი (10%) - ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დაახლოებით 5,7 მლნ დოლარი (3,3%) კი - საბერძნეთიდან.

რაც შეეხება საქართველოდან უცხოეთში განხორციელებული სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობას, 5 თვის განმავლობაში საქართველოდან უცხოეთში გადარიცხულია დაახლოებით 54,2 მლნ აშშ დოლარი, რაც 30,6 მლნ დოლარით აღემატება 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

საქართველოს მოქალაქეების მიერ გადარიცხული თანხიდან ყველაზე მეტი, დაახლოებით, 35,1 მლნ აშშ დოლარის ოდენობით (64,8%) რუსეთზე, შემდეგ უკრაინაზე (დაახლოებით 3,4 მლნ აშშ დოლარი), ხოლო ამერიკაზე 2,1 მლნ-ზე მეტი დოლარი (3,9%) მოდის. 2006 წლის იანვარ-მაისში უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში, ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების საშუალებით, დაახლოებით, 175 მლნ აშშ დოლარის ოდენობის თანხა გადმოირიცხა. ეს მაჩვენებელი 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს, დაახლოებით, 47,1 მლნ დოლარს აღემატება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მევალეების" სიის სათავეში რუსეთი დგას

საქართველოს საგარეო ვალი 2 მილიარდ დოლარს აღწევს. "მევალეების" სიის სათავეში, 150,5 მილიონი აშშ დოლარით, რუსეთი დგას. რუსეთის მიმართ დავალიანება უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში დაახლოებით 50 მილიონით გაიზარდა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1994 წელს რუსული ვალის მოცულობა 156, 3 მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა. რუსეთს, 111,5 მილიონი დოლარით, მოსდევს გერმანია. შემდეგ ადგილზე კი, 101 მილიონი დოლარით, თურქმენეთია. ცნობისთვის, 1994 წელს საქართველოს საგარეო ვალი 1 მილიარდ 3,9 მილიონი დოლარს შეადგენდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თბილისის გაზმომარაგების სისტემაში 80 მლნ აშშ დოლარამდე იქნება ინვესტირებული

"ყაზტრანსგაზი" 2006-2011 წლებში თბილისის გაზმომარაგების სისტემაში 82 მლნ ლარის დაბანდებას აპირებს, - განუცხადა სააგენტო "ტრენდს" "ყაზტრანსგაზის" პრეზიდენტმა სერიკ სულტანგალიევმა. მისი თქმით, 2006 წლის ბოლომდე საქართველოს დედაქალაქის გაზმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაში 4,5 მილიონზე მეტი იქნება ინვესტირებული.

"ყაზტრანსგასი-თბილისი" აქტიურად მუშაობს გაზის საფასურის ამოღების გაუმჯობესებაზე, რაშიც კომპანიას "ყაზტრანსგასი-დისტრიბიუშენის" ყაზახეთის სამხრეთში დაგროვილი გამოცდილება დაეხმარება, - განაცხადა სულტანგალიევმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბიუჯეტში ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის მოცულობა გაიზარდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2005 წელს, ყველა დონის ბიუჯეტებში, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის სახით, 290.7 მლნ ლარი შევიდა. აღნიშნული მონაცემები საპროგნოზო მაჩვენებლის 106.1 პროცენტს შეადგენს. ბიუჯეტში მობილიზებული თანხები, წინა წელთან შედარებით, 8.2 პროცენტითაა გაზრდილი და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ 2.5 პროცენტის დონეზე ფიქსირდება. საგადასახადო შემოსავლებში კი საშემოსავლო გადასახადის წილი 12.7 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ტენდერი "თბილსრესის" ენერგობლოკების სარემონტო სამუშაოებზე

ენერგეტიკის სამინისტრომ "თბილსრესის" მე-3 და მე-4 ენერგობლოკების სარემონტო სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა. ტენდერის მიხედვით, კონკურსში გამარჯვებულმა ფირმამ "თბილსრესის" ქიმიური წმენდის ფილტრების, ენერგობლოკების ტურბინების და ტრანსფორმატორის კაპიტალური შეკეთება უნდა განახორციელოს. ვადა გასული სამუშაოებისთვის განსაზღვრული არ არის. აღსანიშნავია, რომ "თბილსრესის" მე-3 და მე-4 ენერგობლოკების ფუნქციონირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 4,2 მილიონი ლარი გამოიყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბანკომატების რაოდენობა გაიზრდება

საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, ბანკომატების რაოდენობა გაიზრდება და 2009 წლისთვის 350 ათასს მიაღწევს. ამჟამად საქართველოში 141 ათასი ბანკომატი ფუნქციონირებს. მოიმატებს თავად პლასტიკური ბარათების რაოდენობაც. ყველა სახის პლასტიკური ბარათი, 2009 წლისთვის, 950 ათასი იქნება. ეს მაჩვენებელი თითქმის ოთხჯერ მეტია (254 ათასი ცალი) გასულ წელს დაფიქსირებულ მონაცემებთან შედარებით. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე აცხადებს, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, 2009 წლისთვის მოიმატებს მთლიანი აქტივების მოცულობაც. წინასწარი პროგნოზით, ეს მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 40 პროცენტს მიაღწევს. 2005 წელს იგი მშპ-ს 22 პროცენტს შეადგენდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Mittal Steel ახალი შთანთქმისათვის ემზადება



მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნი Mittal Steel, რომელიც ევროპულ კონკურენტ Arcelor-თან ერთიანდება, უახლოეს მომავალში კიდევ ერთი მსხვილი შენაძენის განსახორციელებლად ემზადება. ამჯერად ლაკშმი მიტალი ინდურ კომპანია Tata Steel-ს გადაწვდა.

ეს კომპანია თავად ინდოელი ლაკშმი მიტალისათვის საკმაოდ კარგი შენაძენი იქნება, რადგან Tata Steel თავის სექტორში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საწარმოო დანახარჯებით გამოირჩევა და 2016 წლისათვის წელიწადში 30 მილიონი ტონა ფოლადის გამოშვების ამბიციურ მიზანს ისახავს. მიმდინარე წლის მარტში დასრულებული ფინანსური წლის შედეგების მიხედვით, Tata Steel-ის სუფთა მოგებამ 37,21 მილიარდი რუპია (820 მილიონი დოლარი) შეადგინა.

Tata Steel-ის შესაძლო შთანთქმის შესახებ ლაკშმი მიტალი ერთ-ერთი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, როცა აღნიშნა, რომ Arcelor-თან გარიგების დასრულების შემდეგ Mittal Steel ინდური კომპანიით დაინტერესდება. აღსანიშნავია, რომ Tata Steel-ის ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერის, აქციების 20 პროცენტის მფლობელის Tata Group-ის ხელმძღვანელები ყველანაირად ცდილობენ Mittal-ისაგან შთანთქმას წინ აღუდგნენ. კერძოდ, მისმა თავკაცმა რატან ტატამ განაცხადა, რომ აქციების თავისი პაკეტის გაზრდას შეეცდება.

მოგეხსენებათ, თავდაპირველად Mittal Steel-თან გარიგებაზე Arcelor-ის ხელმძღვანელობაც უარს ამბობდა, მაგრამ ლაკშმი მიტალმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. საერთოდ, "რკინის მაჰარაჯა" სწორედ იმით გახლავთ განთქმული, რომ მიზანს ყოველთვის აღწევს. ასე რომ, თუ მიტალმა Tata Steel-ის ხელში ჩაგდება გულში ამოიჭრა, ვერაფერი შეაჩერებს.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ Mittal Steel ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ორისას შტატში ახალ ქარხანას ააშენებს. წინასწარი მონაცემებით, მეტალურგიული გიგანტი ახალ პროექტში 6,5 მილიარდი დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

## Mittal SteeL 6,5 მილიარდ დოლარად ქარხანას ააშენებს

მსოფლიოში ფოლადის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია Mittal Steel ევროპულ გიგანტ Arcelor-თან შეთანხმების დასრულების შემდეგ ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში ახალი ქარხნის მშენებლობას დაიწყებს. მშენებლობის დაწყების საწყისი თანხა 6,5 მილიარდი დოლარია. ცნობილია, რომ კომპანია ამ მშენებლობაში 32 მილიარდ დოლარზე მეტს ჩადებს. ამის შესახებ განხადება თავად კომპანია Mittal SteeL-ის მფლობელმა ლაკშმი მიტალმა გააკეთა.

წინასწარი მონაცემებით, ახალი ქარხანანა, რომელიც ორისას შტატში აშენდება, წელიწადში 12 მილიონი ტონა ფოლადს აწარმოებს. ადრე, მიტალს სურდა, რომ ინვესტიციები მეზობელ ჯარკზანდის შტატში აეშენებინა. ინდოეთის ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ინდოეთში დაბადებულ ბრიტანელ მილიარდელს გარიგების შეცვლა მოუწევს.

ორისას შტატში ქარხნის მშენებლობაზე სამხრეთ კორეის მეტალურგიული გიგანტი POSCO-ც საუბრობს. ეს კომპანია ინდოეთში Mittal-ზე ორჯერ მეტი ინვესტიციის ჩადებას აპირებს.

ამ ეტაპზე Mittal Steel შავი მეტალურგიის ბიზნესში, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გარიგებასთან ძალიან ახლოს არის. ლაკშიმი მიტალმა Arcelor-ს არასაკონტროლო პაკეტში 32,5 მილიარდი დოლარი შესთავაზა. მანამდე კომპანია Mittal-ს ევროპულ გიგანტთან თანამშრომლობაში რუსული Severstal ეცილებოდა, თუმცა კომპანია Arcelor-ის აქციონერებმა ბოლო მომენტში რუსებთან თანამშრომლობაზე უარი თქვეს და გარიგება ჩაშალეს. მიტალის თქმით, ევროპულ გიგანტთან საქმის საბოლოოდ დასრულების შემდეგ Mittal Steel ყურადღებას აზიის ბაზრისკენ გადაიტანს.

# "დიდი მერვეს" პორტრეტი და ფრანგული ავტოინდუსტრიის აღმავლობა

პირველი გვერდიდან

### სუვერენული დემოკრატია და არასუვერენული ბიზნესი

დიდი რვიანი დემოკრატიული და ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოების კლუბია და სამიტის მოახლოებასთან ერთად მიმომხილველებს სულ უფრო და უფრო თვალში ხვდებათ ის გარემოება, რომ მასპინძელი არც მთლად დემოკრატიულია და ინდუსტრიული განვითარების მხრივაც სერიოზული ჩამორჩენა აქვს.

კრემლი რუსეთში არსებულ პოლიტიკურ სისტემას "სუვერენულ დემოკრატიას" უწოდებს (ეს, ალბათ, ნიშნავს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც უცხოეთიდან მომავალ გავლენას არ ექვემდებარება). დიდი ხანია ცნობილია, რომ თუკი სიტყვა "დემოკრატიას" წინ რაიმე ეპითეტი სდევს, ეს დემოკრატია აღარ არის (ასევე, "სახალხო დემოკრატიად" იწოდება ჩრდილო კორეის რეჟიმი) და ამას რუსული შიდა პოლიტიკური ვითარებაც კარგად ადასტურებს. რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, აქ საქმე თითქოსდა უკეთაა: "გაზპრომის" საბაზრო კაპიტალიზაციამ 240 მილიარდ დოლარს გადააჭარბა და, ამ მონაცემის მიხედვით, მსოფლიოში მესამე ადგილზე იმყოფება (ამერიკული ნავთობგიგანტის "ექსონმობილისა" და, ასევე, ამერიკული "ჯენერალ ელექტრიკის" შემდეგ). მაგრამ კომპანიის უკან მდგარი კრემლის აგრესიული პოლიტიკა უკვე იმდენად აშინებს გარე სამყაროს, რომ ყველა ახალი პარტნიორების გამოძებნაზე მუშაობს - დაწყებული დასავლეთ ევროპიდან (სადაც "ნაბუკოს" პროექტის განხორციელებაზე მუშაობა იწყება), თურქმენეთით დამთავრებული (ეს უკანასკნელი გაზს ჩინეთს ჰპირდება, რომელიც მზადაა მასში უფრო მეტი გადაიხადოს, ვიდრე "გაზპრომმა", და ალბათ "ნაბუკოსაც" სიამოვნებით მიუერთდება).

გარდა ამისა, თავად "გაზპრომის" აქტივები ამ ეტაპზე, ალბათ, პიკზე იმყოფება და მომავალში, წესით, კლება ელის იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ კომპანია უკვე განიცდის გაზის დეფიციტს. 2005 წელს "გაზპრომმა" ბუნებრივი გაზის მოპოვება სულ რაღაც 0,5 პროცენტით გაზარდა. ეს კი არც ისე მაღალი მაჩვენებელია კომპანიის არნახული ექსპანსიისა და, შესაბამისად, კლიენტურის ზრდის გათვალისწინებით. თუკი ახალი საბადოები ათვისებული არ იქნა, 2010 წელს კომპანიას 100 მილიარდი კუბური მეტრის დეფიციტი ექნება. მართალია, "გაზპრომმა" ახალი საბადოები შეიძინა (მაგალითად, ადრე "იტერას" კუთვნილი ბერეგოვოე), მაგრამ დიდი და მოუქნელი გიგანტი მათ ძალიან ნელი ტემპით ითვისებს. მცირე ზომის კომპანიები ამ მხრივ გაცილებით უფრო ეფექტურად მოქმედებენ ხოლმე. გარდა ამისა, "გაზპრომის" გეგმებში დიდი გათვლა კეთდებოდა თურქმენული გაზის კონტროლზე და თუკი ეს ლუკმა ხელიდან მართლაც გამოეცალა, დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება.

ეს რაც შეეხება მსოფლიოს N3 კომპანიას. მაგრამ ჯერ არაფერი გვითქვამს იმ გარემოებაზე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში, პრაქტიკულად, ვერ განვითარდა სხვა ინდუსტრიის დარგები და ქვეყნის ექსპორტის ლომის წილი ისევ გაზსა და ნავთობზე მოდის. ამასთან, ამ მხრივ საქმე არც ისე წინ წასულა: გაზისა და ნავთობის მოპოვებამ რუსეთში მხოლოდ ახლა მიაღწია საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდში არსებულ დონეს (მაშინ, როცა აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვება გაორმაგდა, ყაზახეთში კი ნავთობისა და გაზის მოპოვება დაახლოებით 2,5-ჯერ გაიზარდა). რუსეთმა უკვე 50%-ით ამოწურა თავისი ენერგეტიკული რესურსები, ხოლო მოპოვების ეფექტიანობა კატასტროფულად დაბალია და ბუნებრივი სიმდიდრის დიდი ნაწილი ამოღებისას იკარგება. ამის მიუხედავად, მაინც გრძელდება რესურსების შეუბრალებელი ექსპლუატაცია, რისი წყალობითაც ქვეყანას უქმი მილიარდები უგროვდება და ფულის სიუხვის პირობებში იმპორტი იზრდება, რაც სხვა დარგების განვითარებას კიდევ უფრო ამუხრუჭებს.



### "არაფერი პირადული..."

რამდენიმე ხნის წინ, გაზისა და ნავთობის გარდა, მსოფლიო ბაზარზე გასვლის შანსი რუსულ მეტალურგიულ ნაწარმსაც გაუჩნდა. კომპანია "სევერსტალი" ევროპულ "არსელორთან" უნდა გაერთიანებულიყო. მაგრამ გარიგება ჩაიშალა და "არსელორი" ინდურ "მიტალ სტილთან" გაერთიანდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვში ეს რუსოფობიად შეაფასეს. თუმცა, აქ რუსოფობიაზე უფრო მეტად, ალბათ, კრემლოფობიასთან და წმინდა საქმიან ტრიუკებთან გვქონდა საქმე. კრემლოფობიაში იმას ვგულისხმობთ, რომ რუსეთის ხელისუფლება უკვე დაუფარავად იყენებს თავის კომპანიებს თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის (მაგალითად, გაზის გამორთვა თუ გაძვირება ურჩი მეზობლებისათვის), რაც დასავლეთისათვის ნამდვილად მიუღებელია - "არსელორის" ქარხნებში ნაწარმი ფოლადის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების პერსპექტივა ევროპელებს ნამდვილად ვერ მოხიბლავდა. საერთოდ, სახელმწიფოს მიერ თავისი კომპანიების ინტერესთა ლობირება ჩვეულებრივი საქმე და მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ კომპანიების მეშვეობით სახელმწიფოს მიერ თავისი პოლიტიკური მიზნების გატანა სულ სხვაა.

რაც შეეხება საქმიან ტრიუკებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "არსელორმა", უბრალოდ, კარგად გამოიყენა "სევერსტალი" (როგორც ალტერნატიული კომპანია გარიგებისათვის), რათა "მიტალ სტილისგან" უკეთესი პირობები მიეღო და შედეგად მიიღო კიდეც: ინდური კომპანია იქამდე თუკი "არსელორის" მტრულ გადაყლაპვას აპირებდა (ეს ნიშნავს, რომ შესასყიდი კომპანიის ხელმძღვანელობა გარიგების წინააღმდეგია, მაგრამ შესყიდვის მსურველი კომპანია უშუალოდ აქციონერებზე გადის და მათი თანხმობის მეშვეობით ახდენს შესყიდვას), საბოლოოდ მასთან გაერთიანებაზე დათანხმდა. ასე რომ, "არაფერი პირადული (და რუსოფობია), უბრალოდ, ბიზნესი..."

თავის დროზე გორბაჩოვის მიერ დაწყებული "პერესტროიკა" საბჭოთა კავშირის ტექნოლოგიურმა (და, შესაბამისად, ეკონომიკურმა) ჩამორჩენამ განაპირობა და მას აქეთ ეს პრობლემა დიდად არ გამოსწორებულა. იმ იმედით, რომ დასავლეთისგან ტექნოლოგიებს მიიღებდა და ქვეყანას ფეხზე დააყენებდა, კრემლი მთელ რიგ დათმობაზე წავიდა - კომუნისტური დიქტატურისგან გათავისუფლდა აღმოსავლეთ ევროპა, შემდეგ დაიშალა საბჭოთა კავშირიც - მაგრამ რუსეთის ტექნოლოგიური განვითარება მაინც აგვიანებდა. ამის შემხედვარე, კრემლში გადაწყვიტეს, დათმობაზე აღარ წასულიყვნენ და პუტინის ახლანდელი ხელისუფლება ახლა სწორედ "არდათმობის" პოლიტიკას ატარებს. ამ პოლიტიკას ხელს უწყობს გაძვირებული საწვავი, რომლის წყალობითაც რუსეთს ყველაფრის იმპორტირება შეუძლია. მაგრამ, ადრე თუ გვიან, საწვავის გაიაფება ისევ წარმოაჩენს ჩამორჩენილობას და არაა გამორიცხული, გორბაჩოვის პოლიტიკაც ისევ გაიხსენონ. თუმცა, იმედია, სხვა რამესაც გაიხსენებენ - გაიხსენებენ, რომ ეკონომიკური განვითარება ნამდვილი დემოკრატიზაციის გარეშე არ არსებობს. ეს, უბრალოდ, ერთ-ერთი დაუწერელი კანონია და ამაშიც არაფერია პირადული და, მით უმეტეს, ანტირუსული.

მანამდე კი ბუნებრივი რესურსებით ყველაზე მდიდარი სახელმწიფო სამიტისათვის ემზადება. მზადების ფარგლებში მოსკოვმა პარიზის კლუბს საბჭოური ვალი გაუსტუმრა (რუსეთი ფინანსურად დამოუკიდებელია), ხოლო დუმამ "გაზპრომს" გაზის ექსპორტირებაზე მონოპოლიური უფლება მიანიჭა (ენერგეტიკული ზესახელმწიფოს მშენებლობა გრძელდება და დანარჩენი შვიდი ამ ფაქტს უნდა შეეგუოს).

### "რენოს" გზა იაპონიიდან ამერიკამდე

როცა "რენომ" იაპონიის სიდიდით მეორე ავტომწარმოებლის, "ნისანის" აქციათა პაკეტი შეისყიდა, მიმომხილველებს დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავთ. "ნისანი" მაშინ არნახულ კრიზისს განიცდიდა. კომპანიის კეთილდღეობა იმ ცნობილ ფინანსურ კრახს შეეწირა, რომელმაც 90-იანების მეორე ნახევარში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (და, მათ შორის, იაპონიაც) მოიცვა. სწორედ ამ კრიზისის წყალობით შეძლო "რენომ", ხელში ჩაეგდო "ნისანის" აქციათა უმსხვილესი პაკეტი, რაც ორიოდე წლით ადრე ყველასთვის წარმოუდგენელი იყო. "ნისანისათვის" კი ფრანგული კაპიტალი სრული კატასტროფისგან ხსნის ერთადერთი საშუალება იყო, რომელზეც კომპანიამ უარი არ თქვა. მაგრამ სპეციალისტები, აზიაში არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, "რენოს" ამ ნაბიჯს არც ისე გონივრულად აფასებდნენ. ფრანგული კომპანია თავისი შესაძლებლობებით ხომ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა არაერთ ავტოგიგანტს - "ფოლკსვაგენს," "ფორდს," "ჯენერალ მოტორსს..."

დღეს კი საუბარი უკვე მიდის "რენოსა" და "ნისანის" ალიანსი ("რენო" "ნისანის" 44%-ს, "ნისანი" კი "რჟენოს" 15%-ს ფლობს) ( ?) "ჯენერალ მოტორსის" 20%-იანი წილის შესყიდვაზე. ამერიკული ავტოგიგანტი, რომელიც გამოშვებული ავტომანქანების რაოდენობის მიხედვით, უკვე რამდენიმე ათწლეულია, დამაჯერებლად ლიდერობს, მზადაა ამ გარიგებაზე წავიდეს.

გარიგების შემთხვევაში "ჯენერალ მოტორსს", ალბათ, მნიშვნელოვანი რეფორმირება ელის, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს ინიციატივა კარლოს გოსნისგან მოდის. გოსნი თამამედროვე საქმიან სამყაროში ლეგენდარულ ფიგურადაა მიჩნეული. 1999 წელს "რენომ" მას "ნისანის" საქმეები გადააბარა და სულ რაღაც ორ წელიწადში მენეჯერმა გაკოტრების პირას მყოფი იაპონური კომპანია მოგებაზე აამუშავა. ცხადია, საამისოდ მას არაერთი ქარხნის დახურვა და სამუშაო ადგილის შემცირება მოუხდა, რის გამოც "მკვლელის" (უფრო სწორად, "ხარჯების მკვლელის") მეტსახელიც მიიღო, მაგრამ "რენოსათვის" რაც მთავარი იყო, "ნისანი" გადარჩა და თავის დროზე განხორციელებულმა ინვესტიციამ გაამართლა. დღესდღეობით იაპონურ ავტომწარმოებლებში "ნისანი" მხოლოდ "ტოიოტასა" და "ჰონდას" უთმობს პოზიციებს. ახლა "მკვლელმა" თავად "რენოსთვისაც" მოიცალა და რეფორმათა მთელი რიგი პაკეტი შეიმუშავა, რომელმაც ფრანგული კომპანია რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო უნდა მოაძლიეროს. აღსანიშნავია, რომ "რენო" ერთობ დიდ ყურადღებას უთმობს მომავლის ტექნოლოგიებს, კერძოდ კი, ალტერნატიული საწვავის წყაროს სახით წყალბადის ათვისებას.

"რენოსა" და "ნისანის" ალიანსი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ეფექტურად იმუშავა ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფრანგული და იაპონური კულტურისა და ხასიათის შერწყმამ. 90-იან წლებში განხორციელებული ტრანსნაციონალური გარიგებების უმრავლესობამ არც ისე კარგად იმუშავა სწორედ ხასიათში განსხვავებებისა (და, აქედან გამომდინარე, საქმისადმი განსხვავებული დამოკიდებულების) გამო. როგორც წესი, ყველაზე უფრო მეტად ამერიკულ-ბრიტანული გარიგებები ამართლებდა (მაგალითად, "ბრითიშ პეტროლიუმის" მიერ "ამოკოს" შესყიდვა), რომელთა ხასიათებიც ერთიმეორესთან სხვებთან შედარებით ახლოს დგას, ყოველ შემთხვევაში, უფრო ახლოს, ვიდრე ფრანგული და იაპონური.

"ჯენერალ მოტორსთან" გარიგების იდეა გოსნმა ცნობილ ინვესტორთან, კერკ კერკორიანთან სადილის დროს წამოაყენა. კერკორიანი, რომელსაც უამრავ დიდ კომპანიაში აქვს წილი, "ჯენერალ მოტორსის" აქციათა საკმაოდ სოლიდურ პაკეტსაც ფლობს. "რენოსა" და "ნისანთან" გარიგების მიზანშეწონილობაზე ამერიკული გიგანტის ხელმძღვანელობას მან ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს მისწერა. ასე რომ, გოსნთან სადილი მისი წერილის ლოგიკური გაგრძელება იყო.

კერკორიანისა და გოსნის წინადადებით, წესით, აუცილებლად უნდა დაინტერესდეს თავად "ჯენერალ მოტორზის" ხელმძღვანელობა. ამერიკული გიგანტი ბოლო პერიოდში საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის. მართალია, ეს პრობლემები "ფორდის" პრობლემებს ვერ შეედრება, მაგრამ ფაქტია, რომ ზომების მიღებაა საჭირო. გოსნი კი სწორედ ის ფიგურაა, რომელსაც ზომების მიღება და არეული საქმეების დალაგება ძალუძს.

"ჯენერალ მოტორსის" 20 პროცენტი "რენოსა" და "ნისანს" დაახლოებით 10,6 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ. თუკი გარიგება შედგა, მსოფლიოს ავტოგიგანტთა ლიდერთა სიაში მნიშვნელოვანი გადანაცვლებები მოხდება. დღესდღეობით გამოშვებული მანქანების რაოდენობით ისევ "ჯენერალ მოტორსი" ლიდერობს, ოდესღაც მეორეზე მყოფი "ფორდი" კი მესამე პოზიციაზეა (მეორეზე მას "ტოიოტა" ჩაენაცვლა. აქვეა "დაიმლერკრაისლერი" და აქამდე მეხუთე-მეექვსე პოზიციაზე იმყოფებოდა "რენო", რომელსაც სერიოზულ კონკურენციას "ფოლკსვაგენი" და "ჰონდა" უწევდნენ. ახლა ამ კონკურენტებს კიდევ უფრო სერიოზული კონკურტები შეეცლიან. მიმომხილველები კი გაცილებით უფრო მეტ ოპტიმიზმს გამოიჩენენ, ვიდრე ეს 90-იანი წლების ბოლოს იყო, როცა "რენო" "ნისანის" აქციებს ყიდულობდა.

## აშშ-ს ბირჟაზე მნიშვნელოვანი კლებაა










გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიოში არსებულმა დაძაბულმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ და ნავთობის გაძვირებამ. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ივნისის თვეში აშშ-ში საშუალო საათობრივმა ანაზღაურებამ წინა თვესთან შედარებით 0,5 პროცენტით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 3,9 პროცენტით მოიმატა. ხელფასის მაღალი ზრდა კორპორაციული შემოსავლების შემცირების საფრთხეს ქმნის. ამასთან, გავრცელდა არადაიმედებელი კორპორაციული სიახლეები, რაც, უპირველეს ყოვლისა, მაღალტექნოლოგიურ სექტორზე უნდა ითქვას. კერძოდ, მიკროსქემების მსოფლიოში სიდიდით მეორე მწარმოებელმა Advanced Micro Devices Inc-მა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, პირველთან შედარებით, გაყიდვის მოცულობამ 9 პროცენტით იკლო. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი კომპანია 3M-ic.

საბოლოოდ, Dow Jones Index 1,2 პროცენტით, 11.090,67 პუნქტამდე შემცირდა. 1,16 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.130,06 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,67 პროცენტით, 1.256,48 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობისა და ოპეკის კალათის" ფასმა ახალ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 75,03 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 75,42 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ეს ახალი სარეკორდო მაქსიმალური მაჩვენებელი გახლავთ. შეგახსენებთ, რომ Light-ის მარკის ნავთობის აქამდე არსებული რეკორდი მიმდინარე წლის 21 აპრილს დაფიქსირებული ფასი - 75,17 დოლარი/ბარელი გახლდათ, Brent-ის მარკის ნავთობის კი 74,64 დოლარი/ბარელი, რომელიც მიმდინარე წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ პარასკევს, დღის ბოლოს, ვაჭრობის დამთავრების წინ მოგების ფიქსაციის გამო ნავთობის ფასმა 1-1,5 დოლარით მოიკლო.

ნავთობის გაძვირებაზე კვლავინდებურად გავლენას ახდენს მსოფლიოში, კერძოდ, შორეულ და ახლო აღმოსავლეთში და ნიგერიაში არსებული დაძაბული სიტუაცია. გარდა ამისა, თანდათანობით სულ უფრო მატულობს აშშ-ში ბენზინზე მოთხოვნილება, მისი და ნედლი ნავთობის მარაგი კი კლებულობს. ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, ლეიკ ჩარლზთან მდებარე ოთხი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ამ ქალაქთან მექსიკის ყურის დამაკავშირებელ არხში ნაოსნობის შეფერხების გამო სრული დატვირთვით ვერ მუშაობს.

შედეგად, "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასი 68,74 დოლარი/ბარელამდე გაიზარდა და ახალ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. აქამდე არსებული მაქსიმალური მაჩვენებელი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

## ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გასული კვირის ბოლოს ლონდონისა და ნიუ იორკის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 1 პროცენტით, 636,3 დოლარამდე გაძვირდა, რაც უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია.

ოქროს ფასის ზრდას ხელი შეუწყო ნავთობის გაძვირებამ და ჩრდილოეთ კორეის მთავრობის განცხადებამ, რომ ბალისტიკური რაკეტების გამოცდას შემდგომშიც გააგრძელებს. როგორც ცნობილია, არასტაბილურობისას ოქრო განსაკუთრებით ხელსაყრელ კაპიტალდაბანდებად ითვლება. ამავდროულად, მსოფლიოში არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ სხვადასხვა წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის ვარდნა განაპირობა, რამაც ოქროზე მოთხოვნილება დამატებით გაზარდა.

ყველა ამ ფაქტორმა და ოქროს ბირჟაზე შექმნილმა სიტუაციამ ვერცხლის გაძვირებაც განაპირობა, რომლის ფასმაც 6,3 პროცენტით, 11,575 დოლარი/უნციამდე მოიმატა, რაც ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. გაძვირდა პლატინაც და პალადიუმიც, პირველის ფასმა 1249,6 დოლარი/უნცია შეადგინა, მეორისამ კი 330,85 დოლარი/უნცია. ეს ფასები უკანასნელი თვის მაქსიმუმი გახლავთ.

დაფიქსირდა ფერადი ლითონების ფასების ზრდაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკელის გაძვირება, რომლის ფასმა 23850 დოლარი/ტონას მიაღწია, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.

# "ჯენერალ მოტორსს" "რენო-ნისანთან" გაერთიანებას სთავაზობენ

პირველი გვერდიდან

კერკორიანს, ვინც მსოფლიოს უდიდესი ავტოკონცერნის აქციების თითქმის 10 პროცენტს ფლობს, არ აკმაყოფილებს კრიზისში მყოფი "გენერლების" მიერ წარმოებული რეორგანიზაციის პროცესის ტემპი. ის იმედოვნებს, რომ "რენო-ნისანთან" გაერთიანების შემთხვევაში, ფრანგულ-იაპონური კონგლომერატის მთავარი აღმასრულებელი, ბრაზილიელი კარლოს გოსნი, ვინც საქმიან წრეებში "ხარჯების მკვლელის" და "ყინულმჭრელის" მეტსახელებითაა ცნობილი, შეძლებს "ჯენერალ მოტორსის" კრიზისიდან გამოყვანის პროცესის მნიშვნელოვან დაჩქარებას, რაც დადებითად იმოქმედებს კონცერნის აქციების ფასზე.

"ტრასინდა" მოუწოდებს "ჯენერალ მოტორსს", შეიქმნას სპეციალური კომიტეტი, რომელიც "დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად შეისწავლის" "რენოსთან" და "ნისანთან" სამმხრივი პარტნიორობის დაწყების შესაძლებლობას, რომლის შემთხვევაშიც, ეს ორი კომპანია "გენერლების" აქციების უმნიშვნელო (ათ-ათ პროცენტს) წილს შეიძენს. "რენო" იაპონური კომპანიის აქციების 44 პროცენტს ფლობს, თავის მხრივ კი, მისი აქციების 15,33 და ხმის უფლების 18,78 პროცენტი საფრანგეთის მთავრობას ეკუთვნის.

"ტრასინდას" შეთავაზებამ ინვესტორები და ანალიტიკოსები გააოცა, თუმცა აშკარაა, რომ ავტოინდუსტრიის მასშტაბებით ამ უპრეცედენტო პარტნიორობის დაწყების შემთხვევაში, "ჯენერალ მოტორსი" მნიშვნელოვან ფინანსურ შევსებას მიიღებს. ეს კი მისწრება იქნება კრიზისში მყოფი კონცერნისთვის, რომლის მდგომარეობას ძლიერ ამძიმებს ის ფაქტი, რომ მას თავისი ყოფილი თანამშრომლებისადმი უზარმაზარი საპენსიო თანხები აქვს გადასახდელი.

ბოლო ორი წლის განმავლობაში კონცერნის ხელმძღვანელობას დაძაბული მოლაპარაკებები ჰქონდა საავტომობილო ინდუსტრიის პროფკავშირებთან. შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ "გენერლები" თავიანთი თანამშრომლებისადმი საპენსიო ვალდებულებებს შეამცირებენ და, სამაგიეროდ, მათ ხელფასს გაუზრდიან.

კრიზისის მეორე წყაროა საწვავზე ფასების გაძვირება, რასაც "ჯენერალ მოტორსის" მიერ წარმოებული ავტომობილების გაყიდვების შემცირება მოსდევს (მაგალითად, გენერლების ივნისის გაყიდვები წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, 26 პროცენტით შემცირდა). ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ მყიდველს აღარ აინტერესებს ხარჯიანი ამერიკული პიკაპები და უგზოობის მოდელები და ამ ეტაპზე იაპონური ეკონომიური სედანების ყიდვას ამჯობინებს.

სიტუაცია განსაკუთრებით შარშან დამძიმდა, როცა "ჯენერალ მოტორსმა" 10,6 მილიარდი დოლარი იზარალა. ამ თანხის ნაწილი "გენერლებმა" მათ კუთვნილებაში მყოფი ერთ-ერთი ფინანსური შტოს გაყიდვით დაფარეს, თუმცა კრიზისი ამით არ შემსუბუქებულა. უფრო მეტიც, კონცერნის აქციების ფასი 52 პროცენტით შემცირდა, რაც დოუ ჯონსის ინდექსის განმსაზღვრელ კომპანიებს შორის ყველაზე დიდი დაცემაა.

"რენო-ნისანთან" პარტნიორობის დაწყების შემთხვევაში, "ჯენერალ მოტორსი" მხოლოდ აქციების გაყიდვით მიღებული თანხით (დაახლოებით 3 მილიარდ დოლარამდე) როდი იხეირებს. მომავალში უზარმაზარი თანხები დაიზოგება ახალი პროდუქციის შექმნისას (პარტნიორები ერთმანეთს გაუზიარებენ ტექნოლოგიებს). რაც მთავარია, ამერიკული კონცერნის მართვაში მონაწილეობას მიიღებს კარლოს გოსნი, რომელსაც თავის დროზე სულ სამი წელი (1999-2001) დასჭირდა იმისათვის, რომ უმძიმესი კრიზისიდან გამოეყვანა "ნისანი", რომლის კისერზეც დამოკლეს მახვილივით ეკიდა მრავალმილიარდიანი დავალიანება.

"ჩემთვის ეს დიდი მოულოდნელობაა. ამ სამი კომპანიის გაერთიანებაზე ფიქრიც კი თავში არავის მოუვიდოდა. ალიანსი რომც არ შედგეს, ყოველივე იმაზე მიანიშნებს, რომ კერკორიანი გააქტიურდა და ცდილობს, "ჯენერალ მოტორსელ" პარტნიორებს თავისი იდეების განხორციელება აიძულოს," - ამბობს "სტანდარდ ენდ პურსის" დამოუკიდებელი ანალიტიკოსი ეფრემ ლევი.

ლევის ამ მოსაზრებას ადასტურებს კერკორიანის წარმომადგენელი ჯერი იორკი, ვისი თქმითაც, "გენერლებმა" წელს უკვე გაითვალისწინეს მილიარდერის რამდენიმე საქმიანი წინადადება. მაგალითად, სწორედ კერკორიანის რჩევით მოხდა აღმასრულებელი საბჭოს წევრების ხელფასების და კონცერნის დივიდენდების მნიშვნელოვანი შემცირება.

"ჯენერალ მოტორსს" დაწყებული აქვს რესტრუქტურიზაციის პროცესი, რომელიც 30 000 სამუშაო ადგილის შემცირებას და 12 ქარხნის დახურვას ითვალისწინებს. რეფორმები უკვე სრული ტემპით ტარდება და მას გარკვეული დადებითი შედეგები მოაქვს კიდეც, რაც აქციონერთა კმაყოფილებას იწვევს. თუმცა, კერკორიანი მიიჩნევს, რომ ეს საკმარისი არაა. უფრო მეტიც, ის თითქმის დარწმუნებულია იმაში, რომ "ჯენერალ მოტორსის" საქმეების სასწრაფო გაუმჯობესება მხოლოდ ერთ კაცს - კარლოს გოსნს შეუძლია.


რიჩარდ ვაგონერი.


კარლოს გოსნი.


კირკ კერკორიანი.

ამასთან, "ტრასინდა" აღიარებს, რომ კერკორიანსა და გოსნს შორის მოლაპარაკება დიდი ხნის წინ დაიწყო. რა თქმა უნდა, მილიარდერმა თავისი გეგმა უკვე გააცნო ბრაზილიელ მენეჯერს და, როგორც ამბობენ, მისგან წინასწარი თანხმობაც მიღებული აქვს. თუმცა, სანამ საქმე დაიძრებოდა, საჭირო იყო, რომ ის "რენოსა" და "ნისანის" აღმასრულებელ საბჭოებსაც მოეწონებინათ.

"რენო" და "ნისანი" თანახმანი არიან, განიხილონ "ჯენერალ მოტორსთან" შესაძლო ალიანსის შექმნის შესაძლებლობა, რომლის შედეგადაც არნახულად დიდი საავტომობილო ჯგუფი შეიქმნება. ამით, პრაქტიკულად, წერტილი დაესმება "ტოიოტას" იმედს, გახდეს მსოფლიოს უდიდესი ავტომწარმოებელი.

"რენოსა" და "ნისანის" დირექტორთა საბჭოებმა გოსნს ამერიკულ კომპანიასთან მოლაპარაკების წარმოება დაავალეს და განაცხადეს, რომ საკითხის შესწავლა-დამუშავებას მხოლოდ მას შემდეგ შეუდგებიან, რაც ამერიკული კონცერნის ხელმძღვანელობა ალიანსის შექმნას ოფიციალურად შესთავაზებს.

ამ ეტაპზე გოსნს წინასწარი მოლაპარაკება მხოლოდ კერკორიანთან ჰქონდა. ის მალე "გენერლების" მთავარ აღმასრულებელ რიჩარდ ვაგონერსაც შეხვდება. არაა გამორიცხული, რომ ალიანსის შექმნის შემთხვევაში, გოსნი სწორედ ვაგონერის თანამდებობას დაიკავებს.

გაერთიანების შემთხვევაში, ახალი კომპანიის წარმოების წლიური მოცულობა 15 მილიონ ავტომობილს მიაღწევს, მათი გაყიდვით მიღებული შემოსავალი კი 326 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. ამ მაჩვენებლებით, ახალი ალიანსი საგრძნობლად მოიტოვებს უკან "ტოიოტას", თუმცა საბაზრო ღირებულების მხრივ, მაინც ვერ დაეწევა იაპონურ გიგანტს, რომლის კაპიტალიზაცია 190 მილიარდ დოლარს შეადგენს.

თუმცა, ანალიტიკოსების უმეტესობა ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე "რენოსთვის" ალიანსის შექმნა არახელსაყრელი იქნება. ამის მიზეზი ისაა, რომ "ნისანის" საქმეების მოგვარების შემდეგ, გოსნი "რენოს" მთავარ აღმასრულებლადაც დაინიშნა და ფრანგული კომპანიის რესტრუქტურიზაციაც დაევალა. ეს პროცესი ახლა მთელი მასშტაბითაა გაშლილი და საეჭვოა, ამ პროცესში გოსნს "გენერლებთან" გაერთიანება აინტერესებდეს. თუმცა, როგორც მენეჯერისთვის, მისთვის, ალბათ, საინტერესო უნდა იყოს, თუ რას სთავაზობს ამერიკული ავტოგიგანტი.

უფრო მეტიც, დაუდასტურებელი ინფორმაციით, კერკორიანთან ერთად ვახშმობისას მას "ჯენერალ მოტორსის" აქციების 20 პროცენტის შეძენის სურვილიც კი გამოუთქვამს. აღნიშნული პაკეტის შესაძენად დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი იქნება საჭირო, ამ თანხის დიდი ნაწილის მიღება კი "რენოს" სატვირთო ავტომობილების მწარმოებელი შტოს მიერ "ვოლვოს" გაყიდვითაა შესაძლებელი.

სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გოსნის გადაბირება სურდა მეორე ამერიკულ ავტომწარმოებელ "ფორდ მოტორზს", რომელიც ასევე ფინანსურ კრიზისს განიცდის და სერიოზულ რესტრუქტურიზაციას ახორციელებს (ხურავს რამდენიმე ქარხანას და სამუშაოდან ითხოვს 30 000 თანამშრომელს).

"დრეზდნერ კლაინვორტის" საკრედიტო ანალიტიკოსი კრისტოფ ბულანჟერი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ალიანსის შექმნა დააზარალებს "რენო-ნისანს", ალიანსის მთლიანი რეიტინგი (მის ბაზისად "ჯენერალ მოტორსის" ახლანდელ BBB-დონეს მიიჩნევენ) კი ერთი საფეხურით დაიწევს.

## კარლოს გოსნი

კარლოს გოსნი ბრაზილიის პორტუ ველოში 1954 წლის 9 მარტს დაიბადა წარმოშობით ლიბანელთა, ჯორჯე და როზ გოსნების ოჯახში. კარლოსი 6 წლის იყო, როცა ოჯახი ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში გადასახლდა. იქ კარლოსი ფრანგულ იეზუიტთა სკოლაში სწავლობდა, 17 წლისა კი სასწავლებლად საფრანგეთში გაემგზავრა.

საინჟინრო საქმის სწავლის პარალელურად, კარლოს გოსნმა მუშაობა დაიწყო საბურავების მწარმოებელ კომპანია "მიშლენში", სადაც მალე დაწინაურდა და კომპანიის ჩრდილოამერიკული შტოს მთავარი აღმასრულებელი გახდა. მალე "მიშლენმა" კომპანია "იუნიროიალ გუდრიჩი" შეისყიდა და გოსნს პირველად მოუხდა "ხარჯების მკვლელის" თვისებათა გამოვლენა.

"მიშლენიდან" გოსნმა "რენოში" გადაინაცვლა, სადაც მაშინვე კიდევ ერთი სერიოზული რესტრუქტურიზაციის ჩატარება მოუხდა. მის მიერ ჩატარებულ რეფორმებს 3 100 სამუშაო ადგილის შემცირება მოჰყვა. 1999 წელს ის "ნისანის" ხელმძღვანელად გადაიყვანეს. იმ პერიოდში იაპონური კომპანია ვალებში იყო ჩაფლული და სასწრაფო ზომების მიღების გარეშე გაკოტრება არ ასცდებოდა. გოსნს კი სულ სამი წელი ეყო იმისათვის, რომ "ნისანის" ბიზნესი მომგებიანი გამხდარიყო. სამაგიეროდ, იაპონიაში ჩატარებულ რეფორმებს რამდენიმე ქარხნის დახურვა და სამუშაო ადგილების 21 000-ით შემცირება მოჰყვა.

გოსნს მმართველობის სწორხაზოვანი და, თითქოს, ერთფეროვანი მეთოდები აქვს, თუმცა მთავარი ისაა, რომ მის ძალისხმევას დამქირავებლისთვის ყოველთვის მოაქვს სასურველი შედეგი. ასე იყო "ნისანშიც", სადაც მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ბევრი ადამიანი უკმაყოფილო დატოვა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ რეფორმების შედეგად, გაცილებით მეტ ადამიანს შეუნარჩუნდა სამუშაო. იმავდროულად, "ნისანის" რეფორმებით კმაყოფილნი დარჩნენ ის ინვესტორები, რომლებისაც კომპანიას მილიარდები მართებდა.

"არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ პარტნიორი კომპანიები შეიძლება სხვადასხვა კონტინენტზე მდებარეობდეს. არც იმის აუცილებლობა არსებობს, რომ ერთმა კომპანიამ მეორე შეისყიდოს. პარტნიორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოხდეს ორი განსხვავებული კულტურის შერწყმა. თუ ორივე კომპანია ერთი მთლიანი მექანიზმი გახდება ისე, რომ მათ ინდივიდუალობა არ დაკარგონ, მაშინ არც სასურველი შედეგის მიღწევა იქნება შეუძლებელი," - კარლოს გოსნმა ეს სიტყვები სტენფორდის ბიზნესის უმაღლეს სკოლაში ლექციის კითხვისას წარმოთქვა.

გოსნი წლის განმავლობაში რამდენიმე ათას კილომეტრს დაფრინავს. მას ხშირი გადაფრენები უწევს ევროპას, იაპონიასა და აშშ-ს შორის. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი მისი საქმეა, რომელიც ორი ავტოგიგანტის - "რენოსა" და "ნისანის" ხელმძღვანელობას ნიშნავს. ის დეტროიტში, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, მოთაუნში (მოტორს თაუნის შემოკლებული ვარიანტია) მიღებული კაცია. იქ ხშირად უწევს ჩასვლა "ნისანის" საქმეებთან დაკავშირებით.

თებერვალში მან "რენოში" ახალი რეორგანიზაცია წამოიწყო, რომელიც გეგმის მიხედვით, 2009 წელს უნდა დასრულდეს. ამ რეორგანიზაციის მთავარი მიზანია გაყიდვების მნიშვნელოვანი ზრდა. მიზნის მისაღწევად, ფრანგული კომპანია ეცდება, მყიდველს უფრო მიმზიდველი და იაფი ავტომობილები შესთავაზოს. გოსნი ამბობს, რომ "რენოს" აშშ-ს ბაზარზე მხოლოდ ახალი რეფორმის წარმატებით განხორციელების შემდეგ დააბრუნებს.

## ახალი და ძველი ალიანსები

თუმცა, ეს შეიძლება უფრო ადრეც მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, "ჯენერალ მოტორსთან" დაახლოების შესაძლებლობა კირკ კერკორიანთან ნეშვილში გამართული ვახშმის შემდეგ გამოიკვეთა. სომხური წარმოშობის მილარდერი მას "რენო-ნისანის" ალიანსის გაფართოებას სთავაზობს.

სხვათა შორის, ისტორიას ორ ავტოკომპანიას შორის თანასწორუფლებიანი პარტნიორობის სხვა შემთხვევებიც ახსოვს, თუმცა ყველა მათგანი როდი იყო ისეთივე წარმატებული, როგორიც "რენოს" და "ნისანს" აქვთ. ალიანსები ჩაეშალათ "ბეემვეს" და "როვერს", "დაიმლერკრაისლერსა" და "მიცუბიში მოტორზს", "ჯენერალ მოტორზსა" და "ფიატს". იმავდროულად, ჯერჯერობით ბრწყინვალედ მუშაობს "დაიმლერბენცისა" და "კრაისლერის" ალიანსი.

"ნისანამდე" თავად "რენოსაც" ჰქონდა ალიანსი "ამერიკენ მოტორსთან", მაგრამ სხვადასხვა კონტინენტზე მყოფ კომპანიებს შორის (მაშინ "რენოს" არ ჰყავდა გოსნი) სრულფასოვანი და ორმხრივმომგებიანი თანამშრომლობა არ შედგა, რის გამოც, ფრანგულმა კომპანიამ თავისი ამერიკული პარტნიორის აქციების საკონტროლო პაკეტი "კრაისლერს" მიჰყიდა. სწორედ მაშინ (1987 წელს) გადავიდა ამ უკანასკნელის მფლობელობაში პოპულარული მარკა "ჯიპი".

გაზეთ "ფიგაროს" ცნობით, გოსნს უკვე შემუშავებული აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ მისი კომპანიები "ჯენერალ მოტორსთან" გაერთიანდებიან. მას კარგად აქვს შესწავლილი ამერიკული კონცერნის ავ-კარგი, შესაძლებლობანი, პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლო გზებიც. ამ საავტომობილო კოლოსს საწარმოები აქვს მსოფლიოს 33 ქვეყანაში, კომერციული ინტერესები კი ლამის მთელ მსოფლიოში გააჩნია.

"ფიგაროს" ცნობით, გოსნს არც ის ფაქტი აშინებს, რომ "გენერლებს" ევროპაში საწარმოების და დილერთა ძლიერ განვითარებული ქსელი გააჩნიათ. გაერთიანების შემთხვევაში მას არც "რენოსა" და "ოპელს" (ჯენერალ მოტორსის ევროპული შტოა) შორის მოსალოდნელი შიდა კონკურენცია ადარდებს. იმავდროულად, სპეციალურად მოწვეულ შეკრებაზე, მან "რენოს" დირექტორთა საბჭო კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ არანაირ შემთხვევაში არ შეიცვლება "რენოს" რესტრუქტურიზაციის გეგმა და ის დათქმულ ვადაში (2009 წელს) დასრულდება.







## საქართველო თურქმენეთის ვალს წლის ბოლომდე გადაიხდის

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საგარეო ვალის მომსახურების გეგმა შეიმუშავა. გეგმა პარიზის კლუბის ორივე შეთანხმებით მიღწეული ვალის გადავადების პირობებსა და ევროგაერთიანების ვალის 2006-2007 წლებში დაჩქარებული ტემპით დაფარვას ითვალისწინებს. გეგმის მიხედვით, საქართველო გააგრძელებს თურქმენეთის ვალის ნატურით -პროდუქციითა და მომსახურებით დაფარვის პრაქტიკას. თურქმენეთის ვალი, სავარაუდოდ, 2006 წლის ბოლომდე დაიფარება. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, თურქმენეთის ვალი 101 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. სტატისტიკის მიხედვით, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ამ ქვეყნისადმი დავალიანების მოცულობა 4-ჯერ შემცირდა. მთავრობის სურვილია, ვალის პროდუქციით დაფარვის პრაქტიკა სხვა ქვეყნების საგარეო ვალის დასაფარადაც გამოიყენოს. როგორც ფინანსთა სამინისტროში განაცხადეს, მიმდინარეობს მუშაობა ავსტრიის მთავრობასთან, რათა ავსტრიის ვალი საქართველოსთვის ხელსაყრელი პირობებით დაიფაროს. მათივე ინფორმაციით, ვალის მდგრადობის ანალიზმა უჩვენა, რომ დღეისათვის საგარეო ვალის მდგომარეობა მისაღებია. საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს სამომავლო პოლიტიკაა, არ აიღოს არაშეღავათიანი სესხები და გარანტიები ასეთ სესხებზე არ გასცეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 10/07 | 11/07 | 12/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 30 | 28 | 29 |
| რიგა | 33 | 32 | 33 |
| ვილნიუსი | 33 | 33 | 32 |
| მოსკოვი | 33 | 33 | 34 |
| მინსკი | 36 | 36 | 36 |
| პარიზი | 30 | 30 | 27 |
| რომი | 32 | 32 | 31 |
| ლონდონი | 22 | 27 | 27 |
| მადრიდი | 38 | 35 | 33 |
| ბონი | 30 | 34 | 30 |
| ვარშავა | 38 | 36 | 36 |
| ათენა | 28 | 29 | 30 |
| ბერნი | 30 | 32 | 31 |
| ამსტერდამი | 23 | 24 | 23 |
| ოსლო | 21 | 16 | 21 |
| ანკარა | 30 | 30 | 34 |
| ვარნა | 27 | 27 | 27 |
| დელი | 43 | 38 | 36 |
| ტოკიო | 31 | 31 | 30 |
| კოპენჰაგენი | 21 | 25 | 23 |
| ბაქო | 35 | 34 | 33 |
| ერევანი | 37 | 37 | 37 |
| ასტანა | 14 | 18 | 15 |
| ჰელსინკი | 25 | 26 | 25 |
| დუბლინი | 16 | 18 | 21 |
| ლისაბონი | 30 | 28 | 28 |
| პრაღა | 31 | 32 | 33 |
| სოფია | 26 | 27 | 23 |
| ბუდაპეშტი | 33 | 32 | 32 |
| ბუხარესტი | 32 | 31 | 33 |

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

"დინამომ" თბილისშიც მორიდებით ითამაშა



C2

პოდოლსკი: "ჯერ კიდევ დასახვეწი ვარ"



C3

ფედერერის რევანში



C4

## არველაძე "ლევანტეში" გადადის

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური "ალკმაარის" ფორვარდმა შოთა არველაძემ, შესაძლოა, ესპანურ "ლევანტეში" გააგრძელოს კარიერა. "ლევანტე" გასულ სეზონში სეგუნდა დივიზიონში თამაშობდა, ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და მომავალ სეზონში ესპანეთის ელიტურ დივიზიონში ითამაშებს. ესპანური კლუბის მესვეურები შოთას სთავაზობენ ერთწლიან კონტრაქტს, რომელიც სეზონის დასრულების შემდეგ, შესაძლოა, კიდევ ერთი წლის გაგრძელდეს.

## ცქიტიშვილი საბერძნეთში გააგრძელებს კარიერას

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ლევან ცქიტიშვილმა გადაწყვიტა ბერძნულ "პანიონიოსში" გააგრძელოს კარიერა. გუშინ ქართველმა ფეხბურთელმა ბერძნულ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა და "პანიონიოსთან" კონტრაქტი გააფორმა. ლევანი ბერძნულ გუნდში ევარდ ლინენის მიწვევით წავიდა. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ლინენი ამ კლუბის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

## თბილისის "ვიტ ჯორჯიას" განაცხადი

საქართველოს ვიცე-ჩემპიონი თბილისის "ვიტ ჯორჯია" რამდენიმე დღეში 2006-07 წლების უეფა-ს თასის გათამაშებაში ჩაერთვება. დედაქალაქური კლუბის პირველი მეტოქე სლოვაკეთის "არტმედიაა". თბილისის "ვიტ ჯორჯიას" განაცხადი:

**მეკარეები:** 1.გრიგოლ ბედიაშვილი, 12.შოთა ღრუბელეიშვილი, 25.ადიკ მიქაბერიძე

**მცველები:** 2.დავით იმედაშვილი, 3.დავით ლომაია, 14.ლაშა ჯაფარიძე, 15.თეიმურაზ ღონღაძე, 20.პაატა დათუნაიშვილი, 21.ოლეგ გველესიანი, 28.ალექსანდრე კვახაძე, 29.გურამ ადამაძე

**ნახევარმცველები:** 5.რადიონ ცხომაია, 6.გიორგი ფეიქრიშვილი, 7.ლუკა რაზმაძე, 17.გიორგი კვალიძე, 18.დავით დილმელაშვილი, 19.გიორგი მელქაძე, 26.გიორგი დათუნაიშვილი, 30.რევაზ წულაძე

**თავდამსხმელები:** 8.ვასილ ლუჭაშვილი, 9.ნიკოლოზ გელაშვილი, 10.გიორგი ბერიაშვილი, 11.ზაზა სახოკია, 24.ირაკლი კლიმიაშვილი, 27.გიგა ბეჭვაია

## ფოფხაძე შოტლანდიისკენ იყურება

თბილისის "თბილისის" ყოფილი ფეხბურთელი გიორგი ფოფხაძე, რომელიც გასულ სეზონში ბერძნულ "ოლიმპიაკოსში" ირიცხებოდა, შესაძლოა, შოტლანდიურ "ჰართსში" აღმოჩნდეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ახლა შოტლანდიაში იმყოფება და რომანოვის გუნდში გადის სინჯებს.

## რაით-ფილიპსი "ვესტ ჰემში"

ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველმა შონ რაით-ფილიპსმა მომავალი სეზონი, შესაძლოა, "ვესტ ჰემში" გაატაროს. ლეგენდარული იან რაითის ვაჟმა ვერაფრით მოახერხა "არისტოკრატიულ" კლუბში ფეხის მოკიდება და ახლა გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. "ვესტ ჰემს" რაით-ფილიპსის საყიდლად საჭირო თანხა არა აქვს. ამიტომ "ჩაქუჩების" ხელმძღვანელები ერთწლიანი იჯარით აპირებენ ფეხბურთელის აყვანას.

## ბოლეომ გაამართლა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ბევრს საუბრობდნენ, რომ მუნდიალის თილისმა გოლეო არ იყიდება. მეტიც, ამ თილისმის დამამზადებელი კომპანია გაკოტრების პირასაა. 25-სანტიმეტრიანი ლომი გერმანიაში არც ეხლა იყიდება, თუმცა დიდი მოთხოვნილებაა იტალიასა და საფრანგეთში, რამაც გოლეოს დამამზადებელი კომპანია იხსნა გაკოტრებისგან.

## ფიგუ ნაკრებს დაემშვიდობა

პორტუგალიის ნაკრების კაპიტანმა ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ ნაკრებში აღარ ითამაშებს. 33 წლის ნახევარმცველს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 127 მატჩი აქვს გამართული.

"ცხადია, მინდოდა კარიერა უფრო მაღალ ნოტზე დამესრულებინა, მაგრამ გერმანიის ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა და სათქმელიც არაფერი მაქვს," - განაცხადა ფიგუმ გერმანია-პორტუგალიის მატჩის შემდეგ. ფიგუსთან ერთად პორტუგალის ნაკრები დატოვა პაულეტამაც.

## რონალდუ "მანჩესტერს" დატოვებს

პორტუგალია-გერმანიის მატჩის შემდეგ კრიშტიანუ რონალდუმ განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდება "მანჩესტერ იუნაიტედში".

"როდესაც ჩემს წინაალმდეგ რუნისთან ერთად მთელმა ინგლისურმა მედიამ გაილაშქრა, "მანჩესტერის" ხელმძღანელებს აზრადაც არ მოსვლიათ ჩემი დაცვა. ამიტომ გადავწყვიტე კლუბი გამოვიცვალო. "მანჩესტერში" ალარაფერი მესაქმება. ჩემი აგენტი უკვე მუშაობს ტრანსფერზე. ყველამ იცის, რომ "რეალში" მინდა გადასვლა და ალბათ ასეც მოხდება", - ამბობს კრიშტიანუ რონალდუ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ "მანჩესტერის" ფანები თავს დაესხნენ რონალდუს სახლს, ჩაამტვრიეს ფანჯრის მინები და კედელებს საღებავი შეასხეს.

# იტალია მსოფლიო ჩემპიონია!



იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატი მეოთხედ მოიგო.

იტალიას პენალტების სერიაში მატჩი არ მოუგია და რაოდენ დიდი ბედნიერება ხვდა წილად მარჩელო ლიპის გუნდს, რომ ეს ტრადიცია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დაირღვა და "სკუადრა აძურამ" მეოთხედ მოიგო პლანეტის საუკეთესო გუნდის ტიტული. არადა, ბოლო 28 წლის განმავლობაში იტალია და საფრანგეთი 5-ჯერ შეხვდა ერთმანეთს და არცერთხელ იტალიელებს გამარჯვება არ ღირსებიათ. ამჯერად კი მათ ფორტუნამ ფართოდ გაუღიმა.

ჯერ კიდევ გერმანიასთან მატჩის წინ ამბობდნენ იტალიელები, რომ მზად იყვნენ პენალტების სერიისთვის, მაგრამ მაშინ ლაჟვარდოვნებმა თერთმეტმეტრიანების სერიამდე საქმე არ მიიყვანეს. გუშინ კი "ოლიმპიაშტადიონზე" ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მარჩელო ლიპის გუნდს გაუხარდებოდა.

პენალტების სერიისთვის საფრანგეთის ნაკრებს მინდორზე არ ჰყავდა არც ზიდანი, არც ანრი და არც ვიეირა. შესაბამისად, ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა იტალიელებს ერგოთ. სერიაც ისე დაიწყო რომ უკვე მეორე დარტყმა ძელს მოარტყა დავიდ ტრეზეგემ. მისთვის სამწუხაროდ ტრეზეგეს მინდორზე გამოსვლა ფინალში ასე ფატალურად დასრულდა და სწორედ ტრეზეგეს მიერ გაფუჭებული პენალტის შემდეგ დაემხო ფრანგების იმედი მეორედ მოეგოთ მსოფლიო ჩემპიონატი.

ფრანგებისთვის რაღაც სიმბოლური მოხდა, როცა მატერაცის წინაალმდეგ უხეშობისთვის, დამატებითი დროის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მინდვრიდან ზინედინ ზიდანი გააძევეს. ასე დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ლეგენდარული ფრანგი გამთამაშებლისთვის. ზიდანმა მსოფლიო თასს გულგრილად ჩაუარა და აკი არც ელირსათ ფრანგებს ამ თასის მეორედ აწევა.

მატერაცის კი შეუძლია იამაყოს. მან გოლი გაიტანა და მინდვრიდან ზიდანი გააძევებინა, რითიც საკუთარ გუნდს დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა შესძინა და იტალიელებმა გამოიყენეს კიდეც ეს უპირატესობა.

საქართველოს ნაკრებზე კი ის ითქმის, რომ მსოფლიოს ორი საუკეთესო გუნდი ჩვენი მეტოქეა.

### იტალია - საფრანგეთი 1:1 (5:3, პენ)

**იტალია:** ბუფონი, გროსო, კანავარო, გატუზო, ტონი, ტოტი (დე როსი, 61`), კამორანეზი (დელ პიერო, 86`), ძამბროტა, პეროტა (იაკინტა, 61`), პირლო, მატერაცი.

**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი

**საფრანგეთი:** ბარტეზი, აბიდალი, ვიეირა (დიარა, 56`), გალასი, მაკელელე, მალუდა, ზიდანი, ანრი (ვილტორდი, 107`), ტიურამი, სანიოლი, რიბერი (ტრეზეგე, 100`).

**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი

**გოლები:** 0:1 - ზიდანი (7`), 1:1 - მატერაცი (19`).

**გაფრთხილება:** ძამბროტა, სანიოლი, დიარა, მალუდა.

**გაძევება:** ზიდანი

**მსაჯი:** ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)

**5 კარში დარტყმა 13**

**3 კარისკენ დარტყმა 5**

**17 ჯარიმა 24**

**5 კუთხური 7**

**4 თამაშგარე 2**

**55 ბურთის ფლობა 45**

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ანდრეა პირლო

## ბლატერი პროფესიული მსაჯობის მომხრეა

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე პროფესიონალი მსაჯები იმუშავებენ. ფიფას გადაწყვეტილებით, მსაჯების მომზადებაში 40- მილიონიანი ინვესტიცია ჩაიდება.

ბლატერის აზრით, პროფესიონალური მსაჯობა უამრავ პრობლემას მოხსნის. "ფეხბურთელებმა არ იციან რა ქნან, არბიტრები ერთი და იგივე დანაშაულს სხვადასხვაგვარად სჯიან. თუ ერთი სრული სიმკაცრით სჯის ფეხბურთელს, ანალოგიურ დანაშაულს მეორე საერთოდ არ აქცევს ყურადღებას ან ზედმეტად ლმობიერია. ამიტომ აუცილებელია მსაჯების პროფესიონალურ რელსებზე გადაყვანა", - აცხადებს ბლატერი.

## კაპელოს ინგლისშიც იწვევდნენ

მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ მას ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობდნენ.

"ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებს დაუკავშირდა და მათ ჩემთან შეხვედრა სთხოვა, თუმცა ტურინულმა კლუბმა ინგლისელები უარით გაისტუმრა. მაშინ "იუვენტუსთან" კონტრაქტი მაკავშირებდა და ამიტომ ინგლისელებთან მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა. თავისუფალი რომ ვყოფილიყავი, ამ შემოთავაზებაზე სერიოზულად დავფიქრდებოდი", - აცხადებს კაპელო.

ამავე დროს ცნობილი ხდება, რომ "რეალი" "იუვენტუსის" სამ ფეხბურთელს ყიდულობს. კანავაროში, ძამბროტასა და ემერსონში სამეფო კლუბი 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის.

## რუნი დააჯარიმეს

ინგლის-პორტუგალიის მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო უიენ რუნის მისცეს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია და დააჯარიმეს 5 ათასი შვეიცარიული ფრანკით. იმ მატჩში რუნიმ პორტუგალიელთა მცველს რიკარდუ კარვალიოს უადგილო ადგილას დააბიჯა ფეხი. მართალია, რუნიმ მატჩის შემდეგ პორტუგალიელს ბოდიში მოუხადა, მაგრამ ფიფამ ინგლისის ნაკრების ფორვარდი მაინც დასაჯა.

## პელე კმაყოფილია

მსოფლიო ფეხბურთის მეფე პელემ განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მატჩების უმეტესობა საინტერესო ბრძოლაში წარიმართა.

"მატჩების უმეტესობა საინტერესო გამოდგა. რა თქმა უნდა, პლეი-ოფების პირველ წრეში რამდენიმე შეხვედრა არავისთვის არ იყო საინტერსო, მაგრამ მთლიანობაში მუნდიალმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მინდა გითხრათ, რომ იმედი არ გამცრუებია", - აცხადებს პელე.

## შუმახერმა წააგო

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ფორმულა 1-ის რბოლაში "ფერარის" მთელ გუნდს პიცით გაუმასპინძლდა. ეს მცირე ქეიფი იტალიური გუნდის გერმანელმა პილოტმა გერმანია-იტალიის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ მოაწყო. საქმე ისაა, რომ "ფერარის" იტალიელმა წევრებმა შუმახერთან პიცაზე დადეს ნაძლევი. იტალიის ნაკრების გამარჯვების შემდეგ შუმახერი იძულებული გახდა თანაგუნდელები პიცაზე დაეპატიჟებინა, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ ჰქონდა საქეიფო განწყობა.

## თავს იმართლებენ

ორშაბათს იტალიური სასამართლო საბოლოო განაჩენს გამოუტანს "იუვენტუსს", "მილანს", "ფიორენტინას" და "ლაციოს". თითქმის გადაწყდა, რომ ტურინულ გრანდს ყველაზე მკაცრად დასჯიან - "იუვენტუსს" სერია C-ში დაქვეითება ელის. რაც შეეხება დანარჩენ სამ კლუბს, მათ ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მოახერხებენ თავის მართლებას და სასჯელს გადაურჩებიან, თუმცა, თუ "იუვენტუსი" სერია C-ში აღმოჩნდა, ამ ტრიოს სერია B-ში დაქვეითება არ ასცდება.

გადაწყვეტილება 7 ივლისს უნდა გამოეტანათ, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ამ კლუბების ფეხბურთელები იტალიის ნაკრებში თამაშობენ და ფინალის წინ ასეთ გადაწყვეტილებას, შესაძლოა, "სკუადრა აძურას" განწყობაზე ემოქმედა. ასე რომ, სასამართლოს საბოლოო ვერდიქტი 10 ივლისს გახდება ცნობილი. მხარეებს 20 ივლისამდე შეეძლებათ გასაჩივრება.

## ჯორდანს სასამართლოში უჩივიან

პორტლენდის მცხოვრებმა ალენ ჰეკარდმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანზე და ფირმა "ნაიკის" დამფუძნებელ ფილ ნაიტზე. ჰეკარდის აზრით, გარეგნულმა მსგავსებამ, რომელიც მას და ჯორდანს შორის არსებობს, მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა.

სახელგანთქმულმა კალათბურთელმა, რომელსაც კარიერაში ყველა შესაძლო ტიტული აქვს მოგებული, ჰეკარდს მთლიანად გაუფუჭა ცხოვრება. მართალია, მომჩივანი მთელი 15 სანტიმეტრით დაბალია მაიკლ ჯორდანზე, მაგრამ თურმე ამას ხალხი ვერ ამჩნევს.

საინტერესოა, რომ ჰეკარდი თავად ცდილობს დაემსგავსოს ჯორდანს. ის მუდმივად თმაგადაპარსული დადის და მარცხენა ბიბილოზე, ჯორდანის მსგავსად, საყურე უკეთია.

ჰეკარდი ჯორდანისა და კომპანია "ნაიკის" დამფუძნებლისგან მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. თანხა სოლიდურია - 832 მილიონი დოლარი.

## კოლინა გაქურდეს

ცნობილი იტალიელი არბიტრი პიერლუიჯი კოლინა გუშინ ბერლინის ერთ-ერთ სასტუმროში გაქურდეს. მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაოდ დიდი თანხა მოპარეს, იტალიელი მაინც კმაყოფილია, რადგან მძარცველებმა დოკუმენტები დაუბრუნეს.

იტალიიდან ბერლინში ჩასული კოლინა სასტუმროს ფოიეში გულშემატკივრებს ავტოგრაფებს ურიგებდა. სანამ ის ამ საქმიანობით იყო გართული, მძარცველებმა მისი ჩემოდანი მოიპარეს, რაც კოლინას მეუღლემ მალევე აღმოაჩინა. თავიდან იტალიელი არბიტრი თავად ცდილობდა მძარცველების პოვნას, შემდეგ კი დასახმარებლად პოლიციას მიმართა.

სანამ სამართალდამცავები საქმის ვითარებას არკვევდნენ, სასტუმროში შევიდა ახალგაზრდა ქალი, რომელმაც კოლინას ჩანთა დაუბრუნა, თავად კი გაუჩინარდა.

"რა თქმა უნდა, მეწყინა, რომ ჩანთაში ფული და საკრედიტო ბარათები აღარ იყო, თუმცა დიდად არ დამწყვეტია გული, რადგან ყველა საჭირო დოკუმენტი ადგილზე დამხვდა", - განაცხადა კოლინამ.

# "დინამომ" თბილისშიც მორიდებით ითამაშა

მიხეილ აბაიშვილი

რა დროს "დინამო"-"რიდი" იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის დღეს, ნამდვილად ვერ გეტყვით. იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთი-იტალიას დაწყებამდე ეს მატჩი ზუსტად სამი საათით ადრე დაიწყო და იყო რისკი, რომ მესხის სტადიონზე მისული გულშემატკივარი ნამდვილ ფეხბურთზე დააგვიანებდა, რაოდენ განსაცვიფრებელიც არ უნდა იყოს, "დინამოს" მხარდასაჭერად სამ ათასამდე ქომაგი მაინც შეიკრიბა. სამწუხაროდ, კახა კაჭარავას გუნდმა აშკარად ვერ გაამართლა იმედები, მეორე შეხვედრაშიც დამარცხდა და მეორე ეტაპიდან გამოეთიშა ინტერტოტოს თასის ტურნირს.



"დინამოს" კობახიძის გარღვევებმა ვერ უშველა.

გოგიტა ბახაძის ფოტო

ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც ავსტრიაში ერთი კვირის წინ გაიმართა, მასპინძელთა გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. იმისათვის, რომ "დინამოს" ეს ავსტრიული ბარიერი გადაელახა, განმეორებით შეხვედრაში მეტოქე ანგარიშით 2:0 ან ნებისმიერი სამბურთიანი სხვაობით უნდა დაემარცხებინა. კაჭარავამ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო და შეტევაზე ორიენტირებული შემადგენლობა გამოიყვანა, კინაღამ პირველსავე წუთზე გოლი გაუშვით: ბურტი თამაშში "დინამომ" შეიყვანა და სწრაფადვე დაკარგა, ხოლო მეტოქის პირველივე შეტევით ბრუნმაირმა საჯარიმოს მისადგომებიდან უძლიერესად დაარტყა, გრიშიკაშვილი უძლური იყო, მაგრამ, ბედად, ბურთი ხარიხამ მოიგერია. პრინციპში, ეს ეპიზოდი უფრო გამონაკლისი გამოდგა, ვიდრე კანონზომიერება. სასტარტო მღელვარების გავლის შემდეგ სრულ სათამაშო ინიციატივას და ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ. ვერ ვიტყვი, "რიდის" კარის შტურმი დაიწყო-მეთქი, თუმცა, "დინამო" შეტევას შეტევაზე ანვითარებდა და მეტოქის კარტან სულ უფრო იძაბებოდა ვითარება. მეოცე წუთზე კობახიძის კარგი ფლანგური გარღვევის და დარტყმის შემდეგ, ბურთს მიმართულება დვალმა შეუცვალა და ბურთი "რიდის" კარის ბადეში აღმოჩნდა, მაგრამ უელსელმა მსაჯმა საკმაოდ საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა. ჩაუთვლელი გოლის შემდეგაც, "დინამო" ფსაიქოლოგიურად არ გატყდა და შეტევები გააგრძელა. გოლის გატანის კარგი შანსი ჰქონდათ იაშვილს და იმავე დვალს, მაგრამ მათ დამაგვირგვინებელ ფაზაში ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხეს. საპირისპიროდ, ავსტრიელებმა ერთი მწვავე კონტრშეტევა განავითარეს, თუმცა კარგად ითამაშა გრიშიკაშვილმა, რომელმაც სულკიმანის დარტყმა კუთხურზე მოიგერია.

შეხვედრის მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად დაიწყო და განვითარდა. "რიდის" აშკარად დათმობილი ჰქონდა ინიციატივა, მოედნის საკუთარ ნახევარზე იყო გამაგრებული და მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არც კონტრიერიშებს ეშურებოდა. "დინამოს" ორი გოლი ესაჭიროებოდა, დრო გადიოდა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. ამიტომ, კაჭარავა ერთგვარ ვაბანკზე წავიდა - მცველი ნავალოვსკი, ფორვარდ ბობოხიძით ჩაანაცვლა. თუმცა, ამ ნაბიჯმაც ვერ უშველა: 66-ე წუთზე სტუმრებმა სწრაფი იერიში განახორციელეს და დრესელმა საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა. სამწუხაროდ, ამ ეპიზოდში ძალზე ცუდად ითამაშა მეკარე გრიშიკაშვილმა, რომელმაც ბურთი ხელებში ვერ შეაჩერა და ბურთი კარში შეუვარდა.

ეს უკვე დასასრული იყო. "დინამოს" საბოლოო გამარჯვებისთვის დარჩენილ 25 წუთში 4 გოლის გატანა სჭირდებოდა, რაც, დამეთანხმებით, უფრო ფანტასტიკის სფეროდან იყო, ვიდრე რეალობა. ის კი არა, დარჩენილ დროში ჩვენმა გუნდმა ერთი პრესტიჟის გოლის გატანაც ველარ მოახერხა, თუმცა ამის ორი რეალური შანსი კი მიეცა. საბოლოოდ, შეხვედრა დასრულდა სტუმართა გამარჯვებით, 0:1 და შემდეგ ეტაპზე "რიდი" იასპარეზებს.

თბილისის "დინამომ" შეხვედრა შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა: გრიშიკაშვილი, ამბროზიო, კაშია, თომაშვილი, ნავალოვსკი (ბობოხიძე, 62`), გრიგალაშვილი (ჯანაშია, 69`) ხმალაძე (ჩირიკაშვილი, 49`), ხუციშვილი, კობახიძე, დვალი, იაშვილი.

# შვაინშტაიგერის ბრინჯაოს ბენეფისი





გერმანია ბრინჯაოს დასჯერდა.

**გერმანია - პორტუგალია 3:1**

**გოლები:** 1:0 შვაინშტაიგერი (56), 2:0 პეტიტი (61 ს.კ.), 3:0 შვაინშტაიგერი (78), 3:1 ნუნუ გომეში (88)
**გაფრთხილება:** ფრინგსი, შვაინშტაიგერი - რიკარდო კოშტა, კოშტინია, ფაულო ფერეირა
**გერმანია:** კანი, ლამი, ნოვოტნი, მეტცელდერი, იენსენი, შნაიდერი, კელი, ფრინგსი, შვაინშტაიგერი (ჰიტცლშპირგერი 79), კლოზე (ნოივილი 64), პოდოლსკი (ჰანკე 71)
**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი
**პორტუგალია:** რიკარდუ, პაულო ფერეირა, რიკარდო კოშტა, მეირა, ნუნუ ვალენტე (ნუნუ გომეში 69), მანიშე, კოშტინია (პეტიტი 46), კრიშტიანუ რონალდუ, დეკუ, სიმაო, პაულეტა (ფიგუ 77)
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი
**მსაჯი:** ტურუ კამიკავა (იაპონია)
**5 კარში დარტყმა 8**
**12 კარისკენ დარტყმა 13**
**15 ჯარიმა 15**
**2 კუთხური 7**
**1 თამაშგარე 3**
**43% ბურთის ფლობა 57%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბასტიან შვაინშტაიგერი

შტუტგარტში გამართულ მცირე ფინალში გერმანელებმა იმარჯვეს. მატჩი ბასტიან შვაინშტაიგერის ბენეფისად იქცა. ეტყობა, მხოლოდ ამ ფეხბურთელსღა ჰქონდა შერჩენილი სათამაშო მოტივაცია.

საერთოდ, ხშირად ამბობენ, რომ მესამე ადგილისთვის გასამართ მატჩს აზრი არა აქვს. ამ მოსაზრებას მომხრეც ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილის დაკავება ფრიად პრესტიჟული რამ არის, თუმცა ნახევარფინალის წაგების შემდეგ კვლავ მინდორზე გასვლა და საკუთარ თავში სათამაშო მოტივაცის პოვნა საკმაოდ ძნელია. ამიტომაცაა, რომ ხშირად მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩებში ტოპვარსკვლავები საერთოდ არ თამაშობენ. დაახლოებით ასე მოხდა ამჯერადაც. კლინსმანმა ბალაკი არ ათამაშა, სკოლარიმ კი ფიგუ მხოლოდ მატჩის მიწურულს შეუშვა მინდორზე, ისიც ალბათ იმიტომ, რომ ნაკრებს დამშვიდობებოდა.

ანალოგიურად დაემშვიდობა ნაკრებს ოლივერ კანიც. მოკლედ, შაბათს გამართული მატჩი დიდ ფეხბურთელებთან დამშვიდობების მატჩად და გერმანული ფეხბურთის იმედის ბასტიან შვაინშტაიგერის ბენეფისად იქცა. როგორც უკვე ვთქვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თამაში მხოლოდ შვაინშტაიგერს უნდოდა, დანარჩენი 21 ფეხბურთელი კი მინდორზე ვალის მოსახდელად იყო გამოსული.

საბოლოოდ ბასტიენმა ორი გოლი თავად გაიტანა, ერთი კი პეტიტს გაატანინა საკუთარ კარში. გერმანიის ნაკრები ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა და თუ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მათთვის ასეთი ფინალი ოცნების სფეროს წარმოადგენდა, თავად ჩემპიონატის მსვლელობამ დაგვანახა, რომ ბუნდესნაკრებს მეტი შეეძლო. ამიტომ კლინსმანის სიხარული ბრინჯაოს მედლების მოგების შემდეგ ცოტა ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყველაზე კარგად რეალური მდგომარეობა ფორმულა 1-ის ცოცხალი ლეგენდის მიხაელ შუმახერის სახეზე იყო აღბეჭდილი. ფეხბურთის უდიდესი ქომაგი მატჩს ყოველგვარი ემოციის გარეშე ადევნებდა თვალს და არც მისი დამთავრების შემდეგ გამოუხატავს დიდი სიხარული. დიდ ჩემპიონს საყვარელი გუნდის ჩემპიონობა გაახარებდა და არა მცირე ფინალის მოგება.

# კლინსმანის "ჟუკს" აუქციონზე გაყიდიან

1967 წლის გამოშვების ფოლკსვაგენ კაბრიოლეტი "ჟუკი" გაიყიდება ინტერნეტ-აუქციონზე. ეს მანქანა თავის დროზე გერმანიის ნაკრების მწვრთნელს იურგენ კლინსმანს ეკუთვნოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აუქციონის დასრულებამდე სამი დღეა დარჩენილი, უკვე შესულია 182 განაცხადი. შაბათ საღამოსთვის მანქანის ფასი 302 ათასი ევრო იყო. ავტომობილის მფლობელი ამჟამად გერმანიის სამხრეთში ცხოვრობს. მან კლინსმანის "ჟუკი" ათი წლის წინ სიმბოლურ თანხად იყიდა, ახლა კი აშკარაა, რომ მისი გაყიდვით სოლიდურ მოგებას ნახავს.

ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი გერმანული გაზეთის ჟურნალისტი ბუნდესნაკრების მწვრთნელს დაუკავშირდა. თავიდან კლინსმანი ვერც კი მიხვდა, რა მანქანაზე იყო საუბარი, შემდეგ კი გაეცინა და თქვა, რომ არავის ურჩევს ამ მანქანის ყიდვას.

თავად კლინსმანი ამ "ჟუკით" 1994-95 წლებში სარგებლობდა, როდესაც ლონდონური "ტოტენჰემის" ღირსებას იცავდა.

"არავის ვურჩევ ამ მანქანის ყიდვას. როდესაც მე ამ "ჟუკით" ვსარგებლობდი, ჯერ კიდევ მაშინ მთლიანად დაჟანგებული იყო. შემდეგ ავტომექანიკოსის რჩევით გავყიდე. მან მანქანა ერთი სიტყვით დამიხასიათა: "კაპუტ", - ამბობს იურგენ კლინსმანი.



კლინსმანის "ჟუკი".

ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ კლინსმანის "ჟუკი" არასოდეს მოხვედრილა ავარიაში, 1967 წელს კი 12 ათასი ევრო ღირდა.

თავადაც ხვდებით, რომ ამ "ჟუკს" არავინ უყურებს ისე, როგორც გადაადგილების საშუალებას. მას შემდეგ, რაც კლინსმანმა გერმანიის ნაკრებს დიდი წარმატება მოუტანა და გუნდს ფეხბურთის თამაში დააწყებინა, მისი ნაქონი "ჟუკი" უკვე რელიკვიაა.

გასული წლის მაისში ამავე ინტერნეტ-აუქციონზე გაიყიდა რომის პაპის "გოლფი". გერმანელმა სტუდენტმა პაპის ნაქონი მანქანა 189 ათას ევროდ გაყიდა.

როგორც ჩანს, ამჟამად იურგენ კლინსმანი რომის პაპზე გაცილებით პოპულარული ადამიანია, რადგან, აუქციონის ორგანიზატორთა ვარაუდით, კლინსმანის "ჟუკი", სულ ცოტა, ნახევარ მილიონ ევროდ გაიყიდება.

რაც შეეხება თავად იურგენ კლინსმანს, მას ჯერაც არ გადაუწყვეტია დარჩება თუ არა გერმანიის ნაკრებში. გერმანიის ფეხბურთის ასოციაციამ არაერთხელ შესთავაზა კლინსმანს კონტრაქტის გაგრძელება, თუმცა მწვრთნელი არ ჩქარობს.

# პოდოლსკი: "ჯერ კიდევ დასახვეწი ვარ"

მუნდიალის შემსწავლელმა ფიფას ტექნიკურმა ჯგუფმა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ლუკაშ პოდოლსკი დაასახელა და ტურნირის ერთ-ერთი გენერალური სპონსორის "ჟილეტის" ვერცხლის ბურთი გადასცა.

აქამდე მსგავსი პრიზი არ არსებობდა - მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი პირველად წლევანდელი ტურნირზე დაწესდა.

"ლუკაშ პოდოლსკიმ არა მარტო სამი გოლით დაგვამახსოვრა თავი, მან მიროსლავ კლოზესთან ერთად, თავდასხმის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური წყვილი შექმნა - ბუნდესნაკრების 11 გოლიდან 8 პოდლსკი-კლოზეს ანგარიშზეა!" - განაცხადა ფიფას ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელმა ჰოლგერ ოსიეკმა.

1985 წლის 4 ივნისს პოლონეთში დაბადებული თავდამსხმელი ბუნდესნაკრებში პირველად 2004 წლის 6 ივნისს გამოჩნდა. პოდოლსკის დებიუტი უნგრეთის ნაკრებთან მატჩში გაიმართა. მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა თავდამსხმელმა დღემდე 31-ჯერ მოირგო გერმანიის ნაკრების მაისურა და 15 გოლი გაიტანა. 2004 წელს "პრინცმა პოდლიმ", როგორც მას გერმანელები უწოდებენ, ევროპის ჩემპიოანატზეც ითამაშა. 2005 წელს გამართულ კონფედერაციათა თასზე პოდოლსკიმ საკუთარ ანგარიშზე სამი გოლი მიითვალა.

ლუკაშ პოდოლსკის პოპულარული გერმანული გამოცემა "ბილდის" ჟურნალისტები შეხვდნენ:

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის "ჟილეტის" პრიზი?**

- ისეთ მნიშვნელოვან ტურნირზე, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატია, ინდივიდუალურ დონეზე წარმატების მიღწევა, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია. თუმცა, ეს მარტო ჩემი გამარჯვება არ არის, ეს გუნდის წარმატებაცაა. რა თქმა უნდა, ეს ჩემპიონობას ვერ შეედრება, მაგრამ მაინც სასიამოვნოა. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გამოკითხვაში მე მომცა ხმა.

**- ჩემპიონობას ვერა, მაგრამ ბუნდესნაკრებთან ერთად მუნდიალის ბრინჯაოს მედლებს დაეუფლეთ. ძნელად მოიპოვეთ ეს ჯილდო?**

- ვფიქრობდი, რომ პორტუგალიელებთან რთული მატჩი გველოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. ვალდებული ვიყავით ეს მატჩი მოგვეგო და მოვიგეთ კიდეც.

**- ამ მატჩში გოლი ვერ გაიტანეთ. ამიტომ ვერც მიროსლავ კლოზეს დაეწიეთ, რომელიც ხუთი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა...**

- მიროს დაწევას არც ვფიქრობდი. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ რა ტიტულს მოიხვეჭდა. მთავარი ჩემპიონობა იყო, რაც, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. კლოზეს კი გულწრფელად ვულოცავ ამ მიღწევას.

**- ეს თქვენი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო. კმაყოფილი ხართ საკუთარი თამაშით?**

- ვფიქრობ, ჩემს კარიერაში საკმაოდ წარმატებული ფურცელი ჩავწერე. სამი წლის წინ "კიოლნის" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი და ევროპულ ფეხბურთამდე ბევრი მაკლდა. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში გარკვეული გამოცდილება მივიღე და აშკარა პროგრესიც განვიცადე.

**- ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდება წლევანდელი მუნდიალიდან?**

- ჯერ ამაზე არ მიფიქრია. როცა დავისვენებ, წარსულსაც მაშინ გავიხსენებ. ერთადერთი, რაც ახლა მაგონდება, იტალიასთან ნახევარფინალური მარცხია. ეს მატჩი არასოდეს დამავიწყდება.

**- იმ მატჩში "სკუადრა აძურას" მცველმა ფაბიო კანავარომ აშკარად გაჯობა. როგორ ფიქრობ, როდის იქნები მზად კანავაროს მსგავსი ტოპვარსკვლავების წინააღმდეგ სათამაშოდ?**

- ჯერ კიდევ ბევრი მაქვს დასახვეწი. ახალგაზრდა ვარ და ჯერაც განვითარების ფაზაში ვარ. კანავაროს წინააღმდეგ თამაში კარგი გამოცდილება იყო ჩემთვის. იმედი მაქვს, ახალი სეზონიდან "ბაიერნში" კიდევ უფრო მეტ გამოცდილებას შევიძენ და ოთხი წლის შემდეგ მუნდიალზე სხვა პოდოლსკის იხილავთ.

**- ბუნდესნაკრების თამაშით თუ დარჩით კმაყოფილი?**

- მუნდიალის დაწყების წინ ბევრს გვაკრიტიკებდნენ. საბედნიეროდ, ახლა კრიტიკოსებმა აზრი რადიკალურად შეიცვალეს. ყველას დავუმტკიცეთ, რომ, ჩვენი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ბუნდესნაკრებს შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში.

**- ფინალში ვის გულშემატკივრობდით?**

- საფრანგეთს. ჯგუფურ ეტაპზე ჩავარდნილი მატჩების შემდეგ მათ შთამბეჭდავი თამაში აჩვენეს და ჩემი სიმპათიაც ამიტომ მოიპოვეს.




# მუნდიალი და მსაჯები

დასრულდა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც არაერთი სამსაჯო ლაფსუსი ვიხილეთ. საერთოდ, ამ ჩემპიონატზე მსაჯობაზე ბევრს საუბრობდნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგახსენოთ ის მატჩები, რომლელთა მსაჯობამაც ყველაზე მეტი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საუბარია მხოლოდ იმ მატჩებზე, რომლებშიც მსაჯის გადაწყვეტილებამ გუნდების სატურნირო ბედზე გავლენა იქონია.

**ხორვატია - ავსტრალია 2:2**

ამ მატჩში წყდებოდა F ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდის ბედი. ავსტრალიელებს ფრეც აძლევდათ ხელს, ხორვატიის ნაკრებს კი გამარჯვება სჭირდებოდა. მატჩის მიწურულს ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელები აშკარა უხეშობაზე გადავიდნენ. გრემ პოლს იმდენჯერ დასჭირდა ბარათის ამოღება, რომ საბოლოოდ ანგარიში აერია. მან იოსიპ შიმუნიჩს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა, დაავიწყდა, რომ მინდვრიდან უნდა გაეძევებინა და მხოლოდ მას შემდეგ დაატოვებინა მინდორი, რაც მესამედ უჩვენა ყვითელი ბარათი. მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პოლმა საერთაშორისო კარიერაზე უარი თქვა.

**უკრაინა - ტუნისი 1:0**

უკრაინელებს ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად ფრეც ყოფნიდათ. პარაგვაელმა არბიტრმა კარლოს ამარილიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უკრაინელებს მიზნისთვის მიეღწიათ. პირველი ტაიმის მიწურულს მან მინდვრიდან გააძევა ზაიდ ჟაზირი. თუმცა, შექმნილ ვითარებაში მსაჯს ტუნისელი ფეხბურთელის დანდობა შეეძლო. მეორე ტაიმში უკრაინელთა კარში პენალტი არ დანიშნა. საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი ხელზე მოხვდა ცოცხალ კედელში მდგარ ვორონინს. რამდენიმე წუთში ამარილიამ ტუნისელთა კარში დანიშნა პენალტი, არადა, შევჩენკო მეტოქის საჯარიმოში აშკარად საკუთარი ინიციატივით დაეცა.

**გერმანია - შვედეთი 2:0**

გერმანელებმა ამ მატჩში პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე, თუმცა მსაჯის შეცდომამ, შეიძლება ითქვას, მატჩის შედეგზე მაინც იმოქმედა. არბიტრმა კარლოს სიმონმა პირველი ტაიმის მიწურულს სულ ტყუილად გააძევა მინდვრიდან შვედების ფეხბურთელი ტედი ლუჩიჩი და ამ გუნდს თამაშის გადარჩენის შანსი მოუსპო.

**პორტუგალია - ჰოლანდია 1:0**

ეს იყო ბრძოლა წესების გარეშე და არა ფეხბურთი. რუსი არბიტრი ვალენტინ ივანოვი ისე იქცეოდა, თითქოს უნდოდა ბოლოს სულ მარტო დარჩენილიყო მინდორზე. რომ დასცლოდა, ალბათ ასეც იზამდა.

**გერმანია - არგენტინა 0:0 (4:2 პენ)**

მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბევრი ამბობდა, მსაჯები გერმანიას დაეხმარებიანო. ეს იყო ერთადერთი მატჩი, როდესაც "შეთქმულების თეორიის" მომხრეებს სალაპარაკო მიეცათ. მატჩის 88-ე წუთზე მაქსი როდრიგესი გერმანელთა საჯარიმოში მოცელეს, ლუბოშ მიხელს ან პენალტი უნდა დაენიშნა და გაეწირა გერმანია, ან მაქსი სიმულაციისთვის ყვითელი ბარათით გაეფრთხილებინა. სლოვაკმა არბიტრმა არჩევანი მეორეზე შეაჩერა, თუმცა, იმის თქმა, რომ მიხელმა გერმანია ნახევარფინალში გაათრია, არასწორი იქნებოდა.

**იტალია - ავსტრალია 1:0**

ესპანელმა არბიტრმა ლუის მედინა კანტალეხომ 92 წუთის განმავლობაში უშეცდომოდ იმსაჯა, 93-ე წუთზე კი ფაბიო გროსის პროვოკაციაზე წამოეგო. არბიტრმა ავსტრალიელთა კარში პენალტი მოიგონა და გუუს ჰიდინკის გუნდი დაასამარა.

**ინგლის - პორტუგალია 0:0 (1:3 პენ)**

კამათს იწვევს ეპიზოდი რუნის გაძევებასთან დაკავშირებით. რუნის გარდა ალბათ ზუსტად არავინ იცის, განზრახ დააბიჯა თუ არა ფეხი რიკარდუ კარვალიოს წელს ქვემოთ. ჰორაციო ელისონდომ რუნის საქციელი განზრახ ქმედებად ჩათვალა და ინგლისელთა ერთადერთი იმედი მინდვრიდან გააძევა.

**პორტუგალია - საფრანგეთი 0:1**

პენალტი, რომლის წყალობითაც ზიდანმა გამარჯვების გოლი გაიტანა პორტუგალიელთა კარში, თავიდან, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ ჩანდა. მართალია, რიკარდუ კარვალიომ ანრის ფეხი დაუდო, მაგრამ ფრანგი აშკარად უფრო თავისი ინიციატივით წაიქცა. თუმცა, ხორხე ლარიონდას პენალტი რომ არ დაენიშნა, შესაძლოა, ეს უფრო დიდ დანაშაულადაც მოენათლად.

სპეციალისტების აზრით, მსაჯობის თვალსაზრისით ტურნირის საუკეთესო მატჩი გერმანია - იტალიის ნახევარფინალური დაპირისპირება იყო. ბენიტო არჩუნდიამ 120 წუთში მხოლოდ სამი ყვითელი ბარათი აჩვენა ფეხბურთელებს და თამაშის მსვლელობაში თითქმის არ ერეოდა. არჩუნდია მინდორზე საერთოდ შეუმჩნეველი იყო, თუმცა, თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია. ალბათ სწორედ ეს უნდა იყოს მსაჯის მთავარი ფუნქცია.


მუნდიალზე მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ.

# ბრაზილიაში ლეგიონერებს ერჩიან

ბრაზილიელმა პოლიტიკოსებმა, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების წარუმატებლობის მიზეზს მიაგნეს.

ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატმა ლუის კარლუშ აულიმ მოითხოვა კანონპროექტის განხილვა, რომლის თანახმადაც უცხოურ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს ეროვნულ ნაკრებში თამაშს აუკრძალავენ.

დეპუტატის აზრით, ეს კანონპროექტი ხელს შეუწყობს ბრაზილიური ფეხბურთის განვითარებას, რადგან ახალგაზრდა ფეხბურთელები უცხოურ კლუბებში სათამაშოდ აღარ წავლენ.

"თითქმის ყველა მნიშვნელოვან ტურნირზე ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ევროპაში ცხოვრობენ და აქვთ ორმაგი მოქალაქეობა", - ამბობს კანონპროექტის ავტორი.

ახლა ძნელია იმის თქმა, რა ბედი ელის ამ კანონპროექტს, მაგრამ ერთი წამით წარმოიდგინეთ რა მოხდება, თუ ბრაზილიელმა კანონმდებლებმა ლუის კარლუშ აულის კანონპროექტი მოიწონეს. ბრაზილიის ნაკრები ავტომატურად დარჩება ისეთი ვარსკვლავების გარეშე, როგორებიც არიან რონალდინიო, კაკა, რობინიო, ადრიანო და სხვები.

მეორე მხრივ, დეპუტატის მოსაზრების გაზიარებაც შეიძლება. ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელები კლუბებში ისე გადაიღალნენ, რომ ნაკრებში სათამაშოდ ძალა არ შერჩათ. ამის ნათელი დასტურია რონალდინიო, რომელიც მუნდიალზე საკუთარ აჩრდილს ჰგავდა, თუმცა, იმავე რონალდინიოს გარეშე დღევანდელი ბრაზილიის ნაკრები საერთოდ წარმოუდგენელია.

საეჭვოა, რომ დეპუტატის ორიგინალურმა კანონპროექტმა ბრაზილიაში მხარდაჭერა პოვოს. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელების წყალობით მოიპოვა ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონობა ამ ქვეყნის ნაკრებმა. გავიხსენოთ თუნდაც 2002 წლის მუნდიალი, რომელზეც რონალდო და რივალდო ბრწყინავდნენ, ანდა 1994 წლის მუნდიალი, რომელზეც ბრაზილიის ნაკრების თამაშს ბებეტო და რომარიო განაპირობებდნენ.

მოკლედ, წარუმატებელი მუნდიალის შემდეგ ბრაზილიაში მიზეზებს ეძებენ. ზოგჯერ ამ ძიებაში ძალიან შორსაც მიდიან, როგორც ჩვენს მიერ ხსენებული დეპუტატი.


ბრაზილიას რონალდინიოს გარეშე დატოვებას უპირებენ.

## ვუდგეიტი ვარჯიშს იწყებს

მადრიდის "რეალის" მცველმა ჯონათან ვუდგეიტმა განაცხადა, რომ სრულად მოიშუშა ტრავმა და მზადაა დაიწყოს ვარჯიში. "მოუთმენლად ველი 12 ივლისს, რომ გუნდთან ერთად დავიწყო ვარჯიში. სამუშაო ბევრი მაქვს. უნდა დავამტკიცო, რომ "რეალში" თამაშის ღირსი ვარ", - აცხადებს ვუდგეიტი.

## 25 მილიარდი ფეხბურთის განვითარებისთვის

კვირას ფიფამ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ფეხბურთს გამოიყენებენ სიღარიბესთან ბრძოლაში ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

სააგენტო როიტერის ცნობით, ხელშეკრულება სახელწოდებით "გაგების მემორანდუმი" გამიზნულია ფეხბურთის განვითარებისთვის აფრიკისა და კარიბის ზღვის ღარიბ ქვეყნებში. ფიფა და ევროკავშირი ამ ქვეყნების დასახმარებლად 25 მილიარდ ევროს გამოყოფენ.

## მერკელი კმაყოფილია

გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს მიაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატმა სრულად შეცვალა გერმანელი ხალხის იმიჯი, რომელიც აქამდე არსებობდა მსოფლიოში.

"უცხოელებს ვერ წარმოედგინათ, რომ ჩვენ გართობას ერთ საათზე მეტს დავუთმობდით, - ხუმრობით აღნიშნა მერკელმა, - გერმანელები საოცრად სტუმართმოყვარე მასპინძლები გამოდგნენ. ვნახოთ, რა იქნება მუნდიალის დასრულების მეორე დღეს. საინტერესოა, ავტობუსების მძღოლები ისევ მკაცრები გახდებიან თუ კვლავ გააგრძელებენ მგზავრებთან გულითად საუბარს".

## ტურამით "ბარსელონა" დაინტერესდა

საფრანგეთის ნაკრებისა და "იუვენტუსის" მცველმა ლილიან ტურამმა, შესაძლოა, ესპანურ "ბარსელონაში" გააგრძელოს კარიერა. ესპანური მედიის ინფორმაციით, კატალონიური კლუბის მესვეურები დღეს უნდა შეხვდნენ ფეხბურთელის აგენტს და შეუთანხმდნენ ტრანსფერზე.

## ფორლანმა კონტრაქტი გააგრძელა

ურუგვაელმა ფორვარდმა დიეგო ფორლანმა 2010 წლის 30 ივნისამდე გაგრძელა კონტრაქტი ესპანურ "ვილიარეალთან. ფეხბურთელის განცხადებით, ის ბედნიერია "ვილიარეალში" და ამ კლუბის დატოვებაზე არ ფიქრობს.

შეგახსენებთ, რომ ფორლანის გადაბირებას "ბარსელონა" გეგმავდა.

## რა საჭიროა მცირე ფინალი!

ხშირად ამბობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის მატჩის გამართვა უაზრობაა. ამ აზრს არ იზიარებენ ფიფას მაღალჩინოსნები, თუმცა პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ასეთი მატჩის გამართვა მართლაც არ არის საჭირო. "ასეთი მატჩები ფაქტობრივად არაფერს აძლევენ გამარჯვებულ გუნდს. დამარცხებულის მდგომარეობა კი კიდევ უფრო მძიმდება. ჩემი გუნდი მსოფლიოს ოთხ საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვდა, მე კი საოცრად იმედგაცრუებული ვარ", - აცხადებს სკოლარი.

## კემპბელი "არსენალს" დატოვებს

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ცენტრალურმა მცველმა სოლ კემპბელმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში "არსენალში" აღარ ითამაშებს. "არსენალს" თავაწეული ვტოვებ. ამ გუნდთან ერთად ბევრს მივაღწიე, ახლა კი სხვა მიზნები მაქვს", - ამბობს 31 წლის მცველი. ჯერჯერობით უცნობია სად გააგრძელებს კარიერას კემპბელი. ფეხბურთელის თქმით, ის შემოთავაზებებს ელის.

## ლიპიმ უარყო

შაბათს გავრცელდა ინფორმაცია, რომ იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ იმუშავებს. ეს ცნობა თავად დონ მარჩელომ უარყო. "როგორ უნდა ვიმუშაო "მანჩესტერში", როცა ინგლისურიც კი არ ვიცი. გეუბნებით, ეს ტყუილია. არ ვიცი, სად ვიქნები 15 ან 30 დღის შემდეგ, თუმცა ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი მომავალი სამსახური "მანჩესტერში" არ იქნება", - აცხადებს ლიპი, რომელსაც ფაქტობრივად გადაწყვეტილი აქვს იტალიის ნაკრების დატოვება.

## კანი ნაკრებს დაემშვიდობა

გერმანიის ნაკრების მეკარემ ოლივერ კანმა პორტუგალიელებთან მატჩის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულა.

"ეს ჩემი ბოლო მატჩი იყო გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში. დღევანდელი მატჩი ყველაზე ემოციური იყო ჩემს საფეხბურთო კარიერაში": - განუცხადა კანმა ჟურნალისტებს.

## გაზონსაც გაყიდიან

ბერლინის ოლიმპიური სტადიონის გაზონი ნაწილ-ნაწილ უნდა გაიყიდოს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი სწორედ ამ სტადიონზე გაიმართა და ახლა ტურნირის ორგანიზატორები გაზონის გაყიდვით აპირებენ შემოსავლის მიღებას. 7140 კვადრატული მეტრის ზომის გაზონი 60 ათას ფრაგმენტად დაიჭრება. თითოეული ნაჭერის საორიენტაციო ფასი 75 ევრო იქნება. გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებსაც აუქციონის წესით გაყიდიან. კერძოდ, აუქციონზე გაიყიდება თერთმეტმეტრიანის ადგილები. შემოსული თანხის ნაწილი ქველმოქმედებაზე დაიხარჯება. სავარაუდოდ, 100 ათასი ევრო გადაეცემა ფონდს, რომელიც ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმებით დაავადებულ ადამიანებს ეხმარება.

## გერმანიაში ხელმოწერებს აგროვებენ

ყველაზე დიდტირაჟიანმა გერმანულმა გამოცემა "ბილდმა" დაიწყო ხელმოწერების შეგროვება ერთი მოწოდებით: გერმანიის ნაკრების სათავეში იურგენ კლინსმანი დარჩეს. "ბილდის" რედაქციამ თხვონით მიმართა საკუთარ მკითხველს, რომ ხელი მოაწერონ პეტიციას, რომელსაც იურგენ კლინსმანს გაუგზავნიან. ცნობისთვის: "ბილდის" ტირაჟი 12 მილიონია.

# 63 საუკეთესო

ფეხბურთი გუნდური თამაშია, თუმცა თითოეულ მატჩში ყველა გუნდს ჰყავს ერთი რომელიმე გამორჩეული ფეხბურთელი. ფიფას ტექნიკურმა ჯგუფმა მიმდინარე ჩემპიონატზე გამართული ყველა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა.

ტექნიკური ჯგუფი, რომელიც თორმეტი მწვრთნელისგან შედგებოდა, ყოველი მატჩის შემდეგ ასახელებდა საუკეთესო მოთამაშეს, რომელსაც არც ოქროს ბურთი გადაეცემოდა ჯილდოდ და არც ოქროს ბუცი, თუმცა, ბუდვაიზერის რჩეული ხდებოდა.

### ჯგუფური ეტაპი

**ანატოლი ტიმოშჩუკი** (ნახევარმცველი; უკრაინა)
უკარაინა 1:0 ტუნისი (23 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად; 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ; 0;

**ხუანი** (მცველი; ესპანეთი)
საუდის არაბეთი 0:1 ესპანეთი (23 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად; 0; ყვ. ბარ. 0; წთ. ბარ; 0;

**ალექსანდრ ფრეი** (თავდამსხმელი; შვეიცარია)
შვეიცარია 2:0 კორეა (23 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად; 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ; 0;

**პატრიკ ვიეირა** (თავდამსხმელი, საფრანგეთი)
ტოგო 0:2 საფრანგეთი (23 ივნისი)
წთ. 80; გოლი 1; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ჰარი კიუელი** (თავდამსხმელი, ავსტრალია)
ხორვატია 2:2 ავსტრალია (22 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ 0; წით. ბარ. 0;

**რონალდო** (თავდამსხმელი, ბრაზილია)
იაპონია 1:4 ბრაზილია (22 ივნისი)
წთ. 90; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**სტეფან აპია** (ნახევარმცველი, განა)
განა 2:1 ამერიკა (22 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**მარკო მატერაცი** (მცველი, იტალია)
ჩეხეთი 0:2 იტალია (22 ივნისი)
წთ. 74; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ზე კალანგა** (ნახევარმცველი, ანგოლა)
ირანი 1:1 ანგოლა (21 ივნისი)
წთ 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ხოსე ფონსეკა** (თავდამსხმელი, მექსიკა)
პორტუგალია 2:1 მექსიკა (21 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**არუნა დინდანე** (თავდამსხმელი, კოტ-დ`ივუარი)
კოტ-დ`ივუარი 3:2 სერბეთი (21 ივნისი)
წთ. 90; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**კარლოს ტევესი** (თავდამსხმელი, არგენტინა)
ჰოლანდია 0:0 არგენტინა (21 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ხულიო დო სანტოს** (ნახევარმცველი, პარაგვაი)
პარაგვაი 2:0 ტრინიდადი და ტობაგო (20 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ჯო კოული** (ნახევარმცველი, ინგლისი)
შვედეთი 2:2 ინგლისი (20 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ბარტოშ ბოჟაკი** (მცველი, პოლონეთი)
კოსტა რიკა 1:2 პოლონეთი (20 ივნისი)
წთ. 90; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**მიხაელ ბალაკი** (ნახევარმცველი, გერმანია)
ეკვადორი 0:3 გერმანია (20 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**მაქსიმ კალინიჩენკო** (ნახევარმცველი, უკრაინა)
საუდის არაბეთი 0:4 უკრაინა (19 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 2; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ჩაბი ალონსო** (ნახევარმცველი, ესპანეთი)
ესპანეთი 3:1 ტუნისი (19 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ალექსანდრ ფრეი** (თავდამსხმელი, შვეიცარია)
ტოგო 0:2 შვეიცარია (19 ივნისი)
წთ. 86; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ჯი სუნგ პარკი** (ნახევარმცველი, კორეა)
საფრანგეთი 1:1 კორეა (18 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ჰიდეტოში ნაკატა** (ნახევარმცველი, იაპონია)
იაპონია 0:0 ხორვატია (18 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ზე რობერტო** (ნახევარმცველი, ბრაზილია)
ბრაზილია 2:0 ავსტრალია (18 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**მიკაელ ესიენი** (ნახევარმცველი, განა)
ჩეხეთი 0:2 განა (17 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**კეისი კელერი** (მეკარე, აშშ)
იტალია 1:1 აშშ (17 ივნისი)
წთ. 90; გაშვებული გოლი 1; მოგერიებული 2; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**დეკუ** (ნახევარმცველი, პორტუგალია)
პორტუგალია 2:0 ირანი (17 ივნისი)
წთ. 79; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ჟოაო რიკარდო** (მეკარე, ანგოლა)
მექსიკა 0:0 ანგოლა (16 ივნისი)
წთ. 90; გაშვებული გოლი 0; მოგერიებული 5; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**არიენ რობენი** (თავდამსხმელი, ჰოლანდია)
ჰოლანდია 2:1 კოტ-დ`ივუარი (16 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ხუან რომან რიკელმე** (ნახევარმცველი, არგენტინა)
არგენტინა 6:0 სერბეთი (16 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ფრედრიკ ლიუნგბერგი** (ნახევარმცველი, შვედეთი)
შვედეთი 1:0 პარაგვაი (15 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**დევიდ ბექჰემი** (ნახევარმცველი, ინგლისი)
ინგლისი 2:0 ტრინიდადი და ტობაგო (15 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**აგუსტინ დელგადო** (თავდამსხმელი, ეკვადორი)
ეკვადორი 3:0 კოსტა რიკა (15 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ფილიპ ლამი** (მცველი, გერმანია)
გერმანია 1:0 პოლონეთი (14 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ზაიდ ჯაზირი** (თავდამსხმელი, ტუნისი)
ტუნისი 2:2 საუდის არაბეთი (14 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ჩავი** (ნახევარმცველი, ესპანეთი)
ესპანეთი 4:0 უკრაინა (14 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ხვან იან ანი** (თავდამსხმელი, კორეა)
კორეა 2:1 ტოგო (13 ივნისი)
წთ. 45; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**კლოდ მაკელელე** (ნახევარმცველი, საფრანგეთი)
საფრანგეთი 0:0 შვეიცარია (13 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ტიმ კალი** (ნახევარმცველი; ავსტრალია)
ავსტრალია 3:1 იაპონია (13 ივნისი)
წთ. 38; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**კაკა** (ნახევარმცველი, ბრაზილია)
ბრაზილია 1:0 ხორვატია (13 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ტომაშ როსიცკი** (ნახევარმცველი, ჩეხეთი)
აშშ 0:3 ჩეხეთი (12 ივნისი)
წთ. 85; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ანდრეა პირლო** (ნახევარმცველი, იტალია)
იტალია 2:0 განა (12 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ლუიშ ფიგუ** (თავდამსხმელი, პორტუგალია)
ანგოლა 0:1 პორტუგალია (11 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ომარ ბრავო** (თავდამსხმელი, მექსიკა)
მექსიკა 3:1 ირანი (11 ივნისი)
წთ. 90; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**არიენ რობენი** (თავდამსხმელი, ჰოლანდია)
სერბეთი 0:1 ჰოლანდია (11 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ხავიერ სავიოლა** (თავდამსხმელი, არგენტინა)
არგენტინა 2:1 კოტ-დ`ივუარი (10 ივნისი)
წთ. 74; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**დუაიტ იორკი** (თავდამსხმელი, ტრინიდადი და ტობაგო)
ტრინიდადი და ტობაგო 0:0 შვედეთი (10 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ფრენკ ლამპარდი** (ნახევარმცველი, ინგლისი)
ინგლისი 1:0 პარაგვაი (10 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**აგუსტინ დელგადო** (თავდამსხმელი, ეკვადორი)
პოლონეთი 0:2 ეკვადორი (9 ივნისი)
წთ. 82; გოლი 1; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**მიროსლავ კლოზე** (თავდამსხმელი, გერმანია)
გერმანია 4:2 კოსტა რიკა (9 ივნისი)
წთ. 78; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

### მერვედფინალები

**პატრიკ ვიეირა** (ნახევარმცველი, საფრანგეთი)
ესპანეთი 1:3 საფრანგეთი (27 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 1; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ზე რობერტო** (ნახევარმცველი, ბრაზილია)
ბრაზილია 3:0 განა (27 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ალექსანდრ შოვკოვსკი** (მეკარე, უკრაინა)
შვეიცარია 0:0 (0:3 პენ.) უკრაინა (26 ივნისი)
წთ. 120; გაშვებული გოლი 0; მოგერიებული 5; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ჯანლუიჯი ბუფონი** (მეკარე, იტალია)
იტალია 1:0 ავსტრალია (26 ივნისი)
წთ. 90; გაშვებული გოლი 0; მოგერიებული 4; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**მანიშე** (ნახევარმცველი, პორტუგალია)
პორტუგალია 1:0 ჰოლანდია (25 ივნისი)
წთ. 90; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ჯონ ტერი** (მცველი, ინგლისი)
ინგლისი 1:0 ეკვადორი (25 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**მაქსი როდრიგესი** (ნახევარმცველი, არგენტინა)
არგენტინა 1:1 მექსიკა (2:1 დ.დ.) (24 ივნისი)
წთ. 120; გოლი 1; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**მიროსლავ კლოზე** (თავდამსხმელი, გერმანია)
გერმანია 2:0 შვედეთი (24 ივნისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

### მეოთხედფინალი

**ზინედინ ზიდანი** (ნახევარმცველი, საფრანგეთი)
ბრაზილია 0:1 საფრანგეთი (1 ივლისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ოუენ ჰარგრეივზი** (ნახევარმცველი, ინგლისი)
ინგლისი 0;0 პორტუგალია (1:3 პენ.) (1 ივლისი)
წთ. 120; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

**ჯენარო გატუზო** (ნახევარმცველი, იტალია)
იტალია 3:0 უკრაინა (30 ივნისი)
წთ. 76; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**მიხაელ ბალაკი** (ნახევარმცველი, გერმანია)
გერმანია 1:1 არგენტინა (4:2 პენ) (30 ივნისი)
წთ. 120; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

### ნახევარფინალი

**ლილიან ტურამი** (მცველი, საფრანგეთი)
პორტუგალია 0:1 საფრანგეთი (5 ივლისი)
წთ. 90; გოლი 0; გად. 0; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

**ანდრეა პირლო** (ნახევარმცველი, იტალია)
გერმანია 0:2 იტალია (4 ივლისი)
წთ. 120; გოლი 0; გად. 1; ყვ. ბარ. 0; წით. ბარ. 0;

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**ბასტიან შვაინშტაიგერი** (ნახევარმცველი, გერმანია)
გერმანია 3:1 პორტუგალია (8 ივლისი)
წთ. 78; გოლი 2; გად. 0; ყვ. ბარ. 1; წით. ბარ. 0;

# რაგბის მხარდამჭერთა ლიგის საქმიანობის ახალი ეტაპი

რაგბის მხარდამჭერთა ლიგა (რმლ) საქმიანობის ახალ ეტაპს შეუდგა. პროექტი "ჯანმრთელი ბავშვი - ჯანსაღი თემი - ინტეგრირებული საზოგადოება", რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს და მიზნად ისახავს სამცხე-ჯავახეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტეგრაციას ბავშვებსა თუ მოზარდებში სპორტის მეშვეობით ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების გზით, უკვე მეორე წელიწადია მუშაობს. პროექტის შინაარსიდან და თამაშის კოლექტიური და რაინდული ხასიათიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მთავარი ყურადღება რაგბის თამაშის სწავლებას ეთმობა.

საამისოდ რაგბის მხარდამჭერთა ლიგამ შარშან შეარჩია კიდეც ასპინძის, ახალციხისა და ახალქალაქის 7 სოფელი, სადაც დაარსდა სარაგბო კერები. სოფლებში არსებული სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს რამდენჯერმე ჩაუტარდათ სემინარი, დაურიგდათ ლიტერატურა, ვიდეომასალა და საწვრთნელ-საშეჯიბრო პროცესისთვის საჭირო სარაგბო ინვენტარი.

თითოეულ სოფელში რამდენჯერმე ჩატარდა ერთობლივი საჩვენებელი წვრთნა, რომელსაც ცნობილი ქართველი მორაგბე თამაზ მგელაძე ხელმძღვანელობდა. საჩვენებელ წვრთნებსა და სემინარებს სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელები მალხაზ ჭეიშვილი და პაატა ნარიმანაშვილი.

შვიდივე სოფელში გაიხსნა კარგად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტებიც, რომლებშიც, პროექტში ჩართული ბავშვების გარდა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის ამ სოფლების ყველა მოზარდი.

შარშან, 2 ოქტომბერს, ასპინძაში გაიმართა საბავშვო სპორტული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა ასპინძაში, ახალციხეში, ახალქალაქში, ურაველში, სხვილისში, დამალაში, პტენაში, ხიზაბავრაში, კარტიკამში, გულიკამში მცხოვრები სამასამდე ბავშვი. ფესტივალი მიეძღვნა პროექტის ოფიციალურ პრეზენტაციას და ასპინძის სპორტულ-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსებას (ცენტრი კოორდინაციას უწევს სამცხე-ჯავახეთში მოქმედი სარაგბო კერების მუშაობას).

2006 წლის 5 ივლისიდან ასპინძის სპორტულ-საგანმანათლებლო ცენტრში გაიხსნა საზაფხულო ბანაკიც, რომელშიც ამ პროექტში გაერთიანებული ბავშვები გაივლიან წვრთნას, მოეწყობა სარაგბო და სხვა სპორტული შეჯიბრებები, გასართობი და შემეცნებითი პროგრამით გათვალისწინებული ვიქტორინები, კონკურსები და ლაშქრობები.

ამჟამად საზაფხულო ბანაკის ფუნქციონირებას ხელმძღვანელობენ: ი.გვენეტაძე (პროექტის დირექტორი), თ.მგელაძე, მ.კალანდაძე, მ.ჭეიშვილი, პ.ნარიმანაშვილი, ნ.კურტანიძე.

# ფედერერის რევანში


ფედერერმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო უიმბლდონი.


ამელი მორესმომ უიმბლდონი პირველად მოიგო.

დასრულდა უიმბლდონის ტურნირი. ვაჟებში გაიმარჯვა შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა, ქალთა შორის კი - ფრანგმა ამელი მაურსემომ.

დავიწყოთ ქალების ფინალით, რომელიც შაბათს გაიმართა. მაურსემოსა და ენინ-არდენის ფინალში გასვლა არავისთვის ყოფილა მოულოდნელი. არც ის იყო გასაკვირი, რომ ფინალური მატჩი დაძაბული გამოდგა. სულ ცოტა ხნის წინ ბელგიელმა ჩოგბურთელმა საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო და, ცხადია, მისი მიზანი ამჯერად უიბლდონის უტრნირის მოგება იყო, თუმცა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავისი სიტყვა თქვა და სეზონის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირი ტრიუმფალურად დაასრულა.

მატჩი ჟუსტინ ენინ-არდენის უპირატესობით დაიწყო. პირველ სეტში მაურსემომ ვერაფერი გააწყო მეტოქის მოწოდებაზე. მეტიც: ფრანგმა ერთი გეიმი საკუთარ მოწოდებაზეც დათმო და ენინ-არდენი დაწინაურდა.

თუმცა, ბელგიელმა მეტი ველარაფერი გააწყო. მეორე სეტი მაურსემოს კარნახით მიმდინარეობდა. ფრანგმა ჩოგბურთელმა შეძლო თამაშის აწყობა და სეტიც იოლად მოიგო. ყველა ელოდა, რომ მესამე, გადამწყვეტ სეტში ენინ-არდენი ნამდვილ ომს გაუმართავდა მეტოქეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაურესმომ კიდევ ერთხელ მოახერხა მეტოქის მოწოდებაზე გეიმის მოგება და სეტი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

### ფინალები

**ვაჟები**
**როჯერ ფედერერი - რაფაელ ნადალი ......................................6:0,7:6,6:7,6:3**
**ქალები**
**ამელი მაურესმო - ჟუსტინ ენინ-არდენი ......................................2:6,6:3,6:4**

უაღრესად დიდ ინტერესს იწვევდა კვირას გამართული ვაჟთა ფინალი, რომელშიც მსოფლიო რეიტინგის პირველი და მეორე ნომერი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არც ისე დიდი ხნის წინ რაფაელ ნადალმა საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში როჯერ ფედერერის ოცნება მოკლა. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელს დიდი სლემის ტურნირებიდან მხოლოდ როლან გარო არ მოუგია და ნადლმა ფედერერს ამის საშუალება არც ამჯერად მისცა.

როჯერმა უიმბლდონზე სრულფასოვანი რევანში აიღო. ნადალი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მხოლოდ გრუნტის კორტის ოსტატი არ არის და ბალახზეც შეუძლია თამაში. ახლანდელ უიმბლდონზე ესპანელმა ეს ნაწილობრივ დაამტკიცა, თუმცა, ფინალი მაინც უფრო ძლიერს დაუთმო. ფედერერმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო უიმბლდონი.

რაც შეეხება თავად ფინალურ მატჩს, ის მართლაც საინტერესო გამოდგა. ნადალმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, მაგრამ, როგორც ამბობენ, თავს ზემოთ ძალა არ არის.

პირველ სეტში ბრძოლა საერთოდ არ ყოფილა. ფედერერმა ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და სეტიც დაასრულა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ახალგაზრდა ესპანელი განადგურდებოდა, მაგრამ ამ შთაბეჭდილების სიმცდარეში მალევე დავრწმუნდით: ნადალმა მეორე სეტი ძლიერად დაიწყო, შეძლო ფედერერის მოწოდებაზე გეიმის მოგება, მაგრამ სეტი გამარჯვებამდე მაინც ვერ მიიყვანა. დაინიშნა ტაიბრეიკი, რომელშიც გამოცდილმა შვეიცარიელმა იმარჯვა. მესამე სეტში გამარჯვებულის გამოვლენას კვლავ ტაიბრეიკი დასჭირდა. ამჯერად უკვე ნადალს გაუღიმა ბედმა. ამის შემდეგ ნადალს თითქოს შანსი გაუჩნდა, მაგრამ მეოთხე სეტში ესპანელი აშკარად გატყდა. ფედერერი სწრაფ ტემპში ათამაშდა და სეტი ანგარიშით 6:3 მოიგო.

# რუსი ტახტიდან ჩამოაგდეს

*პროფესიული კრივის ფედერაციებს შორის გუშინდლამდე ორად ორი რუსი ჩემპიონი იწონებდა თავს - WBA-ს მძიმეწონოსანთა ეშელონის ჩემპიონი ნიკოლაი ვალუევი და პირველი საშუალო წონის ჩემპიონი IBF ვერსიით რომან კარმაზინი. დღეიდან კი ერთი ჩემპიონი ეყოლებათ - ვალუევი: რომან კარმაზინმა კი ამერიკელ კორი სპინქსთან 12 ათასი სენტლუისელი მოსეირის თვალწინ ფედერაციის ქამარი დათმო.*

ბიგა გურასაშვილი

33 წლის სანქტპეტერბურგელმა კარმაზინმა (34 გამარჯვება, აქედან 21 ნოკაუტით, 2 წაგება და 1 ფრე) ფედერაციის უმთავრესი სარტყელი დაკარგა. 12-რაუნდიან დაპირისპირებაში ჩემპიონის გამოსავლენად მსაჯთა საქმეში ჩართვა გახდა საჭირო. ორმა მათგანმა 115-113 კორი სპინქსს (35 გამარჯვება, აქედან 11 ნოკაუტით და 3 წაგება) მიანიჭა უპირატესობა, ხოლო მესამემ რუსი და ამერიკელი მეგობრული ანგარიშით - 114-114 დააშორა ერთმანეთს. შედეგების გამოცხადების შემდეგ სპინქსი ცრემლებად დაიღვარა, ხოლო კარმაზინმა საკუთარი მარცხი მსაჯებს გადააბრალა.

შეგახსენებთ, რომ რუსმა შარშან, 14 ივლისს, უგანდელ კასიმ ოუმუსთან შერკინებისას დამაჯერებელი უპირატესობით მოიპოვა IBF-ის უმთავრესი ქამარი. ფედერაციის სათავეში მოქცევის შემდეგ კარმაზინს საშუალება მიეცა მომავალ მეტოქესთან შებმისთვის სერიოზულად გაეზარდა საკუთარი ბიუჯეტი. და აი, სპინქსთან ორთაბრძოლის დროც დადგა, რამაც, როგორც ამბობენ, რუსს ჰონორარის სახით ბლომად ფული აშოვნინა.

სპინქსთან ორთაბრძოლაზე წინასწარი შეთანხმება კარმაზინს იმთავითვე აუტსაიდერად მიიჩნევდა. საქმე ის არის, რომ ნახევრად საშუალო წონის მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონთან ჩხუბი მის მშობლიურ ქალაქ სენტ ლუისში უნდა გამართულიყო, რაც სანქტპეტერბურგელის შანსს მნიშვნელოვნად ამცირებდა.

...თანაქალაქელ გულშემატკივართა შეძახილებით გამხნევებული სპინქსი პირველი რაუნდის მაუწყებელი გონგისთანავე შორი მანძილიდან შეუდგა რუსის დასეტყვას. თან, ოსტატურად მანევრირებდა რინგზე და მეტოქეს მიზანში დარტყმის საშუალებას არ აძლევდა. სპინქსი პირველ რაუნდებში უფრო სწრაფად მოქმედებდა და ქულებსაც იხვეჭდა. ამერიკელისგან განსხვავებით, რუსი ახლო მანძილიდან ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ რამდენიმე წარმატებული დარტყმის შემდეგ სპინქსმა რუსის შეტევები გააუვნებელყო. ჩემპიონობისთვის მებრძოლი სპინქსი აკადემიურად უბრუნებდა ხურდას.

შუა ორთაბრძოლაში ამერიკელის სიფიცხე მეტ-ნაკლებად მინავლდა. კარმაზინმა კი, რომელიც ამ დროისთვის ქულებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა სპინქსს, შეტევა გაამძაფრა. მეათე რაუნდი კი კინაღამ მეტოქის ნოკაუტით დამთავრდა. ამერიკელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან რუსის მუშტებს გაუძლო. მეტიც: ბოლოს ამერიკელს მეორე სუნთქვა გაეხსნა.

დასკვნით რაუნდებში სპინქსი ყველა ღონეს ხმარობდა იმისთვის, რომ ორთაბრძოლა დროზე ადრე არ დაესრულებინა, კლინჩს მიმართავდა. ამერიკელი ქულებით იყო წინ. 12 რაუნდის დასრულება ჩემპიონობას უქადდა. ნოკაუტში ჩავარდნის შემთხვევაში კი, ბუნებრივია, მოპოვებული ქულები განზე დარჩებოდა. ამიტომ ცდილობდა მატჩის დამთავრების მაუწყებელ გონგის ხმამდე როგორმე დრო გაეწელა.

ერთი სიტყვით, 28 წლის ამერიკელი, რომელიც, სხვათა შორის, მძიმე წონის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ლეონ სპინქსის შვილია, კრივის მსოფლიო ფედერაციის პირველი საშუალო წონის ჩემპიონი გახდა, კარმაზინმა კი ტიტულის დამცავი პირველივე ჩხუბი წააგო.

"სპინქსი მოხერხებულად მოქმედებდა. მეშვიდე რაუნდამდე მის ტაქტიკას ვერ ვხედავდი. მერე კი ორთაბრძოლაც ბოლომდე მიიყვანა, - ორთაბრძოლის პერიპეტიებს გვიყვება კარმაზინი, - ასეთი მსაჯობით გამარჯვება ძალზე ძნელია. რეფერი ახლო მანძილიდან მოქმედების საშუალებას არ მაძლევდა. ვთხოვე კიდეც, კლინჩებიდან თავის დაღწევის საშუალება მომეცი-მეთქი, მაგრამ არ დამთანხმდა.

...მალე ისევ დავუბრუნდები რინგს".

რაც შეეხება ახლად გამომცხვარ ჩემპიონს (კორი სპინქსს 2005 წლის 5 თებერვლის შემდეგ არ უჩხუბია, მაშინ კი 22-ათასიანი აუდიტორიის წინაშე, ამასთან, მშობლიურ ქალაქში ზაბ ჯუდასთან დაპირისპირებისას მეორე ნახევრად საშუალო წონის სამი საჩემპიონო ქამარი დაკარგა.- რედ.), ორთაბრძოლის შემდეგ მან თავის ქება დაიწყო: "დღეს შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. მართალია, კარმაზინი ძლიერი ვინმეა, მაგრამ მასთან შებმამდე იმდენს ვვარჯიშობდი, რომ 12-რაუნდიანი ბრძოლა უპრობლემოდ გადამეტანა. ყოველღამ უფალს ვთხოვდი ამ გამარჯვებას. ჩემი ნიჭით ნამდვილი შედევრი შევქმენი. ერთადერთი, რაც მჭირდებოდა, რინგზე გასვლა იყო, რადგან ამ გამარჯვებისთვის ყველანაირად მზად ვიყავი".

ჩვენ ერთი გუნდი ვართ
საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია
სარბიელი
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
24 საათი

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

C2

C3

C4